სპეციალური ნომერი 2021

მასწავლებელი

ენერგია მასწავლებლისთვის

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ISSN 1987-6149

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს:
„სხვა გაკვეთილების ცხრილი“

სპეციალური ნომერი, 2021

მასწავლებელი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

სტილისტი:
ირმა ტაველიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

მხატვარი:
მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი:
ქეთევან ნიკოლეიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
ნანა აკობიძე, ილია ჭანტურია,
ნინია სადღობელაშვილი,
ბესო პაპასქუა,
სოფიო კუბლაშვილი,
ცოტნე ავსაჯანიშვილი,
ნათია გოგიჩაიშვილი,
თორნიკე სიბაშვილი,
გურო დავითლიძე, ანა წულაია

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი, სანდრო ეულის ქ. 5,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი:
FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე.
ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 / მ-374

WWW.TPDC.GE

სარჩევი

ნანა აკობიძე
2 | მარია კიუარი, ზევსი, დირექტორი და ზოგჯერ აპოლონიც. მათთვის ვინც ფიქრი მასწავლა

ნინია სადღობელაშვილი
14 | ჰანიბალის ფიცი

სოფიო კუბლაშვილი
24 | გაფუჭებული ტელეფონი

ნათია გოგიჩაიშვილი
38 | მეორე მხარე

გურო დავითლიძე
48 | აჩიკო

ილია ჭანტურია
10 | მენდელეევის გაკვეთილები

ბესო პაპასქუა
18 | აირწინალი

ცოტნე ავსაჯანიშვილი
32 | BED TEACHER

თორნიკე სიბაშვილი
43 | ევა

ანა წულაია
55 | ორშაბათი

ნანა აპრობიძე

მარია პიური, ზევსი, დირექტორი და ზოგჯერ აპოლონიც

მათთვის ვინც ფიქრი მასწავლა

კლასი იყო დიდი – ასე, 36 კვ.მ.

მეორენაირად ფიზიკა-მათემატიკის კაბინეტსაც ეძახდნენ: დაფის გასწვრივ მთელი კედელი ეკავა ნიუტონს, აინშტაინს, მაქსველს, გალილეო გალილეის და ერთადერთ ქალს მარია კიურის. პორტრეტები მუყაოზე იყო დაბეჭდილი, ერთ ზომაზე. მხოლოდ მარია კიური იყო მომცრო. ისიც – ფიზიკის მასწავლებელს ჰქონდა სახლიდან მოტანილი.

ალგებრა-გეომეტრიის გაკვეთილზე მარია კიური კაცების ბოლოში ეკიდა, ფიზიკის გაკვეთილზე – თავში. ამ თანმიმდევრობას თვითონ ამ საგნების მასწავლებლები განაგებდნენ:

– კიდევ აქეთ გადმოსწია, ხომ? – იტყოდა ალგებრა-გეომეტრია, შემოსვლისთანავე ჩამოხსნიდა მარიას და გადასვამდა მაქსველის გვერდით.

– დაიმახსოვრეთ: ამ ქალმა სამყარო შეცვალა და არავის დააკავებინოთ მისი ადგილი! - პათეტიკურად იტყოდა ფიზიკა, ექსცენტრიკული ლამაზი ქალი, გვარად გაბადაძე, აიწეოდა ფეხისწვერებზე, ჩამოხსნიდა ნიუტონს და გადასვამდა ბოლოში, დააბრუნებდა მარიას თავის ადგილზე.

ძირითადად ნიუტონი და მაქსველი მონაწილეობდნენ ამ საადგილ-მამულო ბრძოლაში. გალილეი და აინშტაინი შუა პოზიციებს მყარად ამაგრებდნენ. ომში მხოლოდ მაშინ ერთვებოდნენ, კლასელები რომ ჩამოგლეჯდნენ ჩხუბისას და ერთმანეთს გაუქანებდნენ ან ფარად აიფარებდნენ.

ფანჯარა გადიოდა უკანა ეზოში. ეზოს გადაღმა გადიოდა საურმე გზა და გზაზე დადიოდა ნახირი. იშვიათად – ხალხიც. იშვიათად იმიტომ, რომ ადამიანები საურმე გზით ტყეში დადიან და ტყეში წამსვლელი კაცი, ქამარში ცულგარჭობილი, დილით ადრე მიდის – გაკვეთილების დაწყებამდე. დაბრუნებით კიდევ საღამოს ბრუნდება, როცა ყველა გაკვეთილი დამთავრებულია და დარაჯიც კი არაა სკოლაში.

დარაჯი იმიტომ არაა, რომ სკოლას საერთოდ არ ჰყავს – არაფერია სადარაჯო. თუმცა შტატი დაშვებულია და მას ქიმიის მასწავლებელი ითავსებს - დარაჯის ხელფასთან და გასაღებების აცმასთან ერთად.

ინვენტარი ძველია, ბიბლიოთეკიდან წიგნებს არავინ იპარავს და გეოგრაფიის კაბინეტში ერთადერთი გლობუსია საღი, ისიც გეოგრაფიის მასწავლებელს მიაქვს სახლში გაკვეთილების შემდეგ.

– ბურთს თამაშობს – იცინიან ამაზე უფროსკლასელი ბიჭები. – მას, გვათხოვეთ, რა, ბურთი გაგვეხა და სანამ დავაწებებთ.

გეოგრაფიის ახალგაზრდა მასწავლებელი წითლდება, მაგრამ იცის, რომ ხუმრობაში უნდა აყვეს და „უი, ესეც გაიხა, დასაწებებლად მიმაქვს“ – პასუხობს.

კიდევ ერთადერთი, რაც შეიძლება საინტერესოდ ჩაითვალოს, ფარდაჩამოფარებული ჩონჩხია ანატომიის კაბინეტში. მოპარვით მასაც არავინ მოიპარავს: დიდი-დიდი, რომელიმე ბავშვი შეიპაროს, ფარდას ჩამოეფაროს და ანატომიის გაკვეთილზე შესულ ბავშვებს გული გაუხეთქოს: ჩონჩხს მოულოდნელად სიარული დააწყებინოს.

კლასი მეშვიდე. არც ა და არც ბ – უბრალოდ, კლასი მეშვიდე. როგორც უკვე ვთქვით, 36 კვადრატამდეა და კლასის მთელი ინვენტარი ორი მერხი და ერთი მაგიდაა. ზამთრობით – შეშის ღუმელიც. ჟეშტის.

სხვა დროს 8 მერხი იდგა.

რვა მერხი და 16 ბავშვი, ანუ ერთ ბავშვზე 2 მეტრკვადრატი მოდიოდა. 2-ჯერ 16 უდრის 32-ს. დარჩენილი 4 კვადრატი – მასწავლებელს.

ახლა მხოლოდ ორი მერხი დგას და ამ ორიდან ერთი ზედმეტია, რადგან კლასში ორი მოსწავლეა და ორივე ერთ მერხს უზის. მაგრამ ზოგჯერ ბიჭი აბრაზებს და გოგო არ სვამს თავის გვერდით.

– იჩხუბეთ, ხომ? – ამბობს კლასში შემოსული მასწავლებელი, – ამხელა გზიდან მოდის, სტუმარია და შენ კიდევ აბრაზებ! – ტუქსავს ბიჭს.

ჩხუბის მიზეზს არასდროს კითხულობენ – ყოველთვის ბიჭია დამნაშავე. თან ზარმაცია და ცუდად სწავლობს, უფრო სწორად – საერთოდ არ სწავლობს. გოგო ფრიადოსანია და როგორც ბებიამისი ამბობს – ჩუმი ეშმაკია: ყოველთვის თვითონაა ბუნტის წამომწყები, რაც მერე ბიჭს ბრალდება.

– ერთ მეტრკვადრატზე არ მომეკარო! – აფრთხილებს ბიჭს ჩხუბისას – დაიმახსოვრე: ერთი მეტრკვადრატი – ამის აქეთ ღობეა!

გოგოს ეს ფიზიკის მასწავლებელმა აუხსნა, უფრო სწორად, დააზეპირებინა:

– მსოფლიო მიზიდულობის ძალა არის ის ძალა, რომლითაც სამყაროში არსებული სხეულები იზიდავენ ერთმანეთს, მაგრამ გახსოვდეს: არავინ მოუშვა შენთან ერთ მეტრკვადრატზე ახლოს! კაცები ფიზიკის კანონებსაც სათავისოდ იყენებენ!

ბიჭი ზუსტად ამ ერთი მეტრკვადრატის გადალახვას ცდილობს. უყვარს გოგო, მაგრამ ამას ვერასდროს გაამხელს, რადგან ბიჭის უფროს ძმას უყვარს გოგო. ოღონდ არც ის ამხელს: უბრალოდ, ირგვლივ ყველა მყარ ზედაპირზე წერს ცარცით: ზ+ნ. ჯამი არ, ან ვერ გამოჰყავს.

გოგოს ამ სოფელში სტუმარს ეძახიან და ისე დაამთავრებს რვა კლასს, ბოლომდე სტუმრად დარჩება. მის სოფელში სკოლა არ არის.

სამაგიეროდ, მის სოფელში გერმანულის და მათემატიკის მასწავლებლები ჰყავთ – ძმები. გოგოსთან ერთად დადიან ამ სკოლაში, ფეხით. თუ დავხაზავთ მართკუთხა სამკუთხედს, პითაგორას თეორემის თანახმად, გავარკვევთ, რა მანძილია გოგოს სახლიდან სკოლამდე. ?=(x2−x1)2+(y2−y1) . ახლა ამოვიყვანოთ ფესვი აქედან და სულ ესაა - ჩვენ ვიცით მანძილის ფორმულა, მაგრამ როგორც გოგოს მამა იტყოდა: „სვანს ჰკითხეს, ყური სად გაქვსო და“ – მერე აღარ ამთავრებდა: უბრალოდ, მარცხენა ხელს თავსზემოთ გადაიტარებდა მარჯვენა ყურისკენ. ანუ ეს ნიშნავს: თუ ისედაც ვიცით, რომ გოგოს სოფლიდან მეორე სოფლამდე 3 კილომეტრია, რა საჭიროა პითაგორას თეორემა?

ამოცანის პასუხია: გოგო და მისი მასწავლებლები დღეში გადიოდნენ ექვს კილომეტრს.

მასწავლებლები მის მეზობლად ცხოვრობდნენ. გზაში იქცეოდნენ თანამგზავრებად. მათემატიკის მასწავლებელი სკოლის დირექტორიც იყო ამავე დროს და დირექტორადაც გადაიქცეოდა - პერიოდულად. ეს სწრაფი ტრანსფორმაცია იყო: კანიდან გამოსვლა – ფესვის ამოყვანასავით.

გერმანულის მასწავლებელი ერთხელ გმირადაც გადაიქცა, ოღონდ ეს მოხდა გოგოს სკოლაში შესვლამდე, ხუთის რომ იყო, ან ექვსის: გოგო და მისი უფროსი და თხებზე გაგზავნა დედამ – თხებზე წასვლა მათ მოძებნას ნიშნავს გადალმა გორაზე. თოკიც გაატანა: რქებში უნდა ჩაებათ მეწველი თხისთვის და სახლში წამოეყვანათ. დანარჩენები თავისით გამოყვებოდნენ უკან. თხა მალევე იპოვეს: უფროსმა დამ თოკი ჩააბა და მეორე ბოლო გოგოს შემოახვია წელზე: აქ იდექით, მე წავალ და დანარჩენებს მოვძებნიო. თხა გაიქცა და გოგო ქვიან გორაკებზე ათრია. კარგად დაჩეჩქვილს, კლდიდან გადაჩეხავდა, კივილის ხმაზე, ტყიდან მომავალი გერმანულის მასწავლებელი რომ არ დაწეოდა ქარის სისწრაფით და არ ჩაეხსნა ამ უცნაური შემადგენლობიდან.

მეწველი თხა იმისთვისაა საჭირო, რომ ზევსი მოიყვანოს შენთან. გერმანულის მასწავლებელი, ხმელი და დაკუნთული, ღრმად ჩამჯდარი ცისფერი თვალებით, მაჯებზე გამობურცული მსხვილი ძარღვებით, ჰგავდა ზევსს, რომლის სურათი გოგომ მოგვიანებით ნახა მითების წიგნში.

დედამისს რომ ჩააბარა დაკაწრულ-დაჟეჟილი ბავშვი, თხასთან ერთად, ცოტა ხანში ისევ გადმოვიდა მათთან: არ იყვნენ მიჩვეული მასწავლებლის სტუმრობას და დაბნეული გოგოს დედა კარებში ელაპარაკებოდა:

– თქვენ რომ არა, მომიკლავდა ბავშვს. თოკის ჩაბმა რამ მოაფიქრა – ვერ გადამირჩება ის სასიკვდილეო, – უფროს შვილზე წყრებოდა, რომელიც ჭიშკართან იყო ატუზული და დასჯის შიშით ვერ შედიოდა სახლში.

– ამიტომ გადმოვედი ახლა: ბავშვს საყვედური არ უთხრათ, ისედაც შეშინებულია: 8 წლის ბავშვი კი არა, უფროსები ვერ ვხვდებით ზოგჯერ, ჩვენს საქციელს რა შეიძლება მოჰყვეს. დაუძახეთ, მოეფერეთ, დაამშვიდეთ და უთხარით, რომ მისი ბრალი არაფერი არააო.

შემოაყვანინა ასლუკუნებული გოგოს და სახლში, გადაუსვა თავზე დიდი დაძარღვული ხელი და წავიდა. უცებ ისევ მობრუნდა და „ეს მავიწყდებოდაო“ – ჩაიყო ჯიბეში ხელი და ამოიღო კანფეტები, უცნაური სახელით: „კუს კისერი“: პირდაპირ საწოლზე დაუყარა გოგოს.

გოგოს სამუდამოდ დაამახსოვრდა მეზობლის ეს სტუმრობა. კუს კისერთან ერთად. მერე, მითების წიგნს რომ ათვალიერებდა, აპოლონს უფრო მიამსგავსა – მასავით ჰქონდა თმა დატალღული და ხელი რომ ასწია, თეთრი გახსნილი პერანგიც ისე აუფრიალდა – აპოლონის მოსასხამივით.

როცა თოვს, და ზამთარში თოვს (ჯერ არაა უთოვლო ზამთრები დაწყებული), მასწავლებლები წინ მიდიან. დირექტორი ძმაზე რამდენიმე წლითაა უფროსი. მასაც ცისფერი თვალები აქვს და მაღალი და ჩასხმულია: მეტრი და 80. ეს ზუსტად იცის გოგომ, იმიტომ რომ ერთხელ, გაკვეთილზე თვალის ზომაში ავარჯიშა: „მოდი, სიდიდეები განვსაზღვროთ თვალის ზომით – როგორ ფიქრობ, თქვენ რამსიმაღლე იქნებითო“. „ალბათ, მეტრი და 70-იო“ – უპასუხა გოგომ (ნახტომში მეტრ-ოციანმა) და გულიანად გააცინა: „მე ვარ მეტრსამოცდაათზე ოდნავ მაღალი და აბა, ამის მიხედვით იანგარიშეთო“ – თქვენობით მიმართავდა მტკაველიან გოგოს და, საერთოდ, ყველას ირგვლივ. სოფლის კაცებში როცა დგას, საშინაო ტანსაცმელში, მაშინაც გამოირჩევა მათგან – ხუმრობებზე მხოლოდ იღიმება და თითქმის არასოდეს უწევს ხმას. სოფლელებიც რიდით არიან – მათკენ მომავალს რომ დაინახავენ, გასწორდებიან, ტან-

საცმელს მიისწორ-მოისწორებენ. მის გვერდით თავიანთ გემოზე ვერ იცინიან, ვერ ხმაურობენ. მეორე ძმასთან უფრო შინაურულად არიან – იმიტომ, რომ ის ხმამაღლა იცინის ხოლმე, „ბიჭო“-თიც მიმართავს თანასოფლელებს. უფროსი არასოდეს ხმარობს ამ სიტყვას: სახელებით მიმართავს და მოიხსენიებს ყველას. თან ამ კუთხისთვის დამახასიათებელი „იე, ია“ – დაბოლოების გარეშე.

თოვლში წინ ჩადგებიან ხოლმე მასწავლებლები – უღლის ხარებივით და კვალავენ მუხლამდე, წელამდე, ყელამდე თოვლს. ზოგჯერ პალამი თოვლიც მოდის – ეს თოვლის საზომი ერთეულია და თავს ზემოთ თოვლს ნიშნავს.

„პალამია“ – გოგოს მამა იტყვის, „დღეს ჩვენც უნდა გავკვალოთ“.

ამ დროს მშობლები და მასწავლებლები ერთად კვალავენ თოვლს და მანძილი ა პუნქტსა და ბ პუნქტს შორის აღარ გამოითვლება პითაგორას თეორემის თანახმად. ერთეულთა საერთაშორისო სისტემაში ტემპერატურა, დრო და სიჩქარე ერთად იყინება. ბოლოსდაბოლოს, როცა გაყინულები შედიან საკლასო ოთახში, დამლაგებელ ნაზიკოს მიერ ანთებული შეშის ღუმელი ვეზუვის ვულკანივით ღუის, კარში დატანებული ნასვრეტებიდან ცდილობს გამოფრქვევას. კლასელ ბიჭს უკვე მიდგმული აქვს გოგოს სკამი ღუმელთან ახლოს და კარებში ელოდება, რომ შესვლისთანავე გამოართვას ჩანთა და პალტო (მეტრკვადრატის გადალახვის შანსი). ერთადერთხელ უსაყვედურა დამლაგებელს დირექტორმა ბავშვების თვალწინ: გალუმპულებს, ცეცხლი არ დახვდათ ანთებული. მაშინ პირველად ნახა გაბრაზებული დირექტორი და ძალიან შეეცოდა დამლაგებელი, თვითონაც შემცივნული, აწითლებული ხელებით რომ ცდილობდა ცეცხლის ანთებას. მასწავლებლები სამასწავლებლოში შედიან და იქ თბებიან და შრებიან: თოვლის მკვალავი კაცები სკოლის ჭიშკარში შემოსვლისთანავე მასწავლებლებად იქცევიან, გაკვეთილების დამთავრების შემდეგ ისევ ამოვლენ მასწავლებლის კანიდან და მოწაფეებთან ერთად გაუყვებიან გზას: ან უფრო დათოვლილს და თავიდან საკვალავს, ან – უკვე მზისგან ოდნავ შემლღვალს.

კანში ამოსვლა აბრეშუმის ჭიამ იცის. არსებობს პატარა კანი და დიდი კანი. დიდი კანიდან ამოსული აბრეშუმის ჭია მალე პარკის დართვას იწყებს. სახლის მეორე სართული, რომელიც ცარიელი და მოუწყობელია, მთლიანად მოწნულ ჩელტებზე მოფენილ აბრეშუმის ჭიას ეთმობა ყოველ ზაფხულს. ჩელტებს მამა წნავს. აბრეშუმის ჭიას თუთის ფოთლებით კვებავენ და ისმის მთელ მაღლა სახლში უცნაური შრიალი. დართულ პარკს ერთად გამოღაჭავენ, აწონიან და გოგოს დედას ჩასაბარებლად მიაქვს. აღებული ფული საპირველსექტემბროა – ბავშვების შემოსვას ხმარდება. აგვისტოს ბოლოს დედა ფეხის ზომას უღებს ბავშვებს – ჯოხის ჩხირებს იყენებს საამისოდ და დიდ ქალაქში საყიდლებზე მიდის. გოგო უპრეტენზიოა – არასოდეს იწუნებს დედის ნაყიდ ტანსაცმელს, ახალი ტანსაცმლის სუნი უყვარს, განსაკუთრებით ფეხსაცმლის – ცხვირთან მიიტანს ხოლმე და ღამითაც თავთან იდებს. უფროსი და წუნიაა – არაფერი მოსწონს და სულ ტირის. მერე დედა წკნელით გამოეკიდება ხოლმე და ძალით აწონებს.

გაზაფხულობით, წვიმაში სოფლებს შორის მდინარე დიდდება და აქაფებული, ხიდზე გადმოდის. ამ დროს გერმანულის მასწავლებელი პოსეიდონად იქცევა – ჯიბიდან საათს იღებს და ტალღის დარტყმიდან მორიგ დარტყმამდე დროს ინიშნავს: მერე გოგოს ხელს ჰკიდებს და დარტყმათა ინტერვალში, მეორე ნაპირზე მშრალად გადააფრენს ხოლმე – იშვიათად თუ მისწვდება ტალღის შხეფები.

რაზე შეიძლება, საუბრობდნენ თანამგზავრები, როცა დღეში 6 კილომეტრს ერთად გადიან? თითქმის არაფერზე. ეს ყველაზე ჰარმონიული უბრალ სვლაა წინ და უკან: გოგო რიდს სწავლობს, სიმშვიდეს. ღრმად სუნთქვას. თავის თავზე, თავის ნაბიჯებზე მიყურადებას.

– თუ დაიღალე, შევისვენოთ.

– ღრმად უნდა ისუნთქო.

– მამაშენი გვიან მოვიდა გუშინ?

– თანაბარი ნაბიჯებით – თუ გინდა, რომ არ დაიღალო.

– ხომ არ მოგშივდა? – გერმანულის მასწავლებელი ორცხობილას ნამცხვარს აწვდის. – გასინჯე – მამიდაშენმა გამოაცხო.

მამიდა გერმანულის მასწავლებლის ცოლია – ნათესავი კი არა, უბრალოდ, მეზობელი მამიდა. ორცხობილას ვანილის გემო აქვს და ოდნავ – ნაფტალინის სუნი: ეტყობა, გერმანულის მასწავლებლის პიჯაკს ზაფხულობით ნაფტალინში ინახავენ (გოგოსაც დააქვს საგზალი, ყველი და პური, ან ვაშლი, მაგრამ დიდ დასვენებაზე ჭამს, თანაკლასელ ბიჭსაც უყოფს. მთავარია, ამ დროს მერვეკლასელი ბიჭი არ შემოესწროს: წაგლეჯვა იცის ხელიდან და თან უცებ ზედ აფურთხებს, რომ უკან არ წაართვას.).

სკოლის ეზოში დაფნა დგას, ზოგჯერ მეზობელი აბარებს ხოლმე, რომ დაფნის რამდენიმე ტოტი გამოუყოლოს. გზაზე ეს ორიოდე ტოტი მძიმდება ხოლმე და ტვირთად ექცევა.

– რა გააჭირა იმან კიდევ ამ დაფნით გული! – ბრაზობს აპოლონი და ალმაცერად უყურებს დაფნას – ან სუნი არ მოსწონს, ან ის მეზობელი არ მოსდის თვალში, – რა გახდა ერთი ბზის დარგვა ეზოში, რომ მეორე სოფლიდან არ ათრევინო ბავშვს!

– ხანდახან გზაში უფროსი დის გამონაცვალი ფეხსაცმელი უჭერს და კოჭლობს.

– ჩამოჯექით ამ ქვაზე და ცოტა ხანი გაიძრეთ ფეხზე – სიცხეში ფეხი სივდება. მარტო მარია კიურის სურათს რომ დასდევს, არ გასწავლათ ფიზიკის მასწავლებელმა, რომ მაღალ ტემპერატურაზე სხეულის მასა იმატებს? – ეუბნება მათემატიკის მასწავლებელი.

არ დასიებია ფეხი – უბრალოდ, გაეზარდა. დედა ჯერ ვერ წავიდა ფეხსაცმლის საყიდლად – „იმ თვეში, ხელფასი რომ იქნება“. ოღონდ ეს თვე, მგონი, საერთოდ არაა ამ წლის კალენდარზე.

სამაგიეროდ, მარია კიურია ადგილზე: ფიზიკამ კედელზე კიდევ ერთი ლურსმანი მიაჭედა, კაცებისგან მოშორებით და მარია იქ დაკიდა – უფრო წინ გადმოანაცვლა. დღეს კლასში მხოლოდ გოგოა – ბიჭი მამას გაჰყვა სახნავში. ფიზიკას წითელი პომადა უსვია და წითელი შარფი უკეთია. თმაც მარია კიურივით აქვს: ოდნავ გაწეწილი, გადაწეული და შეკრული. გაკვეთილი ახსნა და მარიაზე უყვება გოგოს – ბიჭის თადასწრებით არასდროს მოუყოლია ეს ამბავი:

– ნობელს არ აძლევდნენ - მის ქმარს და ერთი სხვა ფიზიკოს კაცს უპირებდნენ მიცემას. ნაცნობი ჰყავდა ქმარს ნობელის კომიტეტში და იმან იმარჯვა: გააფრთხილა წინასწარ, მარტო შენ გაძლევენ, მარიას არაო. გამოვიდა ეს ქმარი საჯაროდ და თქვა, ცოლის გარეშე კაპიკი იქნებოდა ჩემი ფასიც და ჩემი კვლევებისაც. ამის მერე მისცეს ნობელი ორივეს, წყვილში. ამ დროს, მარია იყო მანდ ყველაფერი! ქალი იყო და წინ არ უშვებდნენ. მაგრამ ქალმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარ-კამეჩი ვერ შეაჩერებს: ადგა და მეორე ნობელი გლიჯა ათ წელიწადში! აბა!!! სად იყო ქმარი მაშინ, 5 წლის მკვდარი იყო – საწყალს, ეტლი დაეჯახა. თვითონ ხომ მაგარი ქალი იყო და თავისნაირი მაგარი ქალები გაზარდა: შვილი ირენია, ისიც ნობელიანტი! მოწაფე, მარგარიტა ერქვა – პირველი ქალი იყო, ვინც საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრად აირჩიეს. ვაჟკაცი ქალი იყო მარია, გაბედული! რადიუმს და პოლონიუმს შლიდა ცარიელი ხელებით. მის კულინარიულ წიგნს რომ მიეკარო დღესაც, სპეცტანსაცმლის გარეშე, მოგკლავს, ისეა რადიაციით დაბინძურებული. რას უძლებდა ეს პატარა ქალი!

ფიზიკის მასწავლებელი კარგა ხანს იყო ჩუმად.

– მაგრამ რად გინდა – უბედური იყო! – გააგრძელა მერე. – პირველ სიყვარულს ძალით დააშორეს – მასწავლებელი არ იკადრეს რძლად! დაქვრივების მერე ქმრის სტუდენტი შეუყვარდა და გადააყოლეს კინაღამ ამ ამბავს, დიდი სკანდალი აუგორეს – მეორე ნობელს არ აძლევდნენ მაგის გამო. იმ კაცის ცოლის ბრალი იყო ყველაფერი: აუბუნტა ხალხი, კინაღამ ჩაქოლეს. ეს კაციც სუსტი იყო – ვერ გაიგო, რა უნდოდა. დასვი, შე მამაცხონებულო, წერტილი და წამოდი სახლიდან – მარია კიურის შეუყვარდი, ჩემ მეზობელ ფაციას კი არა! მარა არაა! ასე იცის ამათმა მოდგმამ: გააჯიჯიბახებენ ფეხებს და არც იქეთ არიან და არც აქეთ – უნდა აწამონ ქალი ბოლომდე! ისედაც არ უყვარდათ მარია ფრანგებს – ღმერთი არ სწამსო. თან უცხოელი იყო. სახელიც არ შეარჩინეს – მარი დაარქვეს ვითომ ფრანგულად პოლონელ ქალს. ომის მერე ათიათასობით ჯარისკაცს რომ დაეხმარა, მოკეტეს! ბოლოს კი გაიგეს მისი ფასი და ეტაკნენ მკვდარს, პოლონელებმა არ წაგვართვანო და გადაასვენეს პანთეონში. საწყალი: მიწაც არ ეღირსა: თუთიის სქელ ყუთში ჩააგდეს და ისე დამარხეს. სულ ახალგაზრდა მოკვდა – 66 წლის! რა არის 66! რადიაციამ დააავადმყოფა. რადიაციამ და უბედურმა ცხოვრებამ.

ფიზიკის მასწავლებელი გაჩუმდა, ფანჯარაში გაიხედა და მაგიდაზე აკაკუნა ლაქგადაცლილი ფრჩხილები. რაღაც უცნაური მელოდია გამოჰყავდა. ლამაზი ხელები ჰქონდა. საჩვენებელი თითი ბინტით ჰქონდა შეხვეული და სამედიცინო ბადე ჰქონდა ზედ შემოცმული. „სასხლავით ავისხიპე“ – ქართულის მასწავლებელს უყვებოდა დიდ დასვენებაზე. „თან მარტო ვიყავი გადაღმა ვენახში. იდინა, იდინა, კინაღამ დავიცალე სისხლისგან“.

გოგოს ძალიან შეეცოდა უბედური მარია კიური – ორგზის ნობელიანტი ფიზიკოს-ქიმიკოსი. ოღონდ ვერ მიხვდა: 66 წლის ქალი რანაირად იყო ახალგაზრდა! უნდოდა, ასაკი ეკითხა ფიზიკის მასწავლებლისთვის, მაგრამ „ქალს ასაკს არ ეკითხებიანო“ – ეს გამოთქმა ჰქონდა გაგონილი და მოერიდა. მისი თვალზომით, იქნებოდა ასე 40-ის. მერე გაახსენდა, რომ 40-ის დედამისი იყო და ფიზიკის მასწავლებელს დეიდას ეძახდა. აქედან გამომდინარე, მასწავლებელი იმ დროისთვის უნდა ყოფილიყო 60-მდე.

ფიზიკის მერე დიდი დასვენება იწყებოდა. გოგო ადგა – კარი ჩაკეტა და ვაშლი ამოიღო ჩანთიდან. კბეჩა-კბეჩით წავიდა მერხისკენ და უცებ გაშეშდა: თავისი სკამის ზედაპირი წითლად იყო გაზოლილ-გადღაბნილი. თითი მოუსვა – სისხლი! ჩაკბეჩილი ვაშლი კბილებსშორის გაიჩერა და ორივე ხელით შემოიტრიალა წინ ქვედაბოლო: ყავისფერი ფორმის კაბა მუქად იყო დალაქული და ლაქის ადგილზე – გახევებული.

გოგო დასვრილ სკამზე დაჯდა და გადაჯვარედინებულ ხელებზე ჩამოდო თავი. მიხვდა, რაც მოუვიდა – დედა აფრთხილებდა ამაზე და პერიოდულად ეკითხებოდა, ხომ არ მოსვლია „რამე“. შიში არ უგრძნია – მხოლოდ სირცხვილს გრძნობდა, მთელ სხეულზე ედებოდა ალი. სირცხვილის დროს ფრჩხილების კვნეტას იწყებდა: ახლაც, საჩვენებელ თითს რომ მიადგა, პირველკლასელობის დროინდელი იარა მოხვდა თვალში: პირველ სექტემბერს, აბა, ფანქრები ამოიღეთო, მასწავლებელმა რომ უთხრა, ჩანთის წინა ჯიბეში ჩაყო ხელი და პირდაპირ ფანქრების წასათლელად წამოღებულ „ბრიტვას“ შეათხარა თითი – ფრჩხილსა და ნუნას შორის. იტირა, მაგრამ არ შეშინებია – დედა ეგულებდა გარეთ. შიში მაშინ იგრძნო, მასწავლებელმა რომ უთხრა, დედა წავიდაო. ეს რაღაც მოულოდნელი ელდა იყო: არავის გაუფრთხილებია, რომ დედა მარტო დატოვებდა უცხო სოფელში, უცხო ადამიანებთან. იმდენი იტირა, სამასწავლებლოში გაიყვანა მასწავლებელმა და მუსიკის მასწავლებელს ჩააბარა. „ერთი გაკვეთილი მაინც დაეცადაო“ – უკმაყოფილო ხმით თქვა და გოგო მიხვდა, რომ დედამისზე ამბობდა საყვედურს. „აღარ მტკივაო“ – სისხლიანი ხელით მოიწმინდა ცრემლები, „სულ, სულ აღარ მტკივაო“ – და კლასში დაბრუნდა. ცხვირსახოცით სახელდახელოდ გადახვეული თითი და გული ერთნაირად უფეთქავდა ტკივილით, ელდით და ბრაზით. ოღონდ ისევ არ ესაყვედურა მასწავლებელს დედამისის მისამართით და კიდევ გაძლებდა – გაძლო კიდეც გაკვეთილების ბოლომდე, სულ ბოლომდე დაიკვნიტა ფრჩხილები. უკანა გზაზე სისხლიანი ცხვირსახოცი მდინარეში ჩუმად ჩააგდო და არც უთქვამს სახლში თავისი საპირველსექტემბრო ამბავი. მერეც, ამ გზაზე სიარულისას – ამ მდინარეში აგდებდა ხოლმე დაკუჭულ წერილებს:

„მამა მთვრალი მოვიდა და კბილებს აკრაჭუნებდა. შემეშინდა. მინდა, არასოდეს დალიოს“.

„დედამ კნუტი მომიკლა. შეშის ნაჭრით. კვერცხები შეუჭამა. მინდა, არასოდეს ვნახო დედა ისეთი ბრაზიანი.“

„ბიჭებმა ზ.-მ და ბ.-მ ქუდი წამართვეს და არ მაძლევდნენ. დიდხანს ვიდექი მათთან და თქვეს: ეს წმინდა წყლის დამლევი არ გაიზრდებაო. მინდა, ორივე მოკვდეს“.

„ი-ს დღეს მეზღვაურის მაიკა ეცვა და ლურჯი ქვედაბოლო. მეც მინდა ასეთი“. „რუსულის მასწავლებლად ახალგაზრდა ბიჭი მოვიდა. ლამაზია და ძალიან გამხდარი. მინდა, შევუყვარდე“.

მდინარეს ფურცლები მიჰქონდა – აქეთ არაფერი მოუტანია: აღმა ხომ არ დაიწყებდა დინებას.

იმ „ბრიტვას“, რომლის ქართული შესატყვისი არ იცოდა, რუსულად ეწერა „რაპირა“ – სოფლის მაღაზიაში გზავნიდა მამა საყიდლად. ათი ცალი იდო ყუთში. ერთ ცალს ბავშვებს აძლევდნენ ფანქრების წვერსათალად, ერთს დედა იღებდა, დანარჩენს მამა იზოგავდა პირის საპარსად, მაგრამ დედა ზოგჯერ მამის მარაგიდან იღებდა და ამაზე მოსდიოდათ ხმამაღალი კამათი. ერთ დღეს ბრახუნმა გააღვიძა. მამა კარადის უჯრებს ყრიდა ძირს გინებით, „ბრიტვებს“ ეძებდა და „რამდენჯერ გითხარი, ხელი არ ახლოო,“ – უყვიროდა დედას. გოგოს ძალიან შეეშინდა და ატირდა. მამა ჯერ გაჩუმდა, მერე ხელი ჩაკიდა და: წამო, მაღაზიაში მივდივარ, რასაც გინდა გიყიდიო. პულოვერი უყიდა – 7 მანეთი ღირდა. მეზობლის გოგოს ჰქონდა ასეთი და მხოლოდ ერთი იყო მაღაზიაში დარჩენილი: ნაქსოვი, უჯრულა პულოვერი. რომ დაუპატარავდა, კატას აცმევდა, სანამდე დედამისმა არ მოუკლა ეს კატა.

დედა უცნაურად გაავდებოდა ხოლმე ზოგჯერ. ასეთ დროს მამასთან უბრობდა, მთელი დღე ერთ სიტყვას არ ეტყოდნენ ერთმანეთს, „წუხელ იჩხუბეს“ – ჩუმად ეტყოდა უფროსი და. უკვირდა გოგოს: ღამე რამდენჯერაც მოსაშარდად ადგებოდა და მშობლების ოთახზე გაივლიდა, სულ ჩახუტებულები იწვნენ და როდის ასწრებდნენ ჩხუბს. ერთხელ გაიგონა, „ნესტორა მაქვსო“, – დედამისი ეჩურჩულებოდა მამამისს. მეორე დღეს მიტკლის ზეწარი დახია პატარა ნაჭრებად. „რისთვის გინდაო“ – გოგომ რომ ჰკითხა, გაიზრდები და შენც დაგჭირდებაო, – უპასუხა. მოგვიანებით აუხსნა, რომ გოგოებს თვეში ერთხელ ემართებათ სისხლდენა.

„ანუ ნესტორა?“ – ჰკითხა და „საიდან იცი, რომ ასე ვეძახიო!“ – გაოცდა, გაბრაზდა კიდეც დედა და უცნაურმა სიწითლემ გადაურბინა სახეზე. ეტყობა, ეს ნესტორა ერთგვარი პაროლი იყო – მხოლოდ მამასთვის გასაგები.

...კარებზე ბრახუნი გაისმა - ის ბიჭი იყო, მერვეკლასელი.

– გამიღე და საინტერესო წიგნს მოგცემ – არ მინდა შენი ვაშლი!

გოგო არ განძრეულა. ბიჭმა კიდევ აბრახუნა ცოტა ხანს და მერე კარების ღრიჭოში, ქვემოდან შემოაცურა გაყვითლებული ბროშურა. „სკკპ ცკ-ის XXVIII ყრილობის ანგარიში“ – ეწერა ყდაზე.

გოგო ადგა, ჯერ ფანჯრისკენ გაიხედა და მერე დაფის საშლელი ჩვარი ჩაიდო წინსაფრის ჯიბეში, ბროშურა აიღო, გადაშალა – ვითომ კითხულობდა და კარი გააღო. გარეთ არავინ იყო – სტადიონზე თამაშობდნენ ბავშვები. ასე კითხვა-კითხვით წავიდა ტუალეტისკენ, რომელიც სკოლის განაპირას იდგა. ფურცლები ამოხია ბროშურიდან და წებოვანი სითხით დასვრილი ფეხები მიიმშრალ-მოიმშრალა, მერე დაფის საშლელი ჩვარი ამოიღო წინსაფრის ჯიბიდან, გაბერტყა - ცარცის ბუღი დააყენა, ფეხებსშორის ამოიდო და კლასში დაბრუნდა.

კიდევ კარგი, თანაკლასელი ბიჭი არ მოვიდა დღეს და მარტო იყო კლასში.

იქ, ტუალეტში, ბროშურას რომ ხევდა, თვალი ჩაჰკრა: „როგორ წაიკითხეთ სიბნელეში? – ჰკითხეს ბელადს. – მე ხომ მთელი წიგნი ზეპირად ვიცოდი“ – უპასუხა ბელადმა“.

ახლა მთავარი იყო, სახლში რომ დაბრუნდებოდა, სახლზე გარედან მიდგმულ კიბეზე ასულიყო და მესამე საფეხურიდან გადამხტარიყო. უფროსი გოგოებისგან ჰქონდა მოსმენილი: როცა „მოგივა“, კიბის მესამე საფეხურიდან უნდა გადმოხტე და მხოლოდ სამი დღე „გექნებაო“. მის უფროს დას 7 დღე უგრძელდებოდა და თავ-ბედს იწყევლიდა. მაგრამ პრობლემა ის იყო, რომ მათ სახლს კიბე არ ჰქონდა: მეზობლის კიბე ჰქონდა ამ დღისთვის შეთვალიერებული. ახლა მთავარი იყო, რამე მიზეზი მოეძებნა დღეს და მეზობელთან შეევლო – ჩუმად გადმოსახტომად.

სახლში რომ დაბრუნდა, კიბიდან გადმოხტომაც დაავიწყდა და თავსდამტყდარი ეს ამბავიც: უფროსი და გაიპარა – თავის ტოლ ბიჭზე გათხოვდა. მამამ გასაშლელი საწოლი გამოიტანა სახლიდან და ვაშლის ქვეშ დადგა: მთელი ზაფხული გარეთ ეძინა, „ჩემს შვილს სხვაგან სძინავს, მე სახლში რა მინდაო“. დედამ გლოვა გამოაცხადა და მთელი წელი, როცა გოგოს სკოლაში გაისტუმრებდა, უფროსი შვილის სურათი გამოჰქონდა, როგორც შვილმკვდარ დედას და ზედ დასტიროდა.

ერთი წლის მერე შეურიგდნენ – პატარა ქორწილი გადაიხადეს და თამადად გერმანულის მასწავლებელი დააყენეს. გოგო მონუსხული უყურებდა: მასწავლებელი ახლა დიონისეს ჰგავდა ანტიკური მითების ყდამოგლეჯილი წიგნიდან, რომელიც სკოლის ბიბლიოთეკაში იპოვა. განსხვავებულიც კი დალია სტუმრებთან ერთად! დირექტორი არ იჯდა სუფრასთან: შარშან საყვედური გამოუცხადეს მოწაფის გათხოვების გამო და „არასრულწლოვანთა ქორწილში ვერ დავჯდებიო“ – მორიდებით შემოუთვალა ოჯახს. „აი, კაცი! არც სიტყვა შეშლია, არც ფეხი!“– ასე იხსენებდნენ მეორე დღეს ნაბახუსევი სტუმრები გუშინდელ თამადას. „მისი ნამოწაფარი ვარ მეც. ამ ხნის კაცი ვარ და ჯერ არც ის და არც მისი ძმა ფეხშეშლილი და ხმააწეული არ მინახავსო,“– ეუბნებოდა სტუმრებს გოგოს მამა.

იმ წელს იყო: დიდმა ბიჭებმა იჩხუბეს. ორი სოფელი დაუპირისპირდა ერთმანეთს. გოგოს გაკვეთილი გაუცდა და არ დაელოდა მასწავლებლებს, მარტო წამოვიდა სახლისკენ. შემთხვევით შეესწრო ხიდზე ჩხუბს. ერთი ბიჭი ხიდის მოაჯირზე იჯდა და „მიდი, დამარტყიო“ – აქეზებდა მეორეს. მდინარე ნახევრად დამშრალი იყო და დიდი ლოდების გროვა ჩანდა ხიდიდან. რომ გადავარდნილიყო, სული არ დაყვებოდა ძირს.

გოგო გაშეშებული იდგა და უყურებდა. მას ვერ ხედავდნენ: ის დრო იყო, წესით, არავინ არ უნდა წადგომოდათ თავზე. „დირექტორი! დირექტორს უნდა ვუთხრა!!!“ – მხოლოდ ეს სიტყვები უტრიალებდა თავში – ისარივით მოწყდა და გაიქცა. გულამოვარდნილმა აირბინა ის აღმართი, სხვა დროს რომ სამი-ოთხჯერ შეისვენებდა ხოლმე და სამასწავლებლოში შევარდა. „ხიდზე ბიჭები ჩხუბობენ!“ – ამბავი მიიტანა და ადგილიდან უცებ წამომხტარ დირექტორს უკან გამოედევნა.

მერე ხშირად ედგა თვალწინ, როგორ შევარდა ხიდზე დირექტორი და ერთმანეთში გადახლართული სხეულების სათითაოდ გამოძრობას ისე შეუდგა, თითქოს ღობიდან აცლიდა წკნელებს. გამოაძრობდა – გადააგდებდა ზოგს ხიდის იქეთ და ზოგს ხიდის აქეთ – იმის მიხედვით, თუ რომელი სოფელი იყო ბიჭი. ბოლო კადრად ხიდზე მარტო მდგარი დირექტორი დაამახსოვრდა: მდინარიდან

მონაბერი ქარი ყალყზე უყენებდა ერთ მხარეს გადაწვენილ ჭაღარა თმას, ცისფერი თვალებიდან ისეთ ნაპერწკლებს ყრიდა, გოგოს ბაბუამისის სამჭედლოში რომ ენახა, საბერველის ქშენისას. სუნთქვითაც ასე სუნთქვდა და ხან ერთ მხარეს მიატრიალებდა თავს გაოცებისგან ყბაჩამოვარდნილი ბიჭებისკენ, ხან – მეორე მხარეს. არც ერთი სიტყვა არ უთქვამს არც ერთისთვის. მანამ უყურა ასე, სანამ ორივე მხარე არ დაიძრა ადგილიდან და თვალს არ მიეფარა.

მერე-ღა შენიშნა ადგილზე მიყინული გოგო და „წახვალთ მარტოო?“ – ჰკითხა. გოგომ თავი დაუქნია – კი, წავალო. მიდიოდა და მალიმალ იყურებოდა უკან: დირექტორი ისევ ხიდზე იდგა და ნიავს უშვერდა გაწითლებულ სახეს.

იმ დღეს მითების წიგნში ნანახ ყველა ღმერთს ერთად ჰგავდა დირექტორი.

„წნევა ვერ დავუგდე 180-ზე ქვემოთ,“ – მეზობლის ქალებთან ყვებოდა მეორე დღეს დირექტორის ცოლი, რომელიც სოფლის ექთანიც იყო. „საერთოდ არ იცის წნევა და რა ვიცი, რა ინერვიულა ასე“.

გოგომ იცოდა. გოგომ და იმ ბიჭებმა, რომლებსაც მერე აღარ უჩხუბიათ.

სამაგიეროდ, სხვა ბიჭებმა იჩხუბეს: გოგოს კლასელის ძმამ და ქალაქის სკოლიდან გადმოსულმა ბიჭმა. ცუდი საქციელისთვის გადმოიყვანეს სოფლის სკოლაში – ასე დასაჯეს. გოგოს მოკლული გველხოკერას თავი ჩაუდო ჩანთაში ჩუმად და გაკვეთილების შემდეგ ბიჭებთან დაიტრაბახა, რა მაგარი იქნება, ახლა სახლში რომ მივა და ჩანთას გახსნისო. კლასელმა მოისმინა ეს და თავის ძმას უთხრა. იმ ძმას, ზ+ნ-ს რომ აწერდა კედლებზე – ჯამის გარეშე.

გზაგასაყართან იყო უკვე მისული გოგო, კლასელის ძმა რომ დაეწია სირბილით. დირექტორი წინ მიდიოდა. აქ გზა უკვე სამად იყოფოდა: მესამე გზა ცენტრალურ გზასთან აკავშირებდა ორივე სოფელს.

დირექტორმაც დაინახა სირბილისგან გულამოვარდნილი ბიჭი და შეჩერდა.

„ჩანთა მომეცი და არ შეგეშინდეს!“

ისეთი სახე ჰქონდა, გოგომ უხმოდ მიაწოდა ჩანთა. ბიჭმა გადმოაპირქვავა და გადმოცვენილ წიგნებს, რვეულებს და საშლელ-ფანქარ-კალმისტრებს გადმოჰყვა გველხოკერას მოწყვეტილი თავიც, ვაშლთან ერთად.

ბიჭი დაიხარა, სათითაოდ აკრიფა ძირსდაცვენილი სასკოლო ნივთები და ჩანთაში ჩაალაგა. უკანმობრუნებული დირექტორი უხმოდ ადევნებდა თვალს. გოგო კანკალებდა შიშით და რისხვით და ფრჩხილებს იკვნეტდა..

– ვინ ქნა ეს?! – ჰკითხა დირექტორმა.

– არ ვიცი, მას, შემთხვევით მოვკარი ყური და გამოვიქეცი, – უპასუხა ბიჭმა.

დირექტორმა ჯოხი აიღო და გველხოკერა და ვაშლი გზის კიდისკენ მიაგორა. ცოტა ხანს იდგა დაფიქრებული და მერე ბიჭს უთხრა:

– ახლა გამახსენდა, რაიონში ვარ დღეს დაბარებული და სასწრაფოდ უნდა წავიდე. ამ „პაპკას“ ხომ ვერ მიატანინებთ ჩემსას? მძიმეა, მარტო ვერ წაიღებს. სოფლის შესასვლელამდე რომ მიაცილოთ.

სოფლის შესასვლელამდე კი არა, სამყაროს დასალიერამდეც გააცილებდა. „პაპკა“ კიდევ ფურცელივით იყო და სავარაუდოდ, შიგნით ბევრი არაფერი იდო. გასასწორებელ რვეულებს სკოლაში ტოვებდნენ მასწავლებლები: სკოლაშივე ითავებდნენ ყველა სასკოლო საქმეს. გოგომ ეს იცოდა. ადრე რუსულის მასწავლებლის გამოტანებული საქაღალდე გადაუვარდა მდინარეში - მოაჯირზე ჩამოდო და ხელი გაეკრა მოულოდნელად. იდარდა ძალიან - გულამოსკვნილი მივიდა მასწავლებლის ცოლთან: ასე დამემართაო. „მერე მაგაზე ნერვიულობ – შენ თუ გგონია, რაიმე უდევს შიგ, ისე დააქვსო“ – უთხრა ცოლმა და ჩამოხსნა გულიდან დარდი.

ეს პირველი გაცილება იყო.

ბიჭს გოგოს ჩანთა და დირექტორის საქაღალდე მოჰქონდა. არ უსაუბრიათ იმ ბიჭზე, ვინც ეს ჩაიდინა. საერთოდ, არაფერზე არ უსაუბრიათ.

– ახლა წადი, – უთხრა გოგომ სოფლის შესასვლელთან.

მეორე დღეს იმ ადგილზე, სადაც გუშინ ბიჭი დაეწია, დიდ ლოდზე დიდი ასოებით ეწერა: ნ+ზ = სიყვარულს.

როგორც იქნა, ბიჭმა ჯამი გამოიყვანა და იმ დღეს, დიდ შესვენებაზე ის მავნე ბიჭიც გალახა.

გოგოს სამუდამოდ დაამახსოვრდა ეს გაცილება, რადგან სახლში მისულს, დედამისი ნამტირალევი დახვდა. „მამაშენს კიბო აქვს!“ – უთხრა.

გოგოსთვის ეს განაჩენს ნიშნავდა.

ნერვიული და დაბნეული გახდა გოგო.

მამას ქიმიოთერაპია დაუნიშნეს და ონკოლოგიურში დააწვინეს იმ დღეს.

... მათემატიკა ჰქონდა. უკვე დიდი ხანია, დაფასთან იდგა და ამოცანის ამოხსნას ცდილობდა.

დირექტორსაც გაოცება ეტყობოდა ხმაში: მარტივ მოქმედებებს ვერ აკეთებდა დღეს მისი სანაქებო მოწაფე.

– მოდით, გავამარტივოთ და ვთქვათ ასე: მამამ იყიდა მიწის ნაკვეთი, რომელსაც სამკუთხედის ფორმა აქვს და უნდა შემოღობოს. რამდენი მეტრი ღობე იქნება საჭირო?

„მამამ იყიდა მიწის ნაკვეთი.“

„ერთი მეტრკვადრატი – ამის აქეთ ღობეა! “

„მამას კიბო აქვს.“

ტუალეტში მოუნდა საშინლად: გრძნობდა, რომ შეიძლება გასკდომოდა შარდის ბუშტი;

– მოდით, დავანებოთ ამას თავი და სახლში დაასრულეთ. ახლა გადავიდეთ ირაციონალურ და რაციონალურ რიცხვებზე. არსებობს თუ არა რიცხვი, რომელსაც გავამრავლებთ ორზე და მივიღებთ ორს?

„გავამრავლებთ ორზე და მივიღებთ ორს.“

„მამას კიბო აქვს“.

„ნ+ზ უდრის სიყვარულს!“

გოგოს მუცელი გაუცხელდა, ისე, რომ ფეხზე დგომა უჭირს. თან ეს შარდი – რა შეუკავებლობა დაემართა, მაქსიმალურად უჭერს

ფეხებს ერთმანეთზე, მაგრამ ტყუილად: მუცელში ისეთ სიმხურვალეს გრძნობს, ავტომატურად აშორებს ფეხებს ერთმანეთს და იფსამს.

დირექტორი ფანჯრისკენაა ამ დროს მიბრუნებული.

კლასელი ზარმაცად თვლემს მერხზე.

გოგოს ფეხებთან გუბე დგება – ეს დასასრულია! მან ჩაიფსა, გაკვეთილზე ჩაიფსა. ამხელა გოგომ დირექტორის გაკვეთილზე ჩაიფსა. შეკრული გუბე ნელ-ნელა იშლება და სადინარს პოულობს ხის იატაკის ღრიჭოებისკენ. ცოცხალმკვდარი გოგო დაფისკენ ბრუნდება და წერს:

არ არსებობს!!!!!!!! – ბევრი ძახილის ნიშნით.

ამასობაში დირექტორი შორდება ფანჯარას, დაფას უყურებს.

– მართალია! – ეუბნება, მერე ცხვირზე ჩამოწეული სათვალიდან იყურება ძირს და:

– რამდენჯერ ვუთხარი დამლაგებელს, რომ კარგად მოამშრალოს ეს იატაკი! დაბრძანდით! ოღონდ ფრთხილად – ფეხი არ აგიცურდეთ. თქვენი პასუხი არის აბსოლუტურად სწორი!

ბევრი წლის შემდეგ:

გოგოს მამა ბევრი წლის მერე გარდაიცვალა - გარდაცვალების მიზეზი კიბო არ ყოფილა.

გოგომ ვერ იტირა და როცა, გაკვირვებული, თავის თავს ეკითხებოდა, სად წაუვიდა ცრემლი, გაახსენდა ის დღე: დირექტორის დახმარებით უცნაურად მოწყობილი პირველი გაცილება-პაემნიდან სახლში რომ დაბრუნდა და დედამისმა კიბოს ამბავი დაახვედრა, მაშინ გამოიტირა მამა. „თურმე ცრემლი უნდა გამოიზოგო, ერთიანად არ შეიძლება გამოლევა“, – უსაყვედურა თავს.

„ჩემი ძმა ესპანეთშია, არ დაოჯახებულა, მე რუსეთში ვარ, საქართველოში იშვიათად ჩამოვდივარ. ნატვრად მაქვს გადაქცეული, რომ გნახო“ – კლასელმა მისწერა მესენჯერში, სკოლის დამთავრებიდან ბევრი წლის შემდეგ.

პატარა ბლოკნოტი მოძებნა გოგომ. მერვე კლასი რომ დაამთავრა, მასწავლებლებს სთხოვა ამ ბლოკნოტში სამახსოვრო ჩანაწერების გაკეთება.

„...დამამახსოვრდები იმითაც, რომ შენ შეგიძლია სხვისი დანაშაულის გამო ბოდიშის მოხდა. ეს ყველას არც შეუძლია და არც სურს! არ დაკარგო ეს თვისება - ადამიანები სასიკეთოდ იცვლებიან, როცა ხედავენ, რომ სხვა იხდის მათ მაგიერ ბოდიშს. თუ ოდესმე შეძლებ, მიდი პარიზის პანთეონში, მარია კიურისთვის. “ ფიზიკა.

გოგომ დანაბარები შეუსრულა.

– ფიზიკოსი ხართ თუ ქიმიკოსი? - ჰკითხა პარიზის პანთეონში წითელპომადიანმა, ლამაზმა ქალმა, მარია კიურის საფლავისკენ რომ მიასწავლა გზა.

– არც ერთი. ჩემი მასწავლებელი იყო ფიზიკოსი, და სხვათაშორის, თქვენ გგავდათ ძალიან.

მხოლოდ ერთი ვარდი ჰქონდა და მარიას ქმარი უყვავილოდ დარჩა, მაგრამ ფიზიკის მასწავლებელს ეს სულაც არ ეწყინებოდა.

„თქვენთან გაკვეთილის ჩატარება ყოველთვის უდიდეს სიამოვნებას და მეტ პასუხისმგებლობას მანიჭებდა. თქვენ უბიძგებთ ადამიანებს, პასუხისმგებლობით მოეკიდონ თავიანთ საქმეს – შეინარჩუნეთ ეს ნიჭი! გარდა ამისა, მათემატიკური ნიჭი, მხატვრულის და მუსიკალურის მსგავსად, თანდაყოლილი ნიჭია და გაჰყევით ამ გზას.“

ეს მათემატიკაა, იგივე დირექტორი.

პირველი ნაწილი შეუსრულა, მეორე – ვერა.

„რამდენი ხანიც არ უნდა გავიდეს, ათას ხმაში გამოვარჩევ შენს ხმას – ეს იმ გოგოს ხმაა, თხა რომ მიაქანებდა ცუდ თავგადასავალში და მე ხელი შევუშალე! გისურვებ, ყოველთვის გამოგჩენოდეს გადამწყვეტ მომენტში ადამიანი, ვინც ცუდ თავგადასავალს ზღაპრად გიქცევს. შენს შვილებს ხშირად უკითხე „ძმები გრიმების“ ზღაპრები“. – ეს გერმანულის მასწავლებელია.

ბოლოს რომ ინახულა, უკვე ბრმა იყო. ხმაზე მაშინვე იცნო გოგო.

მოასწრო და მისი მცდელობის შედეგად, ღირსების ორდენით დააჯილდოვეს სოფლის ღვაწლმოსილი გერმანულის მასწავლებელი – სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე.

წლების შემდეგ მის საფლავთან გერმანელი პროფესორი მიიყვანა.

– რა დასანანია, რომ ვერ გავიცანი. მე ამ დიდებულ ადამიანს აუცილებლად, აუცილებლად დავპატიჟებდი გერმანიაში და საოცარ თავგადასავალს მოვუწყობდი, - თქვა გერმანელმა პროფესორმა.

ილია ჭანტურია

მენდელეევის გაკვეთილები

პირველი ნაწილი: აქ პეტრე სისტემას სწავლობს

ჰიდროგინუმ, არა, ჰიდროგენუმ, არა, არა, ჰიდროგენიუმ, ჰო, ეგრე, ჰიდროგენიუმ, წყალბადი, ატომური მასა? ერთი და ნული მთელი რაღაცა და რაღაცა, არა, ასე არა, თავიდან. ჰიდროგიმუნ, არა. რომელი საათია? შვიდ საათზე ფეხბურთი დაიწყება, მანამდე მოვასწრებ. ჰიდრომიგუნ, კი არადა, ჰ-ი-დ-რ-ო-გ-ე-ნ-ი-უ-მ, შედი თავში, შედი ამ უტვინო თავში. რომელი საათია? ერთი საათი მაქვს, ვიზამ, დღეისთვის ათს ვიზამ. მერე შვიდი მოვა, ფეხბურთიც დაიწყება და ნასწავლიც მექნება. როგორ იყო? ვალდესი, პუიოლი, მასკერანო, ადრიანო, კი არადა, ჰიდროგნუმ, ჰიდროგენუმ,ჰიდროგენიუმ, წყალბადი, ატომური რიცხვი ერთი აქვს და ატომური მასა-ერთი მთელი რაღაც-რაღაცა მეათასედი თუ მეასედი. ფაბრეგასი გვაკლია, ფაბრეგასი არ გვეყოლება დღესო, რატო არ ათამაშებს გვარდიოლა? ტრავმა აქვს? არ უთქვამთ. ფორმაში არაა დღეს? როგორ არ უნდა იყოს ფორმაში ასეთი თამაშია. არა, არა. არ გამოვა ასე. ჰ-ი-დ-რ-ო-გ-ე-ნ-ი-უ-მ, შედი, შედი ამ თავში, შედი ამ უტვინო თავში, რა მოგვიდა? რომელი საათია? ა, გასულა უკვე თხუთმეტი წუთი, დრო გადის. თავიდან ახლა. ჰიდროგენუმ, წყალბადი, არა ჰიდროგენიუმ, წყალბადი, ატომური რიცხვი ერთი აქვს, ატომური მასა კიდევ ერთი მთელი რაღაცა და რაღაცა მეათასედი, მაგდენს არ გამომკითხავს, მაგდენს არ ჩამეძიება, აბა ყველას რა დამაზეპირებინებს?! აბა, კიდევ ერთხელ და მეორეზე გადავედით. ჰიდროგენიუმ-წყალბადი, პირველი ატომური რიცხვი, კი არადა, ატომური რიცხვი ერთი და ატომური ბომბი ამას და ჯანდაბა.

მეორე ნაწილი: აქ პეტრე სკოლისკენ მიმავალ ქუჩას მიუყვება, თან ჩამტვრეულ ფანჯრებს ითვლის და მომავალი მანქანების ჩრდილებს ახტება

სულ ორი, სოხუმის ქუჩამდე სულ ორი. ერთი ქვილითაიების ფანჯარა, ზაფხულში ფეხბურთის თამაშისას მოგვივიდა. ერთი გუნდის კარი ჩემი სახლის ჭიშკარი იყო, მეორე გუნდის - ქვილითაიების, მე კიდევ ჯარიმის დარტყმისას გამოვიქეცი, დავარტყი და ბურთი ავარდა და ქვილითაიების საძინებელში ჩავარდა, ოღონდ მანამდე ფანჯრის მინა ჩაამსხვრია. დედა გამიწყრა, მე ვუთხარი, რომ ფინალი იყო გვერდითა ქუჩის ბავშვებთან და ფინალი კიდევ მსხვერპლს მოითხოვს, არ დამიჯერეს, მაინც გამიბრაზდნენ. გოდიას მანქანა, ჰოპ, ერთი ნახტომი, მგონი ჩრდილზე ფეხიც არ დამიდგამს, აი, იქიდან ავტობუსი მოდის, გამიჭირდება. მეორე ფანჯარა მეუნარგიებთან, ამათ სულ ასე აქვთ, არც ვიცი, როდის ჩაემტვრათ, სარკე კი არა ფანჯარაც არ აქვთ, დედამ ფული არ აქვთ მაგდენი, ვერ აკეთებენო, მერე მივცეთ-მეთქი, დედამ გამიღიმა და თვალებში მაკოცა. ავტობუსი, ჰოოპ, ჩრდილზე დავდგი მგონი ფეხი, ასე არ ითვლება. შემდეგი რო წამოვა, ბოლომდე უნდა გადავახტე. მოკლედ, ორი, სოხუმის ქუჩამდე სულ ორი ფანჯარა. ერთით-ორი კიდევ გუშინდელი თამაში, კამპ ნოუზე წავაგეთ, ნიკოს და ტიკოს როგორ დავემალო, ჩემს რეალის ფან კლასელებს, რა ვუთხრა? სანჩესი, პიკე და ფაბრეგასი არ გვყავდა, ბიჭო, აბა, რა იქნებოდა?! ასე? გამოდგება? მარა მერე რო მეტყვიან კამპ ნოუზე როგორ წააგეთო? თან სანჩესიც შემოიყვანეს მერე. დამცინებენ. ჯობია, არც დავენახო საერთოდ, დასვენება დაიწყება თუ არა ტუალეტში გავვარდები ან ბუფეტში, მშია, კუჭი მტკივა, მოვატყუებ. მარა რო გამომყვნენ ესენი? ისევ ეგ ჯობია, პიკე, სანჩესი და ფაბრეგასი არ გვყავდა და წავაგებდით, რა იქნებოდა? ჰო, ჯობია დავუდგე ეგრე. დამალვა ვერ გამოვა. პოლიციის მანქანა, ჰოოპ და ბოლომდეც გადავახტი. სოხუმის ქუჩის მერე ჩამტვრეული შუშები არ მინახავს. ქუჩაზე უნდა გადავიდე ახლა, დედამ როგორც მითხრა, ჯერ მარჯვნივ, მერე მარცხნივ, თუ ჯერ მარცხნივ და მერე მარჯვნივ. იქით აქეთ ვიყურები და გადავრბივარ, ერთი მანქანა მისიგნალებს ბოლო ხმაზე, ეგ არაფერი, დავიმახსოვრე რომელიცაა და აქეთობისას თუ შემხვდა, ამის ჩრდილს ისე გადავახტები ერთ ცერსაც არ დავდგამ მაგაზე. დე-

დამ ქიმია გზაში იმეორეო, მე კიდევ ახლა რო მომკლა, არ მახსოვს, ჰიფრმიგუნ თუ როგორ? წყალბადი, წყალბადი იყო ეგ კი მახსოვს. ეგ არაფერი, ბოლო მაქვს ქიმია და მანამდე გადავიმეორებ. ქარხანაც გავიარე, აწი მანქანებიც არ იქნებიან. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და სკოლაში ვარ. ნიკო და ტიკო შემოსასვლელთან მელოდებიან, მიყურებენ და ისე უხარიათ, ღიმილი სულ ყურებამდე აქვთ ასული. ახლოს მივდივარ და ვიწყებ, ბიჭო, პიკე, ფაბრეგასი, სანჩესი...

მესამე ნაწილი: აქ პეტრე ქიმიის გაკვეთილს ესწრება, კედელზე ბზარებს ითვლის და წვეთების ხმას უგდებს ყურს

ერთი ბზარი, მარცხენა კუთხესთან, ჭერთან ცოტა ახლოს, მეორე ბზარი მაგას გადაკვეთს და სახლის სახურავს გავს ერთად. ოთახში კიდევ, წკლამპ, წკლამპ, წკლამპ. ტაშტი შევუდგით გაკვეთილის დაწყებამდე. პირველი გაკვეთილიდან მოყოლებული წვიმს და ჭერშიც წყალი დაგროვდა, ახლა კიდევ, წკლუმპ, წკლუმპ, წკლუმპ. მასწავლებელი გაკვეთილს ხსნის, ქიმიის ოთახში ვართ. ამ ადგილში ეტყობა, სახურავი არ ვარგა და წვიმისას სუ ასე არის ხოლმე. ნიკოსკენ ვიხედები, გვერდით ტიკო უზის, ორივეს სახეები აწითლებული აქვს, ცხვირზე ხელი უკიდიათ, გაცინება უნდათ, მარა ასე იკავებენ თავს, მე შემომხედავენ და თვალებით მასწავლებლისკენ მახედებენ. მასწავლებელი ჩვენკენ ზურგით დგას, ხელში ჯოხი უჭირავს. კედელზე სისტემაა გაკრული მენდელეევის და ამ ჯოხით ელემენტებზე გვანიშნებს, ზურგზე კიდევ პატარა ქაღალდი აქვს მიკრული. წარწერით: „მეფსია“. არ მეცინება. ნიკო და ტიკო მაინც ვერ ჩერდებიან, თავჩახრილები ფხუკუნს აგრძელებენ. კიდევ ორი ბზარი მარცხენა კედელზე, ეს ორი უკვე ნიანგის ცხვირს გავს, ცხვირს რა, პირს. ოღონდ მარტო პირს, ტანი არ აქვს, „უთავო მხედარი“ ასე ერქვა წიგნს, ამ ზაფხულს რო წავიკითხე, ეს კიდევ უტანო ნიანგია. ვინმე ამაზეც დაწერს ოდესმე. წლამპ, წკლამპ, წკლამპ. წვეთები ისევ მძიმედ ეცემიან, თან ჩემს მარჯვნივ დევს ტაშტი და პატარა გამოსროლილი წვეთები ჩემს ჩანთას ეცემა. ამ დროს, რო არ ველი ისე –

– აბა, როგორ ვთქვი, რომელია ინერტული აირი-მეთქი? - და ჩემკენ იყურება

ცოტა პაუზა

– ჰიდრუმიგუნ?

ნახევრად ჩამეხლიჩა ხმა. ჩემ წინ მსხდომებს ეცინებათ, ნიკო და ტიკო უკვე ცხვირზე არც იფარებენ, ისე იცინიან, მე თავს ვხრი. მასწავლებელი მიბრაზდება და მერე ისევ აგრძელებს. წამით სიჩუმე და მერე ისევ,

წკლუმპ, წკლუმპ, წკლუმპ.

მეოთხე ნაწილი: აქ პეტრე სახლისკენ მიდის და თან კენჭს მიაგორებს

მშობლებმა ხელი მომიწეროსო, რვეულში წითელი პასტით ჩამიწერა: „არ ასრულებს დავალებებს და გაკვეთილის პროცესში სულ სხვაგან დაფრინავს“. ბოლოში კი ძალიან ბევრი ძახილის ნიშანია, აი, ამდენი მაგალითად: „!!!!!!!!!!!!!!!!!!!!“ ბევრი მოკლედ. სხვაგან დავფრინავ, ისე, ფრენა რო შემეძლოს, მე პირადად ავფრინდებოდი და ჩვენს ქალაქს დავხედავდი ზემოდან. აი, მივდივარ მე ამ ქალაქში, აი, ძველი ქარხანაც გამოჩნდა, აქ მამაჩემი მუშაობდა, სანამ დახურავდნენ, აი, აგერ ბაღიცაა, აქ ერთხელ მე, ნიკო და ტიკომ გოგო და ბიჭი ვნახეთ, რო კოცნაობდნენ, აგერ ეთერის ბუტკა, მანდ ნისია მაქვს 2 ლარი, ორი ჰუბაბუბას გამო, იქით კიდევ სკოლაა და მოვაბიჯებ ამ ქალაქში და სულ ასეთია, გავიხედავ, გამოვიხედავ და ისევ ისეთია, სხვაგან რო დავფრინავდე, ავფრინდებოდი და ბაც და ყველაფერი სხვანაირი გახდებოდა. მარტო სახურავები გამოჩნდებოდა, კვამლი და ადამიანები პატარა კაცუნები იქნებოდნენ, დავხედავდი ამათ და დავაკვირდებოდი, მარტო როგორ მიდიან, რას შვრებიან, როცა მარტო მოდიან. აი, რას უნდა შვრებოდეს მარტო მოსიარულე გულნაზი ეხვაია, ჩემი სკოლის დირექტორი, სულ ასეთი ბრაზიანი სახე აქვს? თუ იღიმის ხოლმე? აი, გავყვებოდი ზემოდან ჩუმად და დავაკვირდებოდი, ამომხედავდა, ხელს დავუქნევდი, გავუღიმებდი და იქნებ აქეთაც გაეღიმა?! მორჩა. ამან კიდევ სხვაგან დაფრინავსო, არაა პრობლემა, ვიცი დედაჩემის ხელმოწერა და მე თვითონაც ვიზამ, მაგრამ სხვა რამეა, რა ვუყო? სულ ასე ჰო ვერ ვიზამ. ჰო, არის ქართული? ვსწავლობ მშვენივრად. ჰო, არის მათემატიკა? ამასაც ვახერხებ როგორც შემიძლია. ისტორია მიყვარს, ბუნებას არც მთხოვენ, ამ ქიმიას რა დაემართა? არა, არ გამოვა ასე, აი, ამ კენჭს გავიგდებ წინ და თუ სუ სახლამდე მივიტანე გორვით, მაშინ დავამუღამებ ქიმიას, მთავარია, კანაოში არ ჩავარდეს, თორე ტალახიდან ვერ ამოვიტან. აჰა, დავიწყოთ.

მეხუთე ნაწილი: აქ პეტრეს უცნაური სტუმარი ეწვევა

ორჯერ ჩამივარდა კანაოში და ორჯერვე ამოვიტანე. ახლა კიდევ ვზივარ ჩემს ოთახში და წიგნს ვარ ჩაჩერებული. თან მეძინება. ძილი ოხერი რამეა, როგორც იტყვის ჩემი მეზობელი გოდია, რომელსაც ერთხელ ჩაეძინა და თითი მოყვა ქარხანაში რომელიღაც საჭრელში, მაგის მერე ოთხი თითი აქვს მარცხენა ხელზე. ძილი მართლა ოხერია, აი, წამოვჯექი ვკითხულობ და ზუსტად მაშინ მომეპარება. რა ოხრობაა ეს სისტემა, რატო უნდა ისწავლოს კაცმა, არ ვიცი. წიგნში ვიყურები და იმ კაცის ფოტოს ვუყურებ, ვინც ეს სისტემა შექმნა. წინათ მარცხნივ არ იყურებოდა? ახლა მარჯვნივ იყურება, თუ მე მეჩვენება რამე? კარგი, არაფერი, ვაგრძელებთ. დიმიტრი მენდელეევი დაიბადა ამა და ამ წელს რვა თებერვალს. ვა, მე 17 თებერვალს დავიბადე, აი, დამთხვევა. ისევ, სახელი - დიმიტრი, გვარი- მენდელეევი, დაიბადა ციმბირში. ციმბირში ცივა, თბილად რო არ ჩაიცვა, გაიყინები ალბათ. მორჩა, ჯობია ჯერ სისტემა დავიზეპირო. წყალბადი, ჰიდროგინუმ, ატომური მასა. საშინელებაა, აი, რას წვალობდა ეს კაცი ამას რო წერდა? რაში ჭირდებოდა ამდენი? ისევ მეძინება, ახლა რამდენიმე წამით თავს ჩამოვდებ და მიშველის არ ჩამომეძინება. თავს ვდებ თუ არა ,უცებ ვიღაც შუბლზე მაჭერს, თავს ვწევ წიგნიდან და პატარა კაცუნა ამოდის. ბაც, ბაც და უკვე ჩემს მაგიდაზეა.

– ასე არაფერი გამოვა, ასე ვერაფერს ვერ მივაღწევთ!

ხმამაღლა ამბობს, მაგრამ წრიპინა ხმა აქვს. თმა გაბურძგნილი კაცია, ოღონდ ძალიან პატარა. წიგნში ვიხედები და სურათზე არავინაა.

შენ, რა, ის ხარ?

– ვინ ის?

აი, ესა. – და წიგნისკენ ვანიშნებ.

– გახლავართ. დიმიტრი ივანოვიჩ!

და მხრებში სწორდება, თავს მაღლა წევს.

როგორ? რანაირად?

– კითხვები. რა საჭიროა ეს კითხვები? ისედაც ცხადია ეს ყველაფერი.

ენა ჩავყლაპე. მართლა კი არ ჩავყლაპე, მარა ასე ამბობენ ხოლმე, რო ეშინიათ.

– როგორ თქვი, რაო? რა ოხრობა სისტემაა?

მე არ მითქვამს.

– კი, შენ თქვი.

კაი, ჰო, მე ვთქვი.

– ასე არაფერი გამოვა, ასე ვერაფერს ვერ მივაღწევთ.

და რას უნდა მივაღწიოთ?

და კაცუნა მენდელეევი სიმღერას იწყებს:

– ვიქტორიაა, ვიქტორიაა!

ჩუმად, რა, ჩემები გაიგებენ.

– მთელმა მსოფლიომ უნდა გაიგოს!

კაი, მაშინ იყვირე.

მენდელეევი მაგიდიდან ძირს ხტება, კარადას უახლოვდება და მაღლა ცოცდება. თითქოს მიტინგს უძვრებოდეს, ისე დგება.

– შენ, ახალგაზრდავ, დროზე მითხარი, რა გიყვარს, რაზე ოცნებობ?

ასე, უცებ?

– დიახ.

მე კიდევ ვეუბნები, რომ მიყვარს ფეხბურთი, გვარდიოლას ბარსელონა, ქუჩაში მომავალი მანქანების ჩრდილებზე გადახტომა და ხანდახან რაღაცებსაც ვითვლი ხოლმე, ჰო კიდევ, ჰუბაბუბას კევის გაბერვა, ოღონდ ისე, რო მერე პირზე არ მომეწებოს.

– და რაზე ოცნებობ?

ახლა ვფიქრობდი, და ქალაქს მინდა გადავაფრინდე. თქვენ დაფრინავთ?

– ფრთებს ხედავ მხრებზე? – და ზურგით ტრიალდება.

ვერა.

– ჰოდა, ვერ დავფრინავ.

გასაგებია.

– ადამიანს არ შეუძლია ფრენა. მხოლოდ გარკვეული მექანიზმის დახმარებით. მე მწამს ზუსტი მეცნიერების!

მაგრამ ეგრე ფოტოებიც არ ლაპარაკობენ.

– მე ვლაპარაკობ?

დიახ.

– ჰოდა, ფოტოებიც ლაპარაკობენ, მორჩა, დავხურეთ ეს საკითხი.

არ მივუბრუნდებით?

– ვერასდიდებით. მე აქ სხვა რამის გამო ვარ.

რის გამო?

– მე შენ გიცნობ, მე თქვენ ყველას გიცნობთ!

ეს მეცნობა საიდანღაც.

– შენ ახალგაზრდავ, როგორ თქვი? გიყვარს გვარდიოლას ბარსელონა არა?

მიყვარს.

– მერე რატომ?

და მე ვუყვები ტიკი-ტაკაზე, ოთხი-სამი-სამის ტაქტიკაზე, ჩავი-ინიესტა-მესის სტრატეგიებზე და საბოლოო გოლზე.

– მერე?

რა მერე?

– ესეც ხომ ზუსტი მეცნიერებაა.

და მენდელეევი კარადიდან ერთ ნაბიჯს დგამს და რწყილივით ჩემს მაგიდას ახტება. ზედ თავისივე სისტემაზე იწყებს სიარულს.

– ოთხი-სამი-სამი გენიალური ტაქტიკაა არა? აბა, ეს რა არის? ეს რა ტაქტიკაა?

და ყვება ჩემთვის უცნობ ელემენტებზე და ყვება, თავის ისტორიაზე, როგორ დაიწყო ეს ყველაფერი სულ ახალგაზრდამ, როგორ გადაურჩა ბევრ გაჭირვებას, მაგრამ ოცნებისკენ სწრაფვით შექმნა მაინც ეს ყველაფერი. ერთი ელემენტიდან მეორეს ახტება და თან მიხსნის. აი, ნატრიუმი ჰო, და იწყებს ნატრიუმზე, რატომ იკავებს ამ ადგილს, რომ მისივე ადგილი გვეუბნება მის ბუნებას. მე ვეუბნები, რომ ფეხბურთშიც ასეა. ჩავი ერნენდესის ადგილი გვეუბნება მისსავე დანიშნულებას. ის ყვირის:

– გენიალურია, გენიალური, ახლოს მივიწევთ.

ტუტე არიდან მჟავე არეში დახტის, ინერტულ აირებზე დასეირნობს და თან მთელი ემოციებით მიყვება ამ ყველაფერს. და მერე აგრძელებს იმ ელემენტებზე, რომლებიც საერთოდ არ იყო აღმოჩენილი და ერთხელაც თვითონ იწინასწარმეტყველა აღმოჩენა. მე სკამზე ვჯდები. თვითონ კალციუმზე მოკალათდება. წამით ჩუმდება და მერე...

– იცი რა მხიბლავს ყველაზე მეტად?

არა.

– აი, აზრები ჩემს თავში გამომწყვდეული, ერთხელაც გავბედე და ყველასი გახდა. ხვდები? ჩემი იყო და ახლა მას ყველა იყენებს, ყველასია, გასაჯაროვდა.

და ყველაფერის ბოლოს ამატებს.

– იცი, რამ მიმიყვანა აქამდე?

წიგნებმა?

– არა, იდეამ! იდეისკენ და ოცნებისკენ გიჟივით სწრაფვამ.

მერე?

– მერე გოლიც გადის, მაგრამ ეს გოლის გატანა საბოლოო არაა, საერთოდ არაფერია საბოლოო. აი, დახედე სისტემას, გგონია ეს საბოლოოა?

არა?

– არა და არა, ჩემნაირები ახლაც ამ ელემენტებში არიან ჩამძვრალი და ახლაც იკვლევენ, კიდევ ბევრი ადგილია ახალი ელემენტების აღმოსაჩენად.

ვაა.

– უსასრულობა, აი, ეს მიყვარს!

და ელემენტთა სისტემიდან ისევ თავის ადგილას ხტება.

და მე რა უნდა ვქნა, როგორ მოვიქცე?

– თუკი გადაწყვეტ, ჩემო კარგო, უნდა დაარტყა!

ყვირის და ესეც საიდანღაც მეცნობა.

–ვსო, მორჩა კინო.

და წიგნს თვითონვე იხურავს.

მეექვსე ნაწილი: აქ კეთრეს მასწავლებელი წერს კეთრეს დედას

გწერთ კიდევ ერთხელ. თქვენი შვილი სრულიად მოსწყდა საგაკვეთილო პროცესს. უფრო მეტიც. გუშინ მომთხოვა მენდელეევის სისტემის შესწავლისას მოედანზე ფეხბურთი ვითამაშოთო, დაამატა, დიმიტრი ივანოვიჩს ვიცნობ, არ ეწყინება, პირიქით, გაუხარდებაო. ხვდებით, რასთან გვაქვს საქმე? დამცინის კიდეც. ხვალვე მობრძანდით!!!!!! დირექტორთან გავარკვევთ ყველაფერს!!!!!!!!!!

მეშვიდე ნაწილი: ამ დროს კეთრე სახლისკენ მიაბიჯებს

ავტობუსის მანქანა, ჰოოოპ და მთლიანად გადავახტი, ცერიც არ დამიდგამს.

ვიქტორიაააა, ვიქტორიაააა!

ნინია სადღლობელაშვილი

ჰანიბალის ფიცი

ჭუჭყიანი ფანჯრის მიღმა წამით შეასწრო თვალი – შორიახლოს მეხი დაეცა ხეს და ნახევარი ტანი ჩამოათალა. ლაწალუწის და ცეცხლის ხმაც სულ ერთწამიანი იყო – ისაც ნამეხარი ხის ძირში ჩაიკრიფა, წვიმის ღვარებმა გადაუარა ზედ.

ცეცხლის ბურთმა, ხის ტანში რომ გაიარა, რაღაცნაირი ძალა მისცა, თვითონაც ვერ მიხვდა, რა დაემართა. ისაც კი მოეჩვენა, რომ თავს თუ ამ ძალას დაატანდა, თოკებსაც გაიგლეჯდა მაჯებიდან და ცალ ფეხზე გამობმულ რკინის ჯაჭვსაც გაწყვეტდა თვალისდაუხამხამებლად. მერე სუნთქვა შეიკრა და მართლა სცადა, შინაგანი ძალით მიაწვა მაჯებს ცალკე და წვივებს ცალკე.

ძვრა ვერ უყო. ნერწყვი მოადგა სასულედან და ისღა გადმოაფურთხა სიმწრით, შეკავებული ჰაერიც გადმოაყოლა. ბუშტივით გაიბერა ჰაერშეპარული ნერწყვი და რამდენიმე წამს საწყლად დაეკიდა შარდისსუნიან მიწურში.

– უჰჰმ... ჩაიკვნესა ცალთვალა მოხუცმა. გვერდით ეჯდა, ცალი საღი თვალით ხის იატაკს ხვრეტდა.

უცებ გამოფხიზლდა, მოხუცს გახედა. მათ გარდა კიდევ ორნი იყვნენ მიწურში. ფეხები საერთო რკინის ჯაჭვით ჰქონდათ გადაბმული, ჯაჭვის ბოლო ჟანგიან ძელზე გაენასკვათ.

ფანჯრის მიღმა ვიღაცამ გაიარა, გააბოტა მძიმე ნაბიჯებით და თითების ტკაცუნით. რაღაცნაირად მუსიკალურად გაატკაცუნა _ ორჯერ, მერე ყოვნი და მერე სამჯერ, დერეფნის ბოლომდე რამდენჯერმე შეცვალა რიტმი, საცეკვაო მელოდიასავით გამოუვიდა.

კედლის ძირში მიბმულმა ტყვემ თავი ასწია. დაძაბულმა გახედა დერეფანს – მარტო ზურგი ჩანდა, ვიღაცის ბრგე, ბუშლატიანი ზურგი. თითებს ისევ ატკაცუნებდა – ორჯერ, მერე ყოვნი და ისევ ორჯერ, ან ერთხელ, მერე ყოვნი, სამჯერ, ისევ ყოვნი და ორჯერ. ტყვეს რაღაც გაახსენდა და თავი ჩაღუნა. ბუშლატიანმა დერეფანში მდგომ ჯარისკაცს ჰკითხა რაღაც, მერე სიგარეტი ამოიღო და გააბოლა.

ტყვემ იგრძნო სიგარეტის მძაფრი სუნი, წვიმიან ჰაერში შერეული, როგორც ნემსის წვერით არტერიაში შეყვანილი ძილის წამალი. ის ძალაც გამოეცალა, წეღან მეხის დანახვაზე რომ მოეჩვენა საკუთარ სხეულში.

ბუშლატიანმა ჯარისკაცს რაღაც უღრიალა ოსურად. იმან თავის სამართლებელი წკმუტუნი დაიწყო. ბუშლატიანმა სიგარეტი ეზოში მოისროლა და კარისკენ შემობრუნდა.

ფეხით შეაღო. ტყვეები შეჩოჩქოლდნენ, ისედაც მკვდრისფერებს შავმა ნისლმა გადაუარათ. კედელთან კიდეში მჯდომმაც ასწია თავი და პირდაპირ შეხედა ბუშლატიანს. რამდენიმე წამს თვალი არ მოუშორებია, რადგან საკუთარ ეჭვს ამოწმებდა, ის არის თუ არაო. ამანაც, ოთხივეს დაკვირვებული თვალით გადახედა და კედელთან მჯდომ ტყვეს ჩააშტერდა. ტყვეს სიგამხდრისგან ყბის ძვლები გამოსწეოდა და დიდ თვალებს ისე აბრიალებდა, ცოტაც და გადმოსცვივდებოდა ბუდიდან.

ბუშლატიანს ცალი ხელი ავტომატზე ეკიდა, მეორეთი ისევ იმ საცეკვაო ტაქტს ატკაცუნებდა. ოღონდ უფრო მსუბუქად, ყუჩად. უყურა კედელს მიყრდნობილ ტყვეს, უყურა და უცებ მოწყდა ადგილიდან და გავიდა.

ცალთვალა მოხუცმა ისევ ამოიოხრა.

– თურმე, ცოცხლად წვავენ, ვინც მოუნდებათ, ჯერ გულ-ღვიძლს გამოაცლიან, ნაწლავებს სათითაოდ და მერე ცეცხლს უკიდებენ... – მოკუმული ტუჩებით გადაუჩურჩულა ერთმა ტყვემ მეორეს.

– მე კიდე ვიცი, რო ზოგი დაინდეს, თუ ნაბრძოლი არა ხარ, გინდობენ, უნდა დაარწმუნო, რო არ გიბრძოლია... – გაეპასუხა მეორე.

საღამოს სხვა ჯარისკაცი შემოვიდა და კედელთან მიბმული ტყვე გაიყვანა.

სარდაფში ჩაეშვნენ ჭრიალა კიბით. ერთმანეთში აზელილი ნესტის და ყროლის მძაღე სუნმა წამით კინაღამ თავის ქალა ახადა,

მაგრამ არ შეიმჩნია, ფიქრობდა, ჩემი ცხოვრების ბოლო ნაბიჯებია და არ დავაკლო არაფერი, რაც შეიძლება მყარად გადავდგაო.

სარდაფში ის ბუშლატიანი მეომარი იჯდა, გაქუცული ტახტის კიდეში. ცალი მკლავი ტახტის საზურგეზე გადაედო და მოლოდინად იყო ქცეული.

შეიყვანეს ტყვე. ბუშლატიანმა თვალით ანიშნა ჯარისკაცს, გადიო.

ტყვემ მიიხედ-მოიხედა. კედელთან პატარა სამკუთხედი მაგიდა იდგა, მაგიდაზე – კომბოსტოს მწნილი და შავი პურის ნაჭრები. იქვე მიდგმულ ხის ყუთში პლასტმასის ბოთლები ეყარა, ზოგი ცარიელი, ზოგში – რაღაც მღვრიე სითხე ესხა.

– დაჯექი, – ხის გადმობრუნებულ ყუთზე ანიშნა ბუშლატიანმა, გამართული ქართულით.

ტყვე ყუთზე ჩამოჯდა.

ბუშლატიანი ადგა, დანა ამოიღო ჯიბიდან და ტყვეს წინ თოკით შეკრული მაჯები გაუთავისუფლა. ტყვემ ხელები მაშინვე სახეზე და მერე თმაზე გადაისვა, თავი მოიწესრიგა თითქოს.

– ხო მიცანი, ილო მას, – თქვა ბუშლატიანმა სულ სხვანაირი ხმით.

ტყვემ ისეთი თვალებით ახედა, ბუშლატიანის ადგილას სხვა რომ მდგარიყო, ლეწავდა ინსტინქტურად. შეიძლება ამასაც ელეწა ამ უტიფარ სიფათში, ამ გამხმარ-გალეულ, მაგრამ რაღაცნაირი სიამაყით გადატიხრულ სიფათში, მაგრამ თავი შეიკავა.

– მიცანი? – ესაც უტიფრად ჩაეკითხა. გამოცხადებული ომის სიმკაცრით.

– ბორია ხარ, მეექვსე ბე კლასიდან ჩემს სადამრიგებლოში სწავლობდი, ბობოს გეძახდი, ბორია რო არ მოგწონდა და ძალიან მიფასებდი ამას – მშვიდად უპასუხა ტყვემ.

– მერე აქ საიდან? – ბუშლატიანი ისევ ტახტზე გაიჭიმა და ტყვეს ისეთი ინტერესით შეხედა, როგორც ძლივსჩართულ დიაფილმს.

ტყვეს გაეცინა. რა ეპასუხა, დაფიქრდა ამაზე. ისევ ჯარისკაცმა უშველა:

– რა გინდოდა ჩვენს ტერიტორიაზე, რაღას გადმოდიოდი, ხო იცოდი, რო დაგიჭერდნენ?

– ხბოს გამოვყევი, ხბო დედამისს გამოყვა, დედამისი – ხბოს მამას, ხბოს მამა – კარგ ბალახს. ასე, ჯაჭვურად.

– ხოდა, მერე, ილო მას?

ბუშლატიანი წამოიმართა, თვალები მოწკურა.

– რა მერე?

– რა გიყო მე შენ, ჰა?

ტყვემ მხრები აიჩეჩა.

– გუშინ დილით გავიგე, რო დაგიჭირეს. აქაურობა მე არ მაბარია, მარა მაგრად ვიჩალიჩე და მე ავიღე ჩემს თავზე. მარა ძლივს გიცანი, ისეთი გამხდარი ხარ... რამდენი ხანია, რაც აქა ხარ?

– ორი კვირაა. მანამდე იზოლატორში ვიყავი სამი დღე.

– რა გინდათ, ვერ გავიგე მე, რა! აი, შენ ხო ისტორიის მასწავლებელი ხარ, ხო გვასწავლიდი, რო ყველამ თავის მიწა-წყალს უნდა მოუაროს და თავის ხალხს მიხედოს, რა გინდათ, რატო გვებრძვით, რას გვერჩით?

ტყვეს არაფერი უპასუხია, ოდნავ გაკვირვებული თვალებით უყურებდა მხოლოდ.

– შენც იბრძოდი, ხო? თუ არ იბრძოდი? გისვრია ადამიანისთვის?

ტყვე ისევ ჩუმად იყო. ბუშლატიანს უკვე აღიზიანებდა მისი სიჩუმე. თითქოს თავის ნათქვამ სიტყვებსაც აზრი ეკარგებოდა ამ სიჩუმეში. არადა, მთელი ღამე ემზადა ამ შეხვედრისთვის. თვალი არ მოუხუჭავს და ათასჯერ აწონა და დაწონა ყოველი სიტყვა და შესაძლო პასუხი. მერე გაახსენდა, რომ ზუსტად ასე ემართებოდა მისი გაკვეთილების წინ, იმ წინაღამეებს ეგრე ათენებდა, რასაც იმახსოვრებდა – იმახსოვრებდა, რასაც არა და ათასნაირი ხერხით ცდილობდა თავის მოწონებას.

– რა გიყო-მეთქი? – უფრო თავისთვის ჩაიბურტყუნა.

– პაპიროსი მომაწევინე, – ისევ ძალიან მშვიდად სთხოვა ტყვემ.

გიჟივით მოწია, ორ ნაფაზში ჩაკლა სიგარეტი.

– არ მახსოვს, თუ ეწეოდი, – კიდევ მიაწოდა ბუშლატიანმა.

– არ ვეწეოდი, – მეორე აღარ გამოართვა ტყვემ.

– ისე, იმ ბოლო გაკვეთილზე რაც მოხდა მაშინ, ჩემი ბრალი არ იყო. – ბუშლატიანი წამოდგა, გაიარ-გამოიარა.

– ვიცი.

ტყვემ თვალი გააყოლა, გაახსენდა, ერთხელ ზუსტად ასე გაიარა მის წინ, გაკვეთილზე, ჰანიბალის სპილოებიანი ლაშქრის ალპებზე გადასვლის ისტორიას ყვებოდა, თან ორივე ხელის თითებს გაუჩერებლად ატკაცუნებდა და ბოლოს ისე შეიჭრა როლებში, ჰანიბალის სპილოსავით ჯერ ხელები ასწია მთავარსარდლის თაყვანისცემის ნიშნად, მერე ოთხზე დაემხო და ხორთუმის მაგივრად მოიქნია ცხვირზე ჩამოფხატული ნაქსოვი ქუდი. ჩაიფსა მთელმა კლასმა სიცილით, მარტო ილო მასწავლებელმა დაუფასა გარჯა და ისაც ჰკითხა, ჰანიბალის ფიცი მთელი კაცობრიობისთვის ცნობილია, როგორც ყველაზე დიდი ერთგულების ფიცი, შენ ვის წინაშე და რაზე დადებდი ჰანიბალის ფიცსო. სამშობლოს არ ვუღალატებდი არასდროსო, ბორია-ბობომ დაუფიქრებლად უპასუხა. ძირს რომი, გაუმარჯოს კართაგენსო, დააყოლა და ბოლოჯერ გაატკაცუნა თითები.

შეიძლება ბუშლატიანსაც ეს ამბავი გაახსენდა ახლა, სარდაფში, რადგან ღიმილით გახედა ტყვეს და ხელები აღაპყრო მერე უეცრად, რაღაც ჩაიბურტყუნა ოსურად. ილო მასმა არ იცოდა ოსური, ცოლი ჰყავდა ოსი და მაინც არ იცოდა, ქართულად ჩაუთაფლავდა ხოლმე, ქალის ლამაზი ყურის ძირში ჩაყურსული, ათასნაირ სიტყვას, თვითონაც უკვირდა, საიდან ვიცი ასეთი ენა ან სად წამოვკრიფე ეს სიტყვებიო. ოსებმა მოუკლეს ის ცოლიც, „მოძმეთა ღალატისთვის“, როგორც ამბობდნენ, რახან არ აიკრა ამ ქალმა გუდა-ნაბადი და არ გაშორდა მტრად შერაცხილ ქმარს. თვითონ იმ დღეს ქალაქში იყო, სოფელში დაბრუნებულს ეზოს ბოლოში, მისივე გაშენებულ მობიბინე ბოსტანში პირაღმა გადამხობილი დახვდა ცოლი, შიშისგან რამდენიმე წამში გათეთრებული და სიკვდილისგან გაქვავებული, მკვლელსაც ეძებდა ცოტახანს, მაგრამ მერე მაგასაც შეეშვა, სკოლაში დაჭერის დღემდე მუშაობდა, ათიოდე მოსწავლისთვის დადიოდა, ამ ათიდან ზოგი ყოფილი მოსწავლის შვილი იყო უკვე.

– საიდან იცი? – დაწყებული დიალოგი გააგრძელა ბორია-ბობომ.

ტყვემ გაუგებრად ახედა.

– ჩემი ბრალი რო არ იყო იმ გოგოს ამბავი, სხვებმა რო მიწერეს ის წერილი და იმ შტერმაც ეგრე მთელი კლასის თვალწინ დალია ის ერთი მუჭა შაბიამანი... – ისევ ბრაზი მოერია ბუშლატიანს.

– ჰოო... – ხელებში ჩარგო სახე ტყვემ და გაიყურსა თავის ფიქრებში.

– გახსოვს, ხო, ეგ გაკვეთილი? – დაკითხვის ტონით დაადგა თავზე ყოფილ მასწავლებელს.

– ყველა გაკვეთილი მახსოვს. – სახე არ აუწევია ტყვეს.

– ძალიან მეწყინა შენგან, აი, გეუბნები, როგორც იქნა რა! ყველაზე მაგრა შენგან მეწყინა, რო არ დამიცავი მაშინ!

ვირთხამ გაიჯლიგინა ტახტის წინ, წამით ორივეს ყურადღება მიიქცია.

– თან გცოდნია, რომ არ ვიყავი დამნაშავე! – გამომცდელად გააგრძელა ბორია-ბობომ. ცოტა ხანს ელოდა კიდეც, ტყვე რამეს რომ უპასუხებდა, მაგრამ იმას თითქოს დუმილის აღთქმა ჰქონდა დადებული – მტვრიან სახელოს იჭამდა მხოლოდ, სახეზე ხელებშემოწყობილი.

– შტერი, დებილი... სუ ფეხებზე არ მეკიდა მე მაგის სიმსუქნე? ან ეგრე რატო აფრენდა ჩემზე, რას ამომიჩემა? – კედელზე ნახევრად ჩამოფლეთილ კალენდარს აუსვა ხელი და ალმაცერად გახედა ტყვეს.

მერე სარდაფის თავში ჩამომდგარ ჯარისკაცს ასძახა. ისაც მაშინვე ჩამობრაგუნდა და გაიჭიმა უფროსის წინ.

– რამე აჭამე და მერე აიყვანე ზევით.

თვითონ უკან აღარც მოუხედავს, დაავლო ავტომატს ხელი და ავარდა კიბეზე.

გამთენიისას, ცალთვალა მოხუცმა ცალი საღი თვალი რომ გაახილა, ისევ თავის გვერდით მიბმული დაინახა ნაცნობი ტყვე და სიხარულისგან კინაღამ იტირა. მეგონა, ცოცხალს ვეღარც ნახავდიო. ტყვეს უცებ ძალიან მოუნდა, ამ კაცთან ელაპარაკა და ყველაფერი მოეყოლა, რაც ახლა გადახდა, ან მანამდე რაც გადახდენია, ისე ძალიან მოუნდა, რომ ძლივს სძლია ამ სურვილსაც და მხოლოდ გაუღიმა მადლობის ნიშნად.

მოხუცი თითქოს მიუხვდა რაღაცას. მისკენ მთელი ტანით გადმოიხარა და ჰკითხა:

– რომელიღაცამ გიცნო აქა, არაა?

კიო, ტყვემ.

მა რა იქნებოდა, მეც სუ დაძაბული ვარ, ვინმე ნაცნობი არ გამომიჩნდეს უცებ და ხო ძალიან უნდა ჩამწყდეს გული... სუ ნაცნობები ვართ ერთმანეთის აქა, ვიღაცის ვიღაცა მაინცაა, რო დაუარო და გამოკითხო... მარა რაღა ძალა აქვს ან ნაცნობობას, დაგვყარეს ეგრე საქონელივით...

იმ ღამით ისევ გაიყვანეს მიწურიდან, ოღონდ მარტო აღარ, მოხუცთან ერთად. ტყე-ტყე ატარეს კარგახანს და მდინარის პირს მიაყენეს გამთენიას. ცისკრის ოქროსფერი იცრებოდა მდინარეში, ზანტი და უხმაურო თქორით. თვალებახვეულები იყვნენ მთელი გზა, ნაპირზე შეხსნეს ორივეს ნაჭერი, მსუბუქად უბიძგეს ზურგში და მიაგდეს დანესტილ ურთხელთან.

ბორია-ბობო გამოეყო მერე ურთხლის ტყეს და წარდგა ტყვეების წინაშე. ილო მასწავლებელმა ძირს დახრილ ავტომატზე დახედა.

ბორია-ბობომ რაღაც უთხრა ოსურად ჯარისკაცებს, სულ ორნი იყვნენ მის გარდა. იმათაც, მაშინვე მოხუცს წაავლეს მკლავებში ხელი და გატრიალდნენ მდინარისკენ. ბორია და ტყვე დარჩნენ მარტონი.

– არ გამოდიოდა სხვანაირად, – კისერზე გაისვა ხელი ბორია-ბობომ – მარტო შენ ვერ გამოგაპარებდი, ძაან დავიწვებოდი.

– იმას რას უპირებთ? – გეგონება ყინული ჩაემსხვრა, ისე აუბრჭყვიალდა ტყვეს თვალები.

– იმაზე რას დარდობ, მე საქმე შენთან მაქ. გიშვებ.

– არ მოკლათ, ბიჭო! – იყვირა ილო მასწავლებელმა.

– ეგ შენი საქმე არაა-მეთქი!

– არ მოკლათ, სამშობლოს გაფიცებ ბობო!

– რომელს? – ღიმილი ჩაყვა ტუჩებქვეშ და სიმწრით გააკანკალა.

ტყვე გაოცებული უყურებდა. ვერაფერი ვერ წაიკითხა ბორია-ბობომ ამ გაოცებაში. უფრო სწორად, რაც წაიკითხა, ის არ აღიარა და მოარიდა თვალი.

სროლის ხმა გაისმა ჭალებიდან. ორივე შეხტა.

– წადი! – უღრიალა ბუშლატიანმა ბოლოს.

თვითონ კუნძზე ჩამოჯდა და ბათინკის ქუსლით მიწა გაჩიჩქნა.

ტყვემ წინ გაუარა. ბორიას მოეჩვენა, რომ რამდენიმე წამით მის წინ გაჩერდა კიდეც და ისაც მოეჩვენა, რომ ტყვემ ხელი გამოსწია მისი თავისკენ. როგორც ერთხელ, გაკვეთილზე, მის მერხს რომ ჩაუარა და ძალიან ფრთხილად შეეხო თავზე, მისი ობლობა გაიგო იმ დღეს და ასე უხერხულად გამოხატა, ერთადერთხელ და უკანასკნელად, რადგან თუ რამე არ შეეძლო, სითბოს საქვეყნოდ გამოხატვა არ შეეძლო.

– დაიცა, – თავი არ აუწევია, ისე გასძახა ბორია-ბობომ – მითხარი, საიდან გაიგე იმ ბოლო გაკვეთილის ამბავი?

შედგა კაცი. უბეში შეიყო ხელი, თითქოს იქიდან ნივთმტკიცების გამოსაძვრენად.

– გიორგამ აღიარა, ბიჭებმა დავწერეთ ის წერილიო, ბოღმა გვჭამდა ბორიასიო, ვერა ვქენით და ვერ ვეძმაკაცეთ მაგ ბიჭსაო, მერე ეგ საწყალი გოგოც გამოჩნდა და მართლა დავიჯერეთ, რო დასცინოდა და დავსაჯეთო.

– როდის აღიარა?– ბელტში ჩამშრალი რუსავით გაეწრიტა ხმა ბორიას.

– ნუკრის ქელეხში აღიარა. იბრძოლა ორივემ, მარა ნუკრი ჩამოგვიყვანეს დაღუპული. გიორგა იყო ძალიან შეცვლილი, ყველას გვეხვეოდა, იქ რო ყოფილიყავი, შენც გადაგეხვეოდა უსიკვდილოდ.

– რატო ვერ ვეძმაკაცეო... – თითები გაატკაცუნა ბორიამ.

– აბა, არ ვიცი...

– შენ რაღატო დაიჯერე მაშინ?

– არც ეგ ვიცი...

– წადი! – ბოლოჯერ გასცა ბრძანება ბორია-ბობომ.

ტალახით გადაზელილ დამრეც ბილიკს ჩაუყვა ტყვე. უბეში შეყოფილ ხელს ღონივრად იჭერდა მკერდზე. აუშვებდა თითებს, ჩაისუნთქავდა ლორთქო ჰაერს, გაებერებოდა სხეული, მიიჭერდა ისევ. მეორე ხელის თითები უნებურად გატკაცუნდნენ – ორჯერ, მერე ყოვნი და ისევ ორჯერ, მერე შეცვალა რიტმი... თავქვე რომ ჩადიოდა, ისაც გაიფიქრა, ნეტა გადმოდგეს ბუშლატიანი ამ ბილიკის თავზე, მომიშვიროს ავტომატი და დაამთავროს ბოლოს და ბოლოსო. რაღაცნაირი ლოგიკაც დაიჭირა ამ აზრში და მოეჭიდა, როგორც ცალი ხელით საკუთარ გულს ეჭიდებოდა მთელი გზა.

მოიხედა უკან, ზევით, ბილიკის თავში მართლა იდგა ბუშლატიანი. რაღაცნაირად სევდიანად გადმოსცქეროდა ტყვეს. მერე ხელისგულები პირთან მოიძაბრა და რაღაც ჩამოსძახა. ექოებად ჩამოშვავდა მისი ხმა, ხელით შეკავებულ გულზე მიეხლიწა და დაძრა ადგილიდან, ამოუგდო ბუდიდან.

ყური მიუგდო აბრაგუნებულ გულს – ორჯერ ამოარტყა, მერე ყოვნი და ისევ ორჯერ... მერე სამჯერ, ყოვნი და ერთხელ... ბოლოს ისევ ერთხელ და დიდი ყოვნი... ვეებერთელა ყოვნი, ოქროსფერი წვიმის სიჩუმე...

მასწავლებლის ღიად დარჩენილ თვალებში ტყის სული ირეკლავდა ვიღაცის სიხარულს, ჩუმად ჩამოძენძილს ნესტით გაგლესილ ხეთა ვარჯებზე, ვიღაცის სიხარულს ახდენილი სიზმრების გამო, გადატეხილი შიშისა და საკუთარ ჩრდილზე ამაღლების გამო.

ამ სიხარულს სამუდამოდ შეინახავდნენ თეთრად გაქვავებული თვალები. სხვის სიხარულს, როგორც ერთგულების ფიცს.

ბესო პაპასქუა

პირწინალი

ხო, ვიცი. ეს ბერდიანსკელი ვიცი და ის ორი არა... ურტყამენ. ტკივილისგან იკლაკნება პალიასტომის გველივით. მე კიდე კედელთან ატუზული ვდგავარ. ხო შემიძლია მივეხმარო, უკნიდან დავცხო სამივეს, ან კიდე მივიყუჟო კუთხეში, თვალები დავხუჭო, ყურები დავიცო და დაველოდო, სანამ ყველაფერი არ ჩაწყნარდება. ამის მაგივრად ვდგავარ კედელს ამოფარებული, ფრთხილად ვიყურები და მთელი ტანი... მთელი ეს ხელები, მუხლები და ყბაც... მიკანკალებს. იმიტო რო ტრიაპკა ვარ, ძუნკალი. არც მიხმარება შემიძლია და არც თვალის არიდება. არადა, ხომ იეჭვებს, რომ არ გამოვჩნდები ამდენ ხანს, რა დიდი დრო უნდა პრიჩალიდან სახლამდე გადარბენას და მერე ისევ უკან გადმორბენას, იმ თავისი ბადის საკემსი ნემსათი ხელში. თან ხომ შემიძლია ეს ნემსაც იარაღად გამოვიყენო და ვატაკო ეგრევე, დავუჩხვლიტო ჯერ იმ ბერდიანსკელს კისერი და მერე იმ ორს, მარა რო დამასწრონ, ხო ჩამათრიეს ზღვაში და მარტყმევინეს ვალნარეზებზე თავი, მერე მიმაბეს ბადით და დამტოვეს იქ მკვდარი ან ცოცხალი. მე შენ გეტყვი და მშველელია ვინმე, ეს გდია ქვიშაში, ფართხალებს ლიფსიტასავით და იქეთ ჭირდება შველა, ჩემი იმედი აქ... ფუ... მე კიდე მარტო მაშინ მაქ ჩემი თავის იმედი, როცა გავრბივარ, იმიტო რო ვიცი – ჩემ ფეხებს დამეწევა ვინმე... რა ვქნა?! ვიდგები აქ და არც თვალებს დავხუჭავ, ისე ვეცდები მომავალი შურისძიების გეგმაზე ვიფიქრო. ეს შემიძლია მარტო – საკუთარი მანდრაჟის ზიზღი, თუნდაც 30 მეტრში ოტკით გამსკდარ მამას ვხედავდე, ქვიშით და თავისი სისხლით რომ ამოუვსიათ უკბილო პირი და ტალღების, კაცების და თოლიების ამ მთელ უაზროდ მარტოსულ ხმაურში უშანსოდ ვარ გავიგო, თუ რის თქმას ცდილობს...

„ნუ მირტყამთ, თქვე ბოზებო!“ ხო, რას იტყოდა აბა ახალს და ამ სიტყვებსაც ახლა და ძლივს ვარჩევ. მეც შიშმა გამიქრო ფანტაზია, თორე რა უნდოდა მაგის გამოცნობას. შიშით ახლაც მეშინია, ახლა, როცა უკვე ჩასხდნენ იმ ბერდიანსკელის შავ მანქანაში და წავიდნენ, მე კი ჰეკლბერი ფინის ლანდივით მივიძურწები მამაჩემისკენ, თან ვიყურები აქეთ-იქეთ, რო არ წამოუაროს რომელიმე ვამპირს და ისევ არ მოსწყურდეს ბროზოვიჩის სისხლი. „მე ვარ, მე“ – ვეუბნები. სახე დალურჯებული აქვს და თვალებიდან ვერ მხედავს. „მამა, რა მოგივიდა“?.. – ვეკითხები, ვითომ არ ვიცოდე და ესეც – დავეციო – ამბობს. არ ვეუბნები არაფერს, ფრთხილად ვუწევ ჯერ თავს და მერე ისევე ფრთხილად ვექაჩები ზევით, მთელი ტანით, მაგის მარცხენა ხელს ჩემს მხარზე ვიკიდებ და მივითრევ ქვიშაში. ნელა, ძალიან ნელა. ,,ბადე, მამა...“ – ბურტყუნებს ძლივს და თავისი გაბურძგნილი წვერით ლოყაზე მეხახუნება, სისხლით და ქვიშით მითხვრის სახეს და ცხვირს მიყროლებს იმ თავისი ლარნახევრიანი ოტკის სუნით. „კი, ვიცი, წამოვიღებ“... ვაწვენ ბალახზე, ამომაქ პლასტმასის ბოთლით ზღვის წყალი და ვასხამ ნელა სახეზე, ვუსველებ შუბლს და ფრთხილად ვუბან თვალებს. სისხლი ღიავდება და რაც უფრო ღიავდება, მით უფრო მიმძაფრდება შეგრძნება, რომ მე მევსება ახლა იმ სისხლით და ქვიშით პირი, რომელიც ამას ჩამოვბანე. იჩხირება სადღაც შუა ყელში და არც წინ მიდის და არც უკან... სასუნთქ გზებს მიკეტავს და მახრჩობს.

ჩემი სახლი გიგანტური ქათმის ფეხებზე არ დგას, როგორც იმ ძველ კინოში მე რო ახლახან ვნახე. ეს ამ ბედობას მოხდა, საიდანღაც 30 წლის პრისტავკა რო გამოათრია ამან, რაღაცა კაბელები

ამოშიგნა, მერე ერთმანეთზე გადააბა, იაშიკიდან დამტვერილი კასეტა ამოიღო, მეზობლის ნაჩუქარ ძველ ტელევიზორს შეუერთა და მიბრძანა სკამზე დავმჯდარიყავი. დავჯექი და ამბობს, მაგარი ვეში იყო ეს 90-იანებშიო. ტვინი მაქ წაღებული ამ 90-იანებით. დააჭირა გვერდითა ღილაკს და გაიჩითა უცბად რაღაცა ნაცრისფერი კადრი, თან ციმციმებს მთელ ეკრანზე საახაწლო წვიმებივით, გამოსახულება იკარგება ხან და ხან კიდე სწორდება, ეს კიდე უყურებს ბედნიერი და ეცრემლება თვალები. ამას არასდროს ჭირდება მიზეზი დასალევად და ახალ წლებზე ხომ გდია იასნია გამომტყვრალი, იოლად პოულობს დასალევს და თან რა ბევრი უნდა, სამ ჭიქაში ხო გატოვია ისედაც და ამ დროს თუ არ იგინება, რაც ძალიან იშვიათად ხდება ხოლმე, მაშინ ტირის. რა ატირებს არ ვიცი, მარა არი შემთხვევები, როცა იძლევა მაინც ბუნდოვან განმარტებებს თავის ცრემლებზე, ხან რას წამოაბოდებს და ხან რას. მაშინ სხვანაირად მოხდა, გაუშტერდა უცბად მზერა ამ ეკრანზე და ხმა არ ამოუღია. თითქოს ვერც მე მამჩნევდა. მაშინ დავინტრიგდი ზუსტად და რომ დავაშტერდი ტელევიზორს, დავინახე, გიგანტური ქათმის ფეხებზე როგორ იდგა ჩემი სახლი და გიჟივით ცეკვავდა. მარტო ის განასხვავებდა ჩემს ქოხს ამ ურჩხულისგან, რომ ქათმის ფეხებზე არ იდგა, თორე სხვა ყველაფერი ადგილზე იყო. ისეთი გრძნობა გამიჩნდა, რო შიგნით ზუსტად ვიღაც ჩემისთანა ცხოვრობდა, ჩემსავით პიანიცა მამის შვილი და მასთან ერთად ძველ ტელევიზორში უყურებდა კინოს ჩემზე. ტელევიზორის წინ ჩავარდნილი დივანი ედგა, სადაც მამამისი ხშირად წვებოდა. შალის ადიალა ეფინა და ბალიშივით ჰქონდა თავქვეშ ამოდებული „ჰეკლბერი ფინი“.

მარა ახლა – „ჰეკლბერი ფინი“ გამოვაცალე და რბილ ბალიშზე დავადებინე თავი, სანამ წამოვაწვენდი ხელით მეჭირა მაგის წელი, რომ არ სტკენოდა. პირაღმა წოლას გვერდზე წოლა არჩია, ოღონდ ჩემგან ზურგით, ისე, რომ ვერ დამენახა მაგისი დასივებული სახე. ხმა არ ამოუღია, კვნესითაც აღარ კვნესოდა და გინებას ჯერ კიდე მაშინ შეეშვა, სანამ აქეთ წამოვიდოდით, ბადე მქონდა ცალ მხარზე გადაკიდებული და ცალზე ეს. გადავაფარე ადიალა, გავიხედე ფეჩისკენ და ფიჩხით ცეცხლის დანთების იმედი ეგრევე გადამეწურა. ეს ხო მარტო ამას შეუძლია, რაღაცა ჯადო აქვს თითებში და ზღვის წყლით გაჟღენთილ ტოტებს ისე აგიზგიზებს, გეგონება ბენზინში იყოს ამოვლებული. ხო არსებობს ფეხბურთის ნიჭი, მათემატიკის ნიჭი, მუსიკის ნიჭი, ხოდა, ცეცხლის დანთების ნიჭი ცალკე ნიჭია. თანამედროვე ამირანია, ამას წინათ დობრი რო გვიყვებოდა სკოლაში. მაგაზე ასჯერ მაგარიც და ათასჯერ უფრო ლოთიც, მარა წელის ტკივილები აწუხებს ისედაც და ასეთი ნაპიზდი ისევლე ჩემი საპრობლემო რო არ გახდეს, ჯობია, სადმე მშრალი შეშა ვიშოვო დროზე და ის რაღაცა მაზიც. გამოვიხურე კარი და გამოვედი ქუჩაში. „რა ჭირს, ბიჯო ბროზოვიჩს?“ – გადამიდგა წინ ცნობისმოყვარე მეზობელიც, ოღონდ როდის და საიდან გაიგო, არ ვიცი, იჭყიტებოდა ალბათ ფანჯრიდან და მეც – არაფერი, აუსრიალდა ზღვაზე ფეხი და ჩავარდა ქვებში თავით-მეთქი, ვუთხარი. „მაგი აკლდა კიდო მაგ გამოსირებულს“ – თქვა და შებრუნდა თავის ეზოში. ხოდა, ზუსტად მაშინ გადავწყვიტე მშრალი შეშა მომეპარა მაგისგან.

ისე, მეზობლისთვის აქამდე არაფერი მომიპარავს. ფოთის პორტის ტერიტორიაზე ჯართით სავსე მატარებლის ვაგონები დგას, წინა კვირას ავძვერი ისე, რომ დაცვას არაფერი გაუგია და ყველაზე მძიმე რკინები გადავყარე კედელს იქეთ, მაღალ ბალახებში. წვიმიანი ღამე იყო და ცხვირს ვინ გამოყოფდა იმ საყარაულო კიოსკიდან, მარტო მე ვიდექი ვაგონზე აღმოცენებული ყვავილივით და ჟანგის სუნი ამდიოდა, ჩემგან მოშორებით კიდე გალიაში გამოკეტილი რკინის მხეცები დაათრევდნენ რაღაცა ბერკეტებს და პროჟექტორების შუქებზე თითქოს ჩემზე მეტად სველდებოდნენ. ყვითელყელიანი ამწე კრანები დინჯ მეტანიებს ასრულებდნენ მთავარი ატობოტის, ოპტიმუს პრაიმის სახელის სადიდებლად, სხვა დროს არასდროს მინახავს სველ რკინებს ასე გულმხურვალედ ელოცოთ თავიანთ ღმერთზე. და ნეტა, მართლა ჩამოსულიყავი, პრაიმ! მარტოს არ მომიწევდა იმაზე თავის მტვრევა, როგორ მეძია შური იმ კაცებზე, ბროზოვიჩი რო ჩააგდეს ასეთ დღეში, ბერდიანსკის უბანშივე მოვუგვარებდით და მერე თავად მამაჩემსაც ავუკრძალავდით დალევას, აღარ დამჭირდებოდა აქ მოსვლა ისევ და ერთი კვირის წინ ბალახებში გადაყრილი ჯართის საძებნელად არ გადავეშვებოდი თავით. მარა შენ არ ჩამოხვედი და ახლა ისევ აქ ვარ, ვიღებ რკინას და მივათრევ გზისკენ, რო არ დაიკეტოს ჯართის ჩამბარებელი პუნქტი. ეზოში არც ვარ შესული, რო მანქანიდან ვგრძნობ დაჟინებულ მზერას, ვიხედები იქითკენ და დობრის სახეს ვხედავ, ლანდივით რო მყავს ამ ბოლოს შემოჩენილი. ასეთ ცუდ დროს აქ საიდან გაჩნდა არ ვიცი, როცა მამაჩემის ძველმანები მაცვია, ხელებით მეშოკები მიჭირავს და გაზეთილ თითებს სულ უფრო ვუჭერ, რომ არ გამისხლტეს. თვალს ვარიდებ დარცხვენილი, ვითომ ვერ დავინახე და თვითონაც ქოქავს მანქანას და მიდის. მეშოკიდან პირდაპირ სასწორზე ვყრი რკინებს. „8 ლარისაა“, მეუბნებიან და მძიმე რკინებს მიცვლიან უფრო მსუბუქ რკინებში. სასწრაფოდ აფთიაქში უნდა გავიქცე, მერე პური ვიყიდო და შეშა გამოვზიდო იმ ჩემი ნაბოზარი მეზობლის ეზოდან... მერე ცეცხლს დავანთებ, ფეჩთან მივიჩოჩები და რადგან შუქი არ გვექნება, ტომ სოიერს ჰეკლბერი ფინის ხათრით წავიკითხავ... დობრიმ მათხოვა წინა კვირას, როცა ვუთხარი ჰეკლბერი ფინი მაქ წაკითხული-მეთქი. თურმე ტომ სოიერშიც წერია ბევრი ჰეკის შესახებ...

„მერე?! ხო არ დაიწვი?“ – მეკითხება სკუმბრია. სკუმბრია თევზის სახელია, მარა ეს, ვინც ახლა მეკითხება, შეშის მოპარვისას დავიწვი თუ არა, თევზი არ არის. თევზებს ხო ლაპარაკი არ შეუძლიათ, სკოლაში არ სწავლობენ და ორიანებს არ იღებენ. დერეფანში ვდგავართ და დიდი დასვენებაა, კლასელები თავისთვის არიან ჩასასტავებულები, გოგოების ჯგუფი, ბიჭების ჯგუფი და ზოგიერთი შერეულადაც, მარა მე და სკუმბრია ცალკე ბანდა ვართ, როგორც ყოველთვის. „არა“ – ვეუბნები – „მარა ბროზოვიჩია ცუდად“. რა ჭირსო? – მეკითხება. „დაეცა“ – ვპასუხობ. სკუმბრია თავს წევს მაღლა და საქმეში ჩახედული კაცის სახით მეუბნება: „ა, პიანი იქნებოდა ისევლე. არა უშავს, მგონი მსოფლიოსაც მალე დაენძრევა“. წინ რო არ მედგას და რო არ ვხედავდე მაგის მზით გადამწვარ

სიფათს, ვერ დავიჯერებდი, რომ ეს სიტყვები მართლა თქვა. როდის იყო სკუმბრია მსოფლიოს ბედს განიხილავდა?! შემატყო ალბათ რო მაგარ გაურკვევლობაში ვარ და ამბობს: „რაღაცა ვირუსი გაჩნდა ჩინეთში და ახლა ევროპასაც აფარჩაკებს, ტელევიზორს არ უყურებ?“ სად მაქ ტელევიზორი. რო არ გაეკეთებინა იმას კრედიტი და მთელი ფული არ გაეტენა დასალევში, ახლა ხო მომისწრებდა სოციალური დახმარება და გადავიხდიდი შუქს, მარა სად არი. ვირუსის ამბავში კი რაღაცას აჭარბებს ეს. „ტრანსფორმერებს ისევ ანახებენ?“ – ვეკითხები. „კი, მარა ბოლო ნაწილი არ დამევასა“. ორი ნაწილი მაქ სულ ნანახი, პირველი ჩემ ტელევიზორში და მეორე სკუმბრიასთან, მარა ჩემი ძველი პანასონიკია და ამას კიდე სონი უკიდია კედელზე, გეგონება მილიონერი მშობლები ჰყავდეს, მარა ბროზოვიჩივით პოხუისტი და ლოთი მაინც რო არ არი მამამისი მაგი ტელევიზორზეც ხო ეტყობა. „როგორ ხართ?“ – მესმის უცბად ზურგიდან, ვტრიალდები და დობრის ღიმილიან სახეს ვხედავ. „კარგად, მას, თქვენ?“ – ვესალმებით ჩვენც და გვერდს გვივლის, შედის კლასში. „ეს მართლა არაა ცუდი როჟა“ – ამბობს სკუმბრია, რომლისგანაც მთელი რვა წელია მასწავლებლების გინების მეტი არაფერი გამიგია, ამ ფრთხილი დასკვნის გასაკეთებლად კი 2 თვემდე დაჭირდა. ზუსტად იმდენი, რამდენი ხნის წინაც ჩვენს სკოლაში დაიწყო მუშაობა და კლასელებმა დობრი შევარქვით.

ჩვენი საკლასო ოთახის კედელზე მეცნიერების შავ-თეთრი სურათები კიდია და ვიდრე გაკვეთილი დაიწყება, სკუმბრია მეკითხება ჩურჩულით: „ეს ვინ არის?“ „აინშტაინი“ – ჩურჩულითვე ვეუბნები. „ეს?“ „ტესლა“ – და სიტყვა არ მაქ წესიერად დამთავრებული, რო სიცილი უტყდება, იფხრიწება გიჟივით. ზარის ხმაზე ყველა შემოდის, სკუმბრიაც წყნარდება. დობრი რაღაცა ცარიელ ფურცლებს გვირიგებს და ამბობს: „მინდა, რამე დაწეროთ თქვენზე, ან სხვაზე. ნებისმიერი რამე“. ასეთი უცნაური დავალება ჯერ არავის მოუცია. საათს დაჰყურებს და 40 წუთი გაქვთო, ამატებს მერე. დავჩერებივარ ამ სუფთა ფურცელს და რა უნდა დავწერო აზრზე ვერ მოვდივარ, სკუმბრიასკენ ვიხედები. „ბიჯო, ტესლაზე დავწერ მე“ – ამბობს და იღრიჯება სულელივით. „თუნდაც თქვენს ცხოვრებაზე, შაბათ-კვირაზე, რაზეც გინდათ. რაზეც ფიქრობთ, რომ დაწერა ღირს“ – ამბობს დობრი. ხელში პასტას ვიღებ და ჩემი სახლის გარდა ვერაფერზე ვფიქრობ, ქათმის ფეხების, ჯართის, ნაცემი ბროზოვიჩის და შურისძიების გეგმის გარდა... და ვწერ, რო სახლი შეიძლება იყოს ლამაზი, ან უშნო. რო სახლი ქათმის ფეხებზეც შეიძლება იდგეს და ამავდროულად, ურჩხულიც იყოს. ვწერ, რო ჩემს სახლს ფეხები არ აქვს და ურჩხული არ არის, მარა ვეშაპია, რომლის მუცლიდანაც მე და მამა ყოველ დილით ვიპარებით, მერე ბადეს ვშლით და მუხლებამდე წყალში ვდგებით. ერთი სირინოზი ზღვისპირა სასაფლაოდან ეპარება სიკვდილის მცველებს და ჩვენ რომ თევზი დავიჭიროთ, სიმღერით ლოცულობს ზღვის ღმერთზე. ასე ხვდებიან ბარაბულკები ჩვენს ბადეში. დაღამებამდე ვეშაპის მუცელში ვბრუნდებით, ფეჩს ვანთებთ, ვვახშმობთ და ცეცხლის პირზე ზღაპრებს ვყვებით, მარა ბოლო თევზაობისას სიკვდილის მცველებმა გაგვიგეს და რადგან თავს დაგვესხნენ, მე წინა ღამით ერთი ზღაპარი დამაკლდა. ვწერ, რო სახლში სუპერგმირის ფორმა მაქვს, ჩემი უახლოესი მეგობარი ტომ სოიერია და ამ დღეებში კომეტაზე ამხედრებული ოპტიმუს პრაიმის ჩამოსვლას ველოდები ვარსკვლავებიდან, რომ შურისძიებაში დავიხმარო...

მარა შენ ისევ არ ჩანხარ, პრაიმ, არ ჩანხარ. შენთვის მოცემული დრო კი ამოიწურა. ყოველ დღე ვხედავ, როგორ დადის იმ ბერდიანსკელის შავი მანქანა ჩემს ქუჩაზე ისე, ვითომ არაფერი მომხდარა და მე ამდენი მოცდა არ შემიძლია.

„რა სირად გინდა კრასკა, მაინც არ მეტყვი?“

სკუმბრია წითელი საღებავით ნახევრად სავსე ბანკას თავისი ეზოდან მაწვდის. „რაღაცაში მჭირდება“ – მოკლედ ვპასუხობ და ვართმევ. „მაგ ჩანთაში რა გიდევს?“ – მეკითხება და ხელით ამოწმებს ჩანთას, მე რო ზურგზე მკიდია. „ნემსა, ჰეკლბერი ფინი და სუპერგმირის ფორმა“. გაოცებული სკუმბრია თევზივით აღებს პირს. „რისი ფორმა?“ ჩანთას ვიხსნი და სკუმბრიას ფეხებთან ვაგდებ. ხსნის და შიგნით იხედება: „პროტივოგაზი... – ამბობს აღფრთოვანებული – რა მაგარია, საიდან მოიტანე?“

ბროზოვიჩმა მაჩუქა 4 წლის წინ, დაბადების დღეზე, 90-ანების ნარჩენია ესეც, ძველ იაშიკში ნაგდები, მარა სკუმბრიას ამას არ ვეუბნები.

„მქონდა“.

„ეს ვირუსისგანაც დაგიცავს. აი, ძმაო, მასკა“ – ამბობს და სახეზე იკეთებს. „სკაიპით დაგვეწყო გაკვეთილები, ხო იცი? ამ ვირუსის პონტში“ – ამატებს მერე იმ ხმით, ტრანსფორმერები რო კინოებში ლაპარაკობენ. „სკაიპით?“ პროტივოგაზს იხსნის, ხელში ატრიალებს და თვალს არ აშორებს, ისე მეუბნება: „ხო, და დობრიმ გიკითხა გუშინ, მე ვუთხარი, რო კომპიუტერი არ გაქ და მაგიტო ვერ ჩაერთე. ბროზოვიჩი როგორაა?“

ცუდად. თავის დივანში ლპება, თავის ადიალაში, მარა ამას ხო სკუმბრიას ვერ ვეტყვი. ასეთი ადრეც მინახავს. ბლანჩიკები აღარ ეტყობა, მარა, რაღაცა უფრო ღრმა ჭირს, უჩინარი. ჩემგან ზურგშექცევით წევს, არაფერს მეუბნება და იკიდებს საშინელ ხავსს, რომელიც მატლებს უჩენს და ისინიც ფუთფუთებენ, იხვევენ მთელ გულს და მერე მკვდარი ძაღლების სიზმრების სეზონი ეწყება. გახრწნილი კატების, ამოშიგნული ნაწლავების – ფსლის, განავლის და შიშის სუნში რო არიან აზელილები და ყარან, ვეშაპი კი ამ დროს დაუნდობლად ინელებს, ინელებს... არ ჩერდება... ასეთის ყურებას, ისევ ოტკით გამსკდარს ვუყურო მირჩევნია, ჩემი დაჭერილი ბარაბულკების და მოპარული ჯართის იმედად როა მარტო და, ახლა ეს ჯართის ჩამბარებლებიც სადღაც გადაიკარგნენ, სკოლა გადადეს, ყველაფერი სხვანაირია და მეც არ მაქ თავის დასაცავად არაფერი, ამ ძველი მასკის გარდა. პროტივოგაზის გარდა, ყოველდღე რო ვუორთქლავ სტეკლოს თვალებს, ვწმენდ სახელოთი და ვუსუფთავებ ფილტრს. ვიხედები სარკის გატეხილ ნატეხში და იქიდან ჩემი სუპერგმირი ორეული მიყურებს, თავის ფორმაში გამოწყობილი, რაღაც ახალი სუპერძალის მქონე გმირი და სანამ შენ ჩამოხვალ, პრაიმ, სწორედ ეგ იქნება ის, ვინც მარტო წავა პირველი ტურის დასახურად.

„უკეთესადაა ახლა“ – ვეუბნები სკუმბრიას და ხელიდან ვართმევ პროტივოგაზს, ჩანთას ზურგზე ვიკიდებ – „დობრიმ თუ კიდე მიკითხა, უთხარი, რო სუპერგმირად გადავიქეცი“, – ვამატებ და ვიკეთებ სახეზე. თავს ისე ვგრძნობ, ვითომ შავი გვირაბის სიღრმიდან ვუყურებდე ჩემს ცხოვრებას და ისევ ვხედავდე, ბროზოვიჩი როგორი მოკუნტული გდია უხმოდ და საცოდავად დივანზე. ჩემი დახშული სუნთქვა მესმის, ჩემი დახშული ფიქრები და თითქოს პროტივოგაზი მკარნახობდეს მაგ ფიქრებს.

დაე, გვეწეოდეს სველი ჯართების გულმხურვალე ლოცვები, რომლებსაც ფოთის პორტის ტერიტორიაზე, წვიმიან ღამეებში, ჟანგიანი კრანები შენდამი აღავლენენ, პრაიმ. ამენ!

ახლა არ ვკანკალებ, არადა, მაშინ ხო დავიბრიდე კინაღამ შიშისგან. მამაშენი რო გდია შენგან 30 მეტრში და სამი ვირგლა ურტყამს, შენ კი ცხვირის გამოყოფის ტრაკი არ გაქ, რაღაცა გაწვება მაშინ ყელში, რაღაცა უღონობის, უსუსურობის და სინდისის შემოტევასავით გემართება. დგახარ შებოჭილი და სუნთქვა გიჭირს, პროტივოგაზიც არ გიკეთია, არადა მთელი სამყაროს შიშებით და დემონებითაა ამ დროს ჩასასუნთქი ჰაერი სავსე და გიძვრებიან ნესტოებში, საზარელ ჭყლეტაში ხელებით და ფეხებით მიიკვლევენ გზას. მაშინ მნიშვნელობა ეკარგება, ის კარგია თუ ცუდი, მნიშვნელობა ეკარგება, როგორი სუნი უდის, ან რამდენჯერ დაგიწვენია მთვრალი, გაგიხდია ფეხსაცმელი და გირეცხია მაგისი ნარწყევიანი შარვალი საპნით, იმიტომ, რო თუ რამეს აქვს ამ დროს მნიშვნელობა, ეს მიზეზია – ნოემბრის ერთი წვიმიანი დილა, როცა რაღაცა უკურნებელი ავადმყოფობით დაავადებული დედა უცბად სირინოზად იქცევა და მერე მისი მიგნება შენ და მამას ამოდენა ზღვაში გიჭირთ. ამ დროს მთელი არსებით გძულს და თან გეცოდება მამაშენი, შენი თავი, ჰეკლბერი ფინი და ვერც კი ხვდები, რო პროტივოგაზი გჭირდება, რომ არ გაიგუდო უჰაერობისგან! რო კარგად დაინახო იმ ნაბოზარი ბერდიანსკელის შავი მანქანა, დაუჩხვლიტო ოთხივე საბურავი და მერე გადაასხა ზემოდან წითელი კრასკა, ჩაულეწო სარკეები და შური იძიო გალახული და დაჩმორებული მამის გამო, რომელმაც წლების წინ გაჩუქა გვირაბივით ბნელი და შორეული სამყარო, ზღაპრების და მომავლის სამყარო, ქაოსის და დამწვარი საბურავების, აფეთქებული მანქანების და შავი კვამლის სამყარო, შენ კი აღგჭურვა მთავარი იარაღით ამ სამყაროში – პროტივოგაზით! ვწევარ მანქანის ქვეშ, გამეტებით ვჩხვლეტ და ვსერავ საბურავებს და ვითომ მაგ ბერდიანსკელის თავს ვჩხვლეტდე, მაგის სახეს ვსერავდე და თან ვხედავდე, როგორ ცდილობს ამომიცნოს, მარა ჩემი ეკრანივით თვალები სხვას არაფერს უჩვენებენ სიკვდილის საზარელი ანარეკლის გარდა, თავისივე შიშის გარდა და ამას აჩვენებენ ისეთივე HD ხარისხში, როგორშიც მე ვუყურე ტრანსფორმერები 2-ს სკუმბრიას ტელევიზორში. ვდგები და მოვდივარ, მოვიპარები ჯერ ერთ პადიეზდამდე, მერე მეორემდე, შურისმაძიებელივით გამოვდივარ ბერდიანსკის უბნიდან და როგორც კი ვრწმუნდები, რო უკვალოდ შევძელი ყველაფრის გაკეთება, ჩემი ქუჩისკენ ვუხვევ, ამომაქ „ჰეკლბერი ფინი“, მადლიერი ვიდებ მკერდზე და ვწვები კანაოს პირას ბალახზე ასე, ხელებგაშლილი. სტეკლოს თვალებიდან ვაკვირდები ცას, ვარსკვლავებს და უცბად ვგრძნობ, რო ამ წუთას თვითონ უფრო ვჭირდები ცაში მოხეტიალე ავტობოტების არმიას, ვიდრე ისინი მჭირდებიან მე...

მინდა ბროზოვიჩმა თავისი დაკარგული სირინოზი ჩემს თვალებში იპოვოს. გულით მინდა ეს და ბაყაყებით სავსე კანაოს ნაპირსაც გულამოვარდნილი ახლა ამიტომ მივუყვები. პატრულის მანქანამ ჩამიარა წეღან და როცა ჩემ პროტივოგაზიან სახეზე აციმციმდნენ მაგისი სირენის ლურჯ-წითელი შუქები, მივხვდი, მეტი სიფრთხილე იქნებოდა საჭირო და ჩემს სახლთანაც, თითქოს მაგის პასუხად, ახლა რაღაცა მანქანას ვამჩნევ. ალბათ მეზობელთანაა ვიღაც სტუმრად და ჩვენ წინ დააყენა-მეთქი, ვიიმედებ თავს და რო ვუახლოვდები, ისეთ რამეს ვხედავ, წესით რო არ უნდა ვხედავდე. ნომერს: Kdg-203. გულის ფანცქალით ვიხედები სახლისკენ, ფანჯრიდან სანთლის შუქი ბუჟუტავს ოდნავ და რა ჯანდაბა ხდება შიგნით, წარმოდგენა არ მაქ, მარა ვხვდები, რო იქ არ უნდა შევიდე. კარი იღება და მესმის ორი ნაცნობი ხმა, ვამჩნევ ორ ნაცნობ აჩრდილს და ვწყდები უცბად ადგილს, გადავრბივარ ქუჩაზე, ვწვები ხის ძირში და გული ამოვარდნას მაქ. ვარჩევ, როგორ ჯდება ერთი ლანდი მანქანაში და ქოქავს. ხის ფოთლებს ვეკვრები სულ უფრო, ვიდრე არ უხვევს ჩემი ქუჩიდან და არ ქრება მაგისი შუქი. მერე პროტივოგაზს ვიხსნი გახურებული სახიდან და სახლისკენ მივდივარ. ბროზოვიჩი აღარ დგას ეზოში. ვაფარებ თავს ვეშაპის მუცელს და ნელა როცა ვაღებ ოთახის კარს, ვხედავ, როგორ უჭირავს ხელში სანთელი და კარის ჭრიალზე გაოგნებული ტრიალდება ჩემკენ: „შენზე მითხრა, კარგად წერსო... და ესენი მოიტანა“. ნეტა ამას ხო არ დაემართა ის რაღაც ვირუსი და აბოდებს? „რას წერსო?“ არ იძვრის ადგილიდან და ტრადიციული რამე ემართება - ეცრემლება თვალები და წინადადებებს ძლივს, სვენებით აბამს ერთმანეთზე: „თავისუფალი თემა დავაწერინე და ყველას ჯობდაო... ახლა ინტერნეტით უტარდებათ ბავშვებს გაკვეთილები და ეს ჩემი ძველი კომპიუტერი და მოდემი თქვენ უფრო გამოგადგებათო...“. უცბად რაღაცა ბურთი მიჩნდება ყელში, პატარა, უხილავი ბურთი და მერე ნელა იწყებს ზომაში ზრდას... ვაჭერ კომპიუტერის ღილაკს თითს და შემოდის ცისფერი შუქი ჩემს თვალებში, საგნებში და ჯადოსნობასავით ეფინება მაგიდაზე სითბო, ნაჩუქარი წიგნების გროვაზე იღვრება და ვხედავ, რო ერთ ყდაზე – მართლა რაღაცა სიგიჟით, თუ სველი რკინების ლოცვათა მადლით, ჩემი პროტივოგაზი ხატია, პრაიმ! ზუსტად ისეთი, ახლაც ხელში რო მიჭირავს და ქვეშ დიდი ასოებით აწერია სათაური: „METRO – 2033“.

დილის ექვსი საათია და ფეხზე ვარ უკვე, მთელი ღამე მესიზმრებოდა, როგორ დავფრინავდი ვარსკვლავებიან ცაზე ცეცხლისფერი ავტობოტით. როგორც კი ინათა ავდექი და წიგნს დავავლე ხელი. ფურცელზე ვინიშნავ პასტით იქიდან ამოწერილ კოდურ სიტყ-

ვას, რომელსაც როგორც იქნა მივაგენი და მერე დავყურებ ისევ გარეკანზე, შუბლს ვუკოცნი პროტივოგაზს. ბროზოვიჩი შეყუჟულია ვეშაპის მუცლის შორეულ კუთხეში და დამნაშავესავით მათვალიერებს. „ახალი მოთხრობის სათაურს ვეძებდი და ვიპოვე“ – ვეუბნები, მერე ხელში ვიღებ პროტივოგაზს – „ის უნდა დავარქვა, რაც ახლა ხელში მიჭირავს და რასაც ბერდიანსკის კორპუსებთან სახეზე გავიკეთებ“. გაკვირვება ეტყობა, მარა არ გამოხატავს და მეუბნება: „კარგი სათაურია, მარა დარჩი მამა შენ, იმეცადინე, მე მარტოც ამოვყრი ბარაბულკებს“. არა, მეც უნდა წავყვე, რო რაც შეიძლება მალე ჩავაბაროთ თევზი გადამყიდველებს და გადავიხადოთ შუქის ფული, ჩავრთოთ კომპიუტერი და დავენახო დობრის. გაკვეთილებს შევუდგე. გამოვდივართ, ისწორებს ბროზოვიჩი მხარზე გადაკიდებულ ბადეს და ცდილობს, ნაკლები ტვირთი ამკიდოს, უკვე დასახმარებლადაც აღარ მეძახის ყოველ წუთს, როგორც იცის ხოლმე. ვიყურები ზევით, შორს, სილურჯისკენ. მეტი უნდა ვიფიქრო, რო დობრისთან არ ჩავიჭრა, ზუსტად ამიტო ვიყურები მაღლა და იმაზე ვფიქრობ, რო ვეშაპის მუცელში ახლიდან დავიბადეთ, როგორც ორი კეთილი ზღაპარი და ახლა, ბადეგადაკიდებულები მივდივართ ბარაბულკებზე სათევზაოდ. ლურჯი ცა გვახურავს ქუდად, იქ, სადღაც ავტობოტებიც დაქრიან და ოპტიმუს პრაიმის პლანეტაც არსებობს – სახელად კიბერტრონი. ბერდიანსკის კორპუსებთან ვართ უკვე, ჰაერი მძიმდება და ვიკეთებ პროტივოგაზს. ჩემი დახშული სუნთქვა მესმის, მკერდთან დამთამაშებს რეზინის ხორთუმი, სტეკლოს თვალებიდან კი ბროზოვიჩს ვაკვირდები, ვამჩნევ, როგორ ქურდულად აპარებს მზერას ეზოსკენ და ვიდრე გვერდს ავუვლით, გაოგნებული ანელებს ნაბიჯებს. ხედავს შავ მანქანას, გაპარტახებულ მანქანას და ხედავს თავში ხელებწაშენილ ბერდიანსკელებს, ბზიკებივით რო ირევიან ეზოში და ვერ გაუგიათ, თუ საიდან დაატყდათ თავს საზარელი რისხვა. მაგრად ვუჭერ თითებს ხელზე: „ალბათ ვიღაცას რამე დაუშავა და შური იძიეს“. – ისევ დახშული ხმით ვამბობ და მეღიმება. ბროზოვიჩი დამყურებს ჩაფიქრებული, ცოტახანს ეჭვნარევი თვალებით დამჩერებია და მერე თავს აქნევს, მხვევს მხარზე ხელს და სულ უფრო მიხურებს კისერს მაგისი თითებიდან გამოჟონილი სითბო. ვაგრძელებთ ჩვენს გზას და უცბად მეკითხება: „მერედა, იცი, შენ, მამა, რა ჰქვია პროტივოგაზს ქართულად?“

რეზინის ხორთუმს მხარზე ვიგდებ, ისევ მეღიმება და ვეუბნები: „აირწინაღი“...

სოფიო კუბლაშვილი

გაფუჭებული ტელეფონი

მთოვარისა

– დილა მშვიდობისა! რატომ დგას სკოლასთან საპატრულო პოლიციის მანქანა?

– გაგიმარჯოს, განა! უთენია გამოგვეცხადნენ. უჩხუბიათ პარასკევს მეათე კლასის ბიჭებს.

– თქვენი სადამრიგებლოა, ხოო, ქალბატონო ვარდისა? მერე? სერიოზუ...

– დიახ, ჩემია, ჩემი!.. მერე... მერე არაფერი – სისხლი ადინეს ერთმანეთს, მაგრამ გადარჩნენ, ცოცხლები არიან; ეს თუ გაინტერესებს... ჩემი ჯანმრთელობა კი შეიწირეს, თუმცა ეს ვის ადარდებს?! მე აღარც შვილიშვილებისთვის ვვარგივარ და აღარც ქმრისთვის. გული მიგრძნობს, გადამაყოლებს დირექტორი ამ ამბავს, მოგვიშორებს თავიდან მეც და ჩემს ბიჭებსაც, როგორც იცის ხოლმე...

– წინასწარ ნურაფერს იტყვით!

– ყელში ამოვიდა ყველაფერი. გამაგდებს და გაიხარებს ჩემი ქმარი. ცხელი კერძი ენატრება კაცს.

– რის გამო იჩხუბეს? რა თქვეს ბოლო-ბოლო ბავშვებმა.

– ესენი ახლა რამეს იტყვიან?! ენა აქვთ გადაყლაპული.

– ჰო, ერთმანეთს დაიცავენ...

– ერთმანეთი დაავიწყდებათ, ჩემო განა, გამომძიებელი კითხვებს რომ დაუსვამთ. ისე გამოტყდებიან, შენგან მოწონებული. ბერიკას წამოწყებულია...

– ნუ იტყვ...

– რა სულ მაჩუმებ, გოგო! მე რას გამომაპარებენ, ოცდათექვსმეტმა თაობამ გამოიარა ჩემს ხელში. ჩუმად რომ ზის ეგ შენი ნაქები ბერიკა გვრიტის ბარტყივით, ისეთი ბოღმა უტრიალებს გულში, თვალებში არ ეტყობა, რა უკუღმართიცაა?! ხუთშაბათს სკოლიდან რომ გავედი, ამოსახვევში წავადექი მაგათ თავზე; პატიკო უყვიროდა, ნუ ტლიკინებ, თორემ წიხლქვეშ გაგიგდებო. ბერიკამაც, რას იდორბლებიო... ამასობაში ვიყვირე მე, ახლავე დაიშალეთ-მეთქი. ბოდიში, მასო და წავიდნენ თავთავისი გზით. ვერ მოვითმინე, ვიტიას დაველოდე, ჩემ უკან მოდიოდა და იმას ვკითხე; არაფერი ისეთი, მას, ბერიკას ლენკასთვის უთქვამს, პატიკოს შენ არ შეუყვარდებიო. – ძლივს ამოილუღლუღა. როგორ ფიქრობთ, ამას აპატიებდა პატიკო?! პატივს სცემს მთელი უბანი, გამოჰყვა მეორე დღესვე მთელი საძმაკაცო. იცი...

– ბოდიში, გაგაწყვეტინებთ, გავალ, გაკვეთილი მაქვს. ეს რა განცხადებაა? – შვიდი გაკვეთილის შემდეგ საგანგებო თათბირი დიდ ოთახში. დასწრება სავალდებულოა!

– ახლა შეამჩნიე? მოადგილემ გამოაკრა.

– განა! განა! გელოდებოდი. მესამეზე მივდივარ მეც, დერეფნის ბოლოდან ავიდეთ. რაო ვარდისამ? მე დამიძახეს და...

– ქუჩაში კამათობდნენ, თავზე წავადექიო...

– არ დაიჯერო. მე ვიცი, მანდ რაც მოხდა.

– ჩვენება მიეცი?

– კი, ეს წამია დასრულდა. ვითანამშრომლე გამოძიებასთან; ასე არ გვიბრძანა იმან?! მოკლედ, ხუთშაბათს მეშვიდე ჩემი ჰქონდათ. მაშინ დაიწყო ეგ კიწი-კოწი...

– ჰო, ალბათ, ეგ გაგრძელდა ქუჩაში.

– მოიცა, გითხრა: მაგათ ოთახში კედელი არის გამონგრეული ერთ ადგილას, წინა წელს გამოგლიჯეს „შტეფსელი“. სექტემბრიდან

მოყოლებული ფხიკა და ფხიკა იმ უსაქმურმა ვიტიამ პასტით და უფრო ჩააღრმავა, რას დავეძებდი, ოღონდ გიტარა არ ამოეღო და... იმ გაკვეთილზე ბერიკამ გააგრძელა გამოხვრეტა; არაფერი ვუთხარი, წყნარად ოჯდა, გოგოებს არ მიცდენდა. როგორც მივხვდი, მერხზე ჩამოყრილ სილას შეუბერა სული, ამ დროს შემობრუნებული ყოფილა მისკენ პატიკო და კი შეეყარა თვალებში ეს მტვერი. ამას მოუთმენდა? წამოუხტა. მე რომ არა, მერხით მიაჭყლეტდა კედელთან იმ საცოდავს.

– რას მეუბნები, ცისნამა?! შენ რა გააკეთე?

– გავაშველე, გოგო. დავაშორე ერთმანეთს. ჩემი ხათრით გაჩერდა პატიკო, თორემ ის კი იყო მოსაკლავი. დაეჩემა, გავიგონე ჩემი ყურით, ოთახიდან რომ გამოვდიოდი, ვერ გადამირჩებიო. კიდეც გამოჰყოლია მთელი უბანი. იცი, რა მამა ჰყავს?!

– არ ვიცი. ვწუხვარ!

– კი, ეს ამბავია. სხვა რა იქნებოდა. ამ ბერიკას ვერ იტანს მთელი კლასი. ისიც დაიგრიხება უშნოდ. ფუჰ!

– არ იცით ზუსტად და შეიკავე თავი!

– აი, ვიცოდი, რომ დაიცავდი. შენ გიყვარს მარტო ხოო ბავშვები?! არ თქვა ახლა ბავშვი არასდროსაა დამნაშავე, უფროსის დაუდევრობააო; არ გაიმეორო! კარგი, დანარჩენს მერე მოგიყვები; გვაგვიანდება; აჰა, სად აღწევს სასწავლო ნაწილის ხმა.

დიდ ოთახში უფრო ომახიანი ტემბრი უხდებოდა დირექტორს. ადმინისტრაციული რგოლის წარმომადგენლები ჩამოსხდნენ პირით ჩვენკენ, ზურგით დაფისკენ – თავად, ერთი მოადგილე და ერთიც „უფრო“ მოადგილე – სულ სამი. გავინაბეთ.

დირექტორი ალაპარაკდა: – მოგეხსენებათ, პარასკევს, 23 ოქტომბერს, „ხელოვნების ბაღში“ ჩვენი სკოლის მეათე კლასისა და ვაკის უბნის ბიჭებს შორის სიტყვიერი დაპირისპირება გადაიზარდა ფიზიკურ ჩხუბში. ერთი ჩვენიანია დაზარალებული – ბერიკა.

დაკითხვებს ვესწრებოდი. შევაჯერეთ ოქმების შინაარსი და დავადგინეთ შემდეგი: ხუთშაბათს, ბოლო გაკვეთილზე, ბერიკა დაგვიანებით შემოვიდა კლასში, თავისი ადგილის ნაცვლად პატიკოს მერხისკენ აიღო გეზი და მის უკან დაჯდა. როგორც კი დრო იხელთა, პატიკოს მიმართა, მანაც მოიხედა, ამ დროს ბერიკამ პირდაპირ თვალებში შეაყარა ქვიშა, რომელიც ეზოდან ამოიტანა ჯიბით; თან დასცინა, ხო დაგაბრმავეო. ქიმიის მასწავლებელმა მართებული ჩარევით დროებით გაანეიტრალა კონფლიქტი და შეაჩერა მანდატურიც ბერიკას დაცვის მიზნით. მეორე დღისთვის დაიბარა უბნის ძმაკაცები პატიკომ. დანარჩენი იცით, როგორც გაგრძელდა. ბერიკა არავინ დაიცვა. ისევ პატიკომ შეაჩერა აღელვებული ბიჭები. ბერიკა არის სასტიკად ნაცემი და ახლა დედამისი გვიჩივის. ბერიკას დედის საჩივარი დაკმაყოფილებულია; ხუთი ბიჭი გარიცხულია სკოლიდან – ყველა, ვინც შემთხვევის ადგილას იმყოფებოდა, გარდა პატიკოსა და ლადიკასი. გადაწყვეტილებას არ შევცვლი! ამოვიდა ყელში! ასევე ვალდებული ვარ, გაცნობოთ: ახლახან შემატყობინეს ერთი უსიამოვნო ფაქტის შესახებ. ერთ-ერთი სხვა უბნელი ბიჭი...

ამ დროს ახმაურდა ჩემი მობილური. შევცბი – დამვიწყებოდა გამორთვა. აჩქარების გამო ჩანთიდან ამოღებისას ხელიდან გამიცურდა, დაენარცხა მერხის რკინის ფეხს და დაიშალა.

– დედას გული აუჩქარდა ამ დილით. დარდი გამომყვა.. ის იქნებოდა; – ვუჩურჩულე ხათუნას. ავღელდი, ნაწილები ავკრიბე და ოთახიდან გასვლა ვითხოვე. ტელეფონი ავაწყვე, მაგრამ ეკრანი აღარ განათდა. ამასობაში, მასწავლებლებიც გამოვიდნენ და... მეც აღარ დავაყოვნე, სახლში ავადმყოფი დედა მელოდა.

ანიასი

„ვაგზლის მოედნის“ პირველ ხაზზე გადასასვლელს შიშით გავხედე. წამიერად ხალხის ნაკადმა ისე გამოავსო გვირაბის სიგანე, რომ დაუყოვნებლივ თითებით მოვისინჯე პირბადე, რადგან დისტანციას ვერ დავიცავდი. მხოლოდ ნაბიჯის აჩქარებით თუ დავიცავდი თავს მომაკვდინებელი ვირუსით ინფიცირებისგან. მივხვდი, სუნთქვა როგორ ამიჩქარდა. კიბეზე ჩავირბინე და სადგურის ცენტრისკენ გავიჭერი. ვიღაც სევდიანად მღეროდა – შენელებული ტემპითა და კვნესანარევი ხმით: „სუუუულ ზეეეევით ზეეეეევით, მაააღლაააა და�ა მა�ააღლااااა... (ბოლო „ა“ ჩახვეულ, ჩაწნული ტონალობით).“

იგივე მელოდია, იგივე ხმა, ოღონდ ახლა ხრინწშერეული და სუსტი. მაშინაც ხალხით გადაჭედილ გვირაბში შევრგე თავი და გავარღვიე ნაკადი; დახურულ სივრცეში სუნთქვა მიჭირდა ყოველთვის, მაგრამ ადამიანების არ მეშინოდა. მაშინაც ხალხში ჩაკარგული შემსრულებლისკენ ავიღე გეზი, თითქოს ხმამ თოკი ჩამაბა და გამათრია. მოსაცდელ გრძელ სკამზე ოჯდა მამას ასაკის მამაკაცი, სუფთა ტანსაცმლითა და გადავარცხნილი შეთეთრებული თმით, მარცხენას თითებზე ლურჯი კრიალოსანი გამოეხლართა, მარჯვენათი დირიჟორობდა. მღეროდა ღიმილიანი მღელვარებით. ვერაფრით გავუმკლავდი სურვილს; რატომაც არა, გვერდით მივუჯდები და ხმას ავუწყობ-მეთქი, გადავწყვიტე. ნაბიჯი კი გადავდგი და პირიც გავაღე, მაგრამ არც ერთი სიტყვა არ გამახსენდა; მიმიხვდა, ხელით დამწვდა, გვერდით მომისვა და ჩემს თვალწინ მოხაზა ტაქტი გრძელი თხელი მტევნით. ამიყოლია. თვალები დავხუჭე. ასე უფრო ვინარჩუნებდი ტონალობას. მიმიკისა და ჟესტის სიზუსტეს შეგრძნებით ვარჩევდი, მას მხრით ვეკვროდი. აქამდე უცხო შვებით ვსუნთქავდი. ან სად შენახულიყო ამდენი ემოცია, ახლა რომ ჯებირგარღვეული კაშხალივით გადმოიღვარა?! თურმე ბავშვობაშიც არ ვთავისუფლდებოდი ნეგატიური განცდებისგან, ამიტომაც მშურდა ლაღი ბავშვების.

– დასრულდა! სხვა ვიმღეროთ! – მიჩურჩულა ყურში.

– უნდა წავიდე! მეჩქარება! – წამოვდექი. კაბის კალთა ჩავისწორე. – ეს რა დაცვივდა? – დავიხედე წკაპუნის მიმართულებით. ფეხებთან ოთხი ოცთეთრიანი და ორი ორლარიანი გადავთვალე. დავიხარე, სწრაფად ავკრიფე, მინდოდა არავის შეემჩნია; მინდოდა, გამექრო. ისევ ჩამავლო თითები იდაყვთან: – არაფერია, თავიდან შეგრცხვებათ, მალე მიეჩვევით!

ეს ადრე იყო, სტუდენტობის დროს. დღესაც მომინდა, მემღერა; მთელი გულით მემღერა; მაინტერესებდა კიდეც, რამდენად დავძლევდი თვითშეზღუდვას, მაგრამ მამაკაცის დანახვისთანავე გადავიფიქრე – ჯიბეებჩამოხეული პიჯაკი, ბინძური შარვალი. ხელში ლუდის ბოთლი და ჭუჭყიანი ფრჩხილები. ერთი რამ იყო მაშინდელი – დირიჟორობა.

ვაგონში შევვარდი, მეგონა, მოვასწრებდი. ორივე მხრიდან ძლიერი დარტყმით მომხვდა კარი. მეტკინა.

– სიზმრების გჯერათ?

– ლადიკა, შენ ხარ? არა, არ მჯერა.

– ჰო, მე ვარ, განა მას! რატომ?

– ცხადი არასდროს ჰგავს ზმანებას; იმიტომ კი არა, რომ სინამდვილე მოქმედებაა და ძილი უმოქმედობა, არა. იმიტომ რომ, სიზმარში ფიქრი განსახიერდება ხოლმე; ფიქრი კი არასდროს ჰგავს ქცევას, არასდროს.

– ...და ადამიანები?

– რას გულისხმობ?

– ადამიანების თუ გჯერათ?

– სიზმარში თუ ცხადში?

– ყველგან...

– მხოლოდ ისინი მესიზმრებიან, ვისაც ვენდობი.

– უცნაურია.

– რატომ?

– დედა ამბობს, ვისაც ვენდე, ძირი გამომითხარაო. ყოველთვის შევცდიო; ხომ არ დამესიზმრებოდა, ვინ მიღალატებდაო.

– ასე ამბობს?

– დიახ! ... და მეც მეუბნება, გირჩევნია, არავის ენდო, თორემ უბედური იქნებიო.

– დედას ენდობი?

– დედას?..

– ჰო, დედაშენს.

– დედაა და... თუმცა ერთხელ მომატყუა, ერთადერთხელ. სიზმარში ვნახე ის ჩხუბი. იგივე ადგილი, იგივე ბიჭები, იგივე სიტყვები – ზუსტად.

– ჩხუბი? შენ რა, მონაწილეობდი?

– დიახ, მას, იქ ვიყავი.

– კიდევ ვინ იყო იქ თქვენი კლასიდან?

– ყველა, მას. ლეო, ვიტია, გოგა, ზაზა, ბექო. არც ერთს აღარ ვენდობი.

– და ეს გაწუხებს?

– ცუდად ვარ, მას! თან ეს ვიტია... მისი არ მესმის; უცნაური ვინმეა. ვისკენ იყო, ვერ მივხვდი, ყველასკენ იქნევდა ფეხებს... თქვენი მობილური რეკავს, მას, უპასუხეთ, მე გავალ.

– არა, არა, დარჩი. – ალო, ალო, დიახ, გისმენთ! რომელი ბრძანდებით? არაფერი მესმის... ალო!.. გავთიშავ. -დედაჩემი იქნებოდა. ავადაა და... გუშინ დამივარდა ტელეფონი, დაზიანდა. თავი მოგაბეზრე... უნდა წავიდე. რაო, რას ამბობდი, ვიტია რაო?

– სხვა დროს ვისაუბროთ, მას. ვეღარ ვასწრებთ.

– ხვალ, შვიდი გაკვეთილის შემდეგ, „ხელოვნების ბაღში“, მეკლდეურების საფლავთან რომ შევხვდეთ? თუ თქვენც...

– შევთანხმდით. მოვალ.

გაზრდილან ბიჭები-მეთქი გავიფიქრე. გადაწყვეტილების მიღებაც და თავის დაცვაც შეუძლიათ. ამათ მე-9 კლასში ვასწავლიდი, ერთი სასწავლო წელი, მაინც მომისწრია ბავშვების შეყვარება. არასდროს დამავიწყდება პირველი გაკვეთილი. – გავიცნოთ ერთმანეთი! – ვთხოვე და გავილიმე. – მე დავიწყებ. ჩემი სახელია განა, იმერეთიდან ვარ, ეროვნებით ქართველი, ჩემი გვარი ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებულა ორი საუკუნის წინ. ვარ ოცდაცხრამეტი წლის, მყავს ერთი ძმა ავსტრალიაში და დედა თბილისში, რომელთან ერთადაც ვცხოვრობ; მიყვარს საქართველოს მთაში ხეტიალი და ფოტოების გადაღება. სულ ესაა. ახლა თქვენი რიგია. – მივმართე წინა მერხთან მჯდომს.

– მე გოგა მქვია, ვარ თოთხმეტი წლის, მყავს დედა, მამინაცვალი და ორი ძმა; მათგან ერთი ჩემი ნახევარძმაა, სამი წლის. ვცხოვრობთ ბაბუას დიდ სახლში, თბილისში. მამაჩემსაც ჰყავს შვილი მეორე ცოლთან, ჯერ არ ვიცნობ. მიყვარს „ავატარის“ პერსონაჟების ძერწვა. გამომდის. კოლექცია მაქვს.

– მე ლევანი ვარ. ლეო რაა. თხუთმეტი წლის გავხდები ამ კვირაში, მყავს მამა, ოცდაორი წლის და და უმცროსი ნახევარძმა, რომელიც ძალიან მიყვარს. პროფესიონალურად ვცურავ. თბილისელი ვარ. დედა პატიმარია. მამას მეორე ცოლი ჩვენთან ერთად არ ცხოვრობს.

– მე ზაზა ვარ, თოთხმეტი წლის, ვცხოვრობ მამასთან და სამ უფროს დასთან ერთად. დედა იტალიაშია უკვე ათი წელია. მიყვარს ჩოგბურთი და საბურთალოს გუნდის წევრი ვარ. ადრე ბათუმში ვცხოვრობდით.

– მე ვარ ლუხუმია; წელს გადმოვედი ამ სკოლაში; თხუთმეტი წლის; მე და დედა ვცხოვრობთ მარტო. მამაჩემმა მიგვატოვა, მაგრამ, როცა საქართველოშია, ყოველთვის მნახულობს. მიყვარს მუსიკის მოსმენა, ვუკრავ გიტარაზე და, თუ მარტო ვარ, ვმღერი. მე თბილისში დავიბადე. დედა მესტიიდანაა და ზაფხულს იქ ვატარებ ხოლმე. მამაც სვანია, ბაბუამისს მიუტოვებია იქაურობა და თბილისში ჩამოსახლებულა. სოფელს ვერ ვიხსენებ... ჩემი სახელი არ მომწონს. რაც ჟურნალში წერია, არ დამიძახოთ, მას. ვიტია მირჩევნია.

– მე ბერიკა ვარ თოთხმეტი წლის, მყავს დედა და და. მამა გარდამეცვალა, როცა ათი წლის ვიყავი. მალე ძმა გამიჩნდება, მე მოვუვლი, დედას დავეხმარები. სამეჯლისო ცეკვა მიყვარს, სახლში ვცეკვავ ჩემთვის, მარტო. თბილისში ვცხოვრობ.

– მე პაატა ვარ. პატიკო დამიძახეთ, მომწონს. თხუთმეტის ვარ. მამაჩემი იურისტია და ლექტორია თსუ-ში, ადრე სამინისტროში მუშაობდა. დედაჩემი ნოტარიუსია. დედისერთა ვარ. მიყვარს ინგლისურ ენაზე ფიზიკის ლექციების მოსმენა და სიმძიმეების აწევა. სპორტი რაა! მყავს ინგლისური სეტერი და თუთიყუში. მეც თბილისში დავიბადე. ვაკეში ვცხოვრობ.

– მე ბექო ვარ. თოთხმეტი წლის. ექვსი და-ძმა ვართ. დედას გარდაცვალების შემდეგ მამამ ორჯერ იქორწინა. ნანკა საყვარელი ქალია, დამპირდა, საბერძნეთში წაგიყვან, როგორც კი სკოლას დაამთავრებო. ჩემი ოთხი ძმა მცირე საოჯახო ტიპის სახლში ცხოვრობს. მამა, ნანკა და პატარა ემილი ათენში არიან, მე ბებიასთან დავრჩი. მიყვარს ბაგირზე ცოცვა. განსაკუთრებით დაშვება. თბილისში ვცხოვრობ.

– მე ლადო ვარ და ლადიკას მეძახის ყველა. თოთხმეტისაც არ ვარ ჯერ. ადრე შემიყვანეს სკოლაში. თურმე ბაღში ვისწავლე კითხვაც და

წერაც. მყავს დედა, მამინაცვალი და ორი წლის ძმა, რომელიც ძალიან მგავს მე. მოფარიკავე ვარ. ორგზის საქართველოს ჩემპიონი. კომიქსების გამოგონება და ხატვა მიყვარს. ჰო, მეც თბილისში დავიბადე, მას.

დანარჩენების ოჯახები ჩვენი კულტურისთვის დამახასიათებელ გავრცელებულ მოდელს აღწერდა: დედ-მამა, და-ძმა, ბებია-ბაბუა... ვცხოვრობთ ერთად, დავდივარ ცეკვაზე, მუსიკაზე, ფეხბურთზე, ცურვაზე, მხატვრულ კითხვაზე. გამიხარდა, რომ ვიტიამ მაინც იცოდა თავისი გვარის წარმომავლობა – ერთადერთმა.

მომინდა, ხელთავიდან მომეყოლა ჩემ შესახებ. უყოყმანოდ ჩამოვარაკრაკებდი, რომ განქორწინებული ვარ, რომ ყოფილ ქმარს მავნე ჩვევების გამო გავშორდი, რომ მიზანი სხვა მაქვს და მასწავლებლობა ჩემი საყვარელი საქმიანობა არაა; რომ, მინდა აღიარება მოვიპოვო ხალხისგან და, არ ვიცი, ამას როგორ მოვახერხებ. რომ ღარიბი ვარ და ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობ, რომ მაშინვე არ მაქვს ის, რაც მომინდება. რომ ბრძოლას დათმობა მირჩევნია და ამიტომაც ვარ ხელმოცარული, რომ წარმატება შორსაა... – ასე, ზუსტად ასე, ვიტყოდი. ნეტავ, ჯერ ბავშვებისთვის მომესმინა. ასეთი გამოუცდელების მიმღებლობამ გამაკვირვა. ნუთუ, უმტკივნეულოა მათთვის რეალობასთან შეგუება-მეთქი, დავეჭვდი.

ეჩმისი

– მათქმევინეს, განა მას, მათქმევინეს. არ დაიჯეროთ არაფერი, რა! რაღაცნაირად მომიდგნენ...

– რას გულისხმობ, ლადიკა? როგორ?

– გამომძიებელი კითხვებს მისვამდა, მე ჩუმად ვპასუხობდი. დირექტორი ჩემს პასუხს ახმოვანებდა, მეც უნებურად თავს ვაქნევდი, ვიღაც წერდა.

– ოქმს გაეცანი?

– დიახ. თუ გინდა, გადაიკითხეო. ვცადე, მაგრამ თვალები ამიჭრელდა და...

– როდის გაიგე, რაც ეწერა შენს ჩვენებაში?

– დედაჩემმა წაიკითხა ხელის მოწერამდე... ასეთი ანერვიულებული არასდროს მინახავს. მიყვიროდა, რატომ ჩაუშვი ბერიკაო.

– მართლა ჩაუშვი?

– არავინ ჩამიშვია.

– მეტყვი რა მოხდა?

– რა და, წინა საღამოს პატიკომ იკაჩავა თავისი უბნის ბიჭებთან. ერთი მეორეს საყურეს შეხებია ხელით, ეს რა გიკეთია, ბიჭოო; იმას თავი ჩაურტყამს სახეში. პატიკოს ის საყურიანი ბიჭი დაუცავს; შენ ვინ გეკითხება, ყური თავისია, რასაც უნდა იმას გაიკეთებსო და ამაზე აკიდებულად. ამ დროს შემოსულა ეზოში სასწრაფო დახმარების მანქანა და დაშლილან.

– მერე?

– მეორე დღეს სამი ბიჭი მოადგა პატიკოს სკოლაში. ჩვენხელები იქნებოდნენ, მას, ოღონდ უფრო დაკუნთულები. მარტო ხომ არ დავტოვებდით პატიკოს?! ჰოდა, გავყევით.

– ბერიკა რა შუაშია?

– ბერიკას ხომ იცნობთ, მას. წიხლის ჩარტყმა არ შეუძლია, არც ლანძღვა-გინება და მუშტების ქნევა. მშვიდი ტიპია, არ გვაწუხებს. კი დავცინით ხოლმე, მაგრამ არავის დავაჩაგვრინებთ. ალალია რაღაცნაირად და სულ გაუგებრობაში ეხვევა. წინა დღეს კედლიდან მერხზე ჩამოცვენილ მტვერს სული შეუბერა და შემთხვევით თვალებში შეეყარა პატიკოს, ისიც სიმწრისგან დაეტაკა, ძლივს გავაშველეთ... მაგრად ვიცინეთ მერე ბიჭებმა ამ ამბავზე.

– ვერაფერი გავიგე...

– ერთი შორს დადგა, ორმა პატიკოს შეუტია, ჩვენთან შეცდომები არ გაგივაო; ბერიკას დალაგებულად საუბარი ეხერხება და მოვილაპარაკოთო; შენ ვინღა ხარ, რატომ ერევიო, მერე მასხრად აიგდეს, რას გავხარო; ილაზღანდარავეს – კაცურად ილაპარაკე, რას იპრანჭებიო; ზურგში მაისური გამოუქაჩეს, გატკაცუნების პონტში, შენ ლიფიც გეცმებაო. მერე იმ მაყურებელმა დაიძახა შორიდან: -ვინც პიდარასტი არაა, ჩემ გვერდში დადგესო და, რა მოხდა იცით, მას? ჩვენებიც მას ამოუდგნენ.

– რა უხამსობაა. რა მიზნით?

– იცი, როგორ წაესივნენ ბერიკას? წააქციეს და ზედ შედგნენ. ფეხებს სულ სახეში ურტყამდნენ. ხელებით იფარავდა, გადაბრუნდებოდა თავდაღმა, ისევ გადმოაბრუნებდნენ...

– როგორ? რამდენი? პატიკოც?

– ორი ისინი და ხუთი ჩვენები. არა, მას. მე და პატიკო უკან ვექაჩებოდით სათითაოდ; ერთს გამოვათრევდით და, სანამ მეორესაც დავწვდებოდით, ის პირველი წამოდგებოდა... ვერაფერს გავხდით. ვტიროდი, ვბღაოდი, ქალაჩუნას მეძახდნენ. რა გაბღავლებს, ბიჭო! მიგასიკვდილებდით, მარა, შენ როგორ გცემოთ, მიწას არ აჩნიხარო, თავში წამომცხეს, ამიგდეს.

– ბერიკამ რა ქნა?

– გამწარდა, მას, და ძალა მოიკრიბა; ქვემოდან ჩაარტყა ფეხებს შორის წიხლი, ვისაც მისწვდა; ერთ ვაკელს ისე ძლიერად მოხვდა, ტკივილისგან ჩაიკეცა და გონება დაკარგა; მოასულიერეს. ამ ჩოჩქოლში კაცებიც მოცვივდნენ, პატრულს გამოვიძახებთო. ბერიკას თხოვნით შეჩერდნენ. კლასელები არიანო... მაშინ სასწრაფოო. ეგ ერთი და იგივეაო, ბერიკამ. მოვიხედე და სადღა იყვნენ, გაქრა ყველა.

– ვინ კაცები?

– აი, კამათლის კაცები, რაა. სულ იქ სხედან. ხმაური გაუგიათ და...

– მერე რა ქენით?

– მე და პატიკომ წამოვაყენეთ ბერიკა, ძლივს გაიმართა, მას. პატიკო ტაქსის გაჰყვა, ჩვენ ფეხით წავედით სახლისკენ. ბერიკა აქვე ცხოვრობს, ბაღთან. გზაში კარგად გავხდებიო, მაგრამ უფრო და უფრო მძიმედ მეყრდნობოდა მხარზე. დავტოვე შინ. დედამისი მალე უნდა დაბრუნებულიყო სამსახურიდან. მეც დედაჩემისთვის უნდა მიმესწრო სახლში, იმ მდგომარეობაში რომ არ ვენახე.

– პატრულმა როგორ გაიგო?

– ცუდად გამხდარა ბერიკა და დედამისს დაურეკავს სასწრაფოში, პატრულიც მოჰყოლია. იმ დღესვე დაუწერია საჩივარი დედამისს. ბერიკას არავინ დაუსახელებია. ნარდის მოთამაშე კაცები დაუკითხავთ; მათ ჩემი და პატიკოს გარეგნობა აღუწერიათ, სხვა არავინ გვახსოვსო. მართლა ვერ დაიმახსოვრებდნენ, ისე გაქუსლეს.

– და დედაშენმა რაო? რა წააკითხეს?

– ჩემი ჩვენების ოქმის მიხედვით, თითქოს მე ვთქვი, რომ ბერიკას ვერავინ იტანს და მეგობარი არ ჰყავს, რომ სულ ეგ იწყებს ჩხუბს, რომ ყურადღების მისაქცევად კონფლიქტს იწვევს, რომ „შტეფსელი“ გამოაძრო, კედელი რომ გამოენგრია და პატიკოსთვის თვალებში სილა შეეყარა, მანაც ჯერ არ აპატია, მაგრამ ბოლოს მაინც მაგას შეეცოდა და ძმაკაცები შეაჩერა. – ტყუილია!

– და შენ რა უამბე გამომძიებელს?

– მათქმევინეს-მეთქი. სიმართლეს ვერ ვეტყოდი. როგორ მეთქვა, რომ ჩემმა მეგობრებმა დაასისხლიანეს ბერიკა?!

– ჰოდა, რა თქვი?

– აუ, განა მას, იცით როგორ ურტყამდნენ?! კლავდნენ, მას. არ ჩერდებოდნენ, რა დაუშავა ბერიკამ, მას. მაინცდამაინც კუნთებიანი უნდა იყოს და უნდა იგინებოდეს? მეც არ შემიძლია ეგეთები, მას, და ამისთვის უნდა მცემონ? კბილები ჩაუმტვრიეს, მას, ცხვირიდან სისხლი სდიოდა, თვალები ჩაწითლებული ჰქონდა. ტანსაცმელიც შემოახიეს. ჩანთა, მას, ჩანთას რაღას ერჩოდნენ, დაუხიეს და რვეულები დაფხრიწეს. მაპატიეთ, რომ ვტირი! შემეცოდა, მას!

– მესმის შენი. არა უშავს, იტირე!

– ვერ დავიცავი, მას! მრცხვენია, ძალიან მრცხვენია. არასდროს შევეგუები... ვივარჯიშებ, მეც კუნთებს დავიყენებ... დავადგები და მანამ ვცემ, სანამ ბოდიშს არ მოუხდიან ბერიკას. მათ სახეებს რა დამავიწყებს. ვიცნობ. მრცხვენია მას, ამ სირცხვილს ვერ მივეჩვევი...

– ეგ ვინ გითხრა?

– რა?

– რომ სირცხვილს მიეჩვევი.

– დედაჩემმა მითხრა. არა უშავს, ამ შემთხვევას ცხოვრება დაგავიწყებსო; ახლა თავს დამცირებულად გრძნობ, მაგრამ უარესს რომ გადაიტან, ამას არაფრად ჩააგდებო. თანაკლასელის ჩაშვება კი გამოგივიდა, თუმცა შენ თავი ხომ უნდა გემართლებინა, ასე ჯობდაო. სირცხვილს ეჩვევა კაცი, სამაგიეროდ, სკოლიდან არ გაირიცხებიო.

– ...და რაო გამომძიებელმა, რა კითხვები დაგისვა?

– თქვენგან ჩხუბი ვინ დაიწყოო? სიმართლე ვთქვი მას, ბერიკამ-მეთქი. ჩვენგან მართლა მან ამოიღო ხმა პირველმა, პატიკომ სთხოვა და იმიტომ. ასე ვთქვი, მართლა.

– კიდევ?

– ესე იგი, თქვენ შეუტიეთო? კი, მას, შევუტიეთ, მართლა შევუტიეთ, მაგრამ ჩვენს შეტევას კამათი ერქვა თავიდან, მერე ყველაფერი აირია-მეთქი. არ ვიცი, რას წერდნენ. ალბათ, ბოლომდე არც მისმენდნენ და სხვანაირად გამოჩნდა ყველაფერი. აუ, მას, ისეთნაირად მიტრიალეს კითხვები, დავიბენი.

– კიდევ დაგისვეს კითხვა?

– ბერიკა როგორი ბიჭიაო? ვუთხარი, რომ კეთილია, რომ სულ იღიმება, რომ განსხვავებულად იცვამს; რაღაცნაირად, არაბიჭურად მოძრაობს, ამიტომ გოგოებთან უფრო გამოუდის მეგობრობა-მეთქი. მერე პატიკოზეც მკითხეს. ვუთხარი ათოსანია და ფულიც ყოველთვის აქვს, ყველას ეხმარება, ხშირად ვკამათობთ, შეთანხმება უჭირს, მაგრამ საიმედო მეგობარია-მეთქი. სიმართლე ვთქვი, მას. ვიტიაზე რაღას იტყვიო. იქ იყო-მეთქი. მართლა იყო და...

– მესმის ძალიან კარგად. დედა არ ესწრებოდა დაკითხვას?

– დიახ, ერთად შეგვიყვანეს, მას! მაგრამ დედას პირველი კითხვის დასმისთანავე გული გაუხდა ცუდად და გაიყვანეს.

– და დაკითხვა მაინც გაგრძელდა?!

– დიახ, მას! დედაჩემისთვის განყოფილებაშივე უთქვამს დირექტორს, გავრიცხავ ყველას, მარტო ლადიკას და პატიკოს დაეწერება ოქმებიო. – რატომ მას, რატომ? სწავლა უნდა მიატოვონ? სად მიდიან სკოლიდან გარიცხული ბიჭები, მას?

– არ დაიჭერენ არავის. სხვა სკოლები მიიღებენ. ასეა.

– ...გაიგეთ ხოო, მას, საბოლოოდ როგორ დასრულდა ეს ჩხუბი?

– არ ვიცი. კიდევ მოხდა რამე?

– გახსოვთ, გითხარით, ბიჭი ჩაიკეცა-მეთქი... თქვენი ტელეფონის ხმაა, მას!

– ა, მოიცა! – ალო! დიახ! ალო! გისმენთ... ისევ არ ისმის. არ ისმის თქვენი ხმა, მაპატიეთ, უნდა გავთიშო... – ალბათ, დედაჩემი მირეკავდა. დღესაც მაღალი წნევით გაიღვიძა... შემაგვიანდა და... რას ამბობდი?

– მე გაშოვიებთ, მას, მობილურს იაფად, ლომბარდი აქვს ბიძაჩემს.

– ჰოო? დავფიქრდები, განვადებით ვაპირებ შეძენას კვირის ბოლოს. წავიდეთ, კარგი? რომელ ადგილას მოხდა ჩხუბი? კამერები არ არის?

– შორს, დაღმართს ქვემოთ, მინდორზე. ვიდეოთვალი შეამჩნიეთ, მას, სადაა დამონტაჟებული?

– დიახ. ცენტრალური ბილიკისკენაა მიმართული. ამ ადგილიდან მართლაც შორსაა.

– ვახ! ღობის იქით წითელ ბოტასს ვხედავ. ჩვენებისაა. ამოვიტან.

– სად მიძვრები? ფრთხილად, ლადიკა! არ ჩაცურდე! მხოლოდ ერთია? ვის ეცვა ეგ?

– ვიტიას, მას! პარასკევს სპორტზე ათხოვა ბერიკამ; ტყავის ფეხსაცმლით ფეხბურთს ვერ ითამაშებდა და... მაგას მარტო გიტარა არ რჩება სახლში. კი არადა, მგონი აჩუქა. იმიტომ რომ, ბოლო გაკვეთილზეც მის ფეხზე შევამჩნიე. ვეხუმრე კიდეც, ვიტია, რა პატრიოტი გახდი, ეროვნული დროშით დააბიჯებ-მეთქი. ბერიკამ მარტო მაგისთვის გაიმეტა, მას! ბიჭებს გაგვიტყდა... ამოვიტანო, თუ ეგდოს აქ?

– მომაწოდე, მე მექნება!.. სახლამდე როგორ მივიდა? თავისი ჩაიცვა, ალბათ. წავიდეთ!

– ალბათ! აბა, ცალი ბოტასით ხომ არ ივლიდა?! იქ როგორ აღმოჩნდა, მას?

– ძაღლი გადაათრევდა. რა ლამაზი ძირი აქვს – დროშის კვალი. ესეც ნახე სიზმარში?

– არ მახსოვს. შიშმა გამაღვიძა. კუბოში ვესვენე და დედაჩემი თავზე დამტიროდა. შვილი მომიკლესო... აზრზე არ ვარ, ვინ მომკლა და რატომ.

– ყველაფერი კარგადაა. ყველაფერი...

აფროდიტისა

დილის სუსხის გამო მეტროთი მგზავრობა ვამჯობინე. მაშინ კი ვინანე, როცა პირველ ხაზზე გადასასვლელ გვირაბში აღმოვჩნდი, მაგრამ გვიან იყო. განაპირა რიგს გავუყევი. – ის იყო?! არაა, წარმოუდგენელია, ის არ იქნებოდა. – მომაბრუნა ფიქრმა. შევცდი. კედელს მიყრდნობილი ახალგაზრდა ძალიან ჰგავდა ვიტიას. მასავით

მაღალი და მხარსუსტი იყო, წაბლისფერი მოკლე ვარცხნილობით და აბურდული წარბებით. გიტარაზე უკრავდა და მელანქოლიურად ღიღინებდა. ქათქათა მაისური რომ სცმოდა, ნამდვილად გადავეხვეოდი. ვიგრძენი, როგორ მომნატრებოდა. ნეტავ, სად არის ახლა-მეთქი. ხურდების მოსაგროვებელი ქუდის დანახვისას, ჩემდა გასაკვირად, ამჯერად ლარიანი მონეტის ნაცვლად ხუთლარიანი ამოვძებნე საფულეში და ჩავდე. გამიღიმა. ვიტია გაღიმებული არ მინახავს. სევდიანი გამომეტყველება ჰქონდა, დამფრთხალი უბედურის.

როგორმე მოვიძიებ-მეთქი, გადავწყვიტე. მაშინვე გურამი გამახსენდა. ჩემი კურსელი. მესენჯერით მივწერდი, მაგრამ ეკრანი არ ნათდებოდა. ხვალ მივწერ-მეთქი.

ცხრის ათი წუთი იყო. ამიტომ „ხელოვნების ბაღში“ შევიარე. სულისშემძვრელი ამბის მომსწრე ვიყავი და უნდა გამეანალიზებინა მოსმენილი ვერსიები; ბავშვების მომავალი მაღელვებდა, მიტომაც ვიკვლევდი ფაქტებს. მათ სახეებს ვიხსენებდი, ქცევას, საუბარს, დაწერილი ესეების შინაარსს; მინდოდა, გამომეცნო, როგორ ლაგდებოდა აზრები მათ გონებაში; მინდოდა, გამერკვია, რა კვალს ტოვებდა მათ ფსიქიკაზე მოზრდილობის მეამბოხე ასაკის სირთულეები; მინდოდა, საკუთარი თავის პოვნაში დავხმარებოდი; პროტესტის განცდისა და შინაგანი კონფლიქტის დამთრგუნველი ზემოქმედებისგან დამეცვა მათი ურთიერთობები; მინდოდა, ერთმანეთი აღმოეჩინათ; მინდოდა, პრობლემებთან გამკლავების გზები მესწავლებინა; მინდოდა, ჩემგან დაეჯერებინათ, რომ თუ ემოციას, განცდას სახელს დაარქმევდნენ, მის მოთვინიერებასაც შეძლებენ. მინდოდა, საღი გონებით მიეღოთ გადაწყვეტილება, იმედი არ გადაწუროდათ. როგორ გამეკეთებინა ეს? – მინდორში დავდიოდი წინ და უკან, ვფიქრობდი და ჩემსავე გათელილ ბალახს ფეხსაცმლის წვერით ვასწორებდი.

მობილურზე ზარი შემოვიდა. – ალო, დიახ, გისმენთ! თქვენი ხმა ძალიან სუსტად ისმის, სიტყვებს ვერ ვარჩევ. ალო, ალო! რომელი ბრძანდებით. უნდა გავთიშო...

ვიტიასთან საუბარი ამომიტივტივდა გონებაში. შარშან იყო, ამ დროს. ადრე მივედი სკოლაში. მეცხრე კლასის ოთახს რომ ჩავუარე, ღია კარს მიღმა ვიტია შევნიშნე. გეზი შევიცვალე. იჯდა თავის ადგილას. ჩემგან უკიდურეს მარცხნივ, ბოლო რიგში, მერხზე ედო თავი და თვალებიც მიელულა. შორიდანვე მივესალმე და მის გვერდით ჩამოვჯექი.

– ადრიანად მოსულხარ. როგორ გაიღვიძე?

– ღამით ვერ ვიძინებ, მას!

– რატომ? გტკივა რამე?

– არა, მას. ისე, უბრალოდ, არ მეძინება...

– ხელს არ შეგიშლი. გაკვეთილის დაწყებ...

– პოლიცია მითვალთვალებს.

– რა? რა თქვი? რატომ?

– შარშანწინ, მას, კლასელს მობილური მოვპარე და დავალომბარდე. ფული მჭირდებოდა. სკოლის კამერების ჩანაწერმა ჩამიშვა. დედაჩემმა მითხრა, მანდატურმა შეატყობინა შენ შესახებ პოლიციას; არ დაგიჭერენ, მაგრამ კონტროლზე აგიყვანესო. მეორე შემთხვევაში თვითონ ჩავასმევინებ შენს თავს არასრულწლოვანთა ციხეში. იქ გამოგასწორებენ, არ შემიძლია შენი დევნაო. მალე გამომრიცხეს იმ სკოლიდან, მას. მასწავლებელს შევაგინე და... დედას ნერვიულობით რაღაც გაუსკდა მუცელში და საავადმყოფოში იწვა.

– ვიტია, ეს ცუდი საქციელია, დედა გაბრაზდა. გგონია, პატრუელი მის შემდეგ გითვალთვალებს?

– დიახ, მას! შარშან, კედელზე გაკრული ქიმიის ცხრილები ჩამოვხიე, იმიტომ რომ ორი ქულა ჩამიწერა ჟურნალში მასწავლებელმა. ვიცოდი გაკვეთილი, დედას გეფიცები. ჰოდა, ჩამოვხიე. როგორ ვთხოვე დირექტორს, დედას არ გააგებინოთ-მეთქი, მაინც დაურეკეს - ჩემ თვალწინ; ამიტომაც დავანგრიე მისი კაბინეტი, ვერ გამაკავეს. ისევ მანდატური დამასმენდა. საღამოს დედაჩემმა მამას ნაჩუქარი ლეპტოპი გამიტეხა, სახლიდან გავიქეცი. დედას წნევა აეწია და ძლივს გადაურჩენიათ. მეზობელმა მითხრა, თავს იკლავდაო... იმ სკოლიდან გამომრიცხეს.

– ვიტია, დედა გცემს ხოლმე?

– უკვე აღარ. ადრე კი.

– მამა?

– მამას მე არასდროს ვუცემივარ.

– აბა, ვის სცემდა.

– დე... არავის, მას. ისე, თუ იყვირებდა-ხოლმე.

– და შენც გგონია, რომ გითვალთვალებენ?

– ასეა. დაქირავებული ჰყავს დედაჩემს. მამა უხდის თანხას ჩემი კონტროლისთვის. იმიტომ ვზივარ ჩემთვის, ხშირად მძინავს გაკვეთილზე, არავისთან მაქვს ურთიერთობა. შარში გავეხვევი. მე თუ დამიჭერენ, დედას ისევ საავადმყოფოში დააწვენენ. შენ მომკლავო, ხშირად მიმეორებს. არ მინდა...

– ვიტია, ჩემი გჯერა?

– მჯერა, მას!

– არავინ გითვალთვალებს. ბავშვებს არ უთვალთვალებენ. არა აქვთ უფლება. დედამ გითხრა ასე, იმიტომ რომ დაგიცვას, იმიტომ რომ ფათერაკს აარიდო თავი, ჩხუბში არ გაეხვიო. გესმის? არავინ გითვალთვალებს.

– კარგი, მას. ლამაზი მობილური გაქვთ. თქვენს ნომერს ჩამაწერინებთ?

– რა თქმა უნდა. თუ დაგჭირდები, დამირეკავ. 555 123 456. გავალ მე.

– რა იოლი ნომერია, მას!

– ჰო, დედას რომ არ დაავიწყდეს.

უმალ მომაგონდა, რომ გურამისთვის მიწერა უნდა მომესწრო. ბაღი დავტოვე და ტაქსით მივედი სკოლამდე.

– შენთვის ყველაფერს შევძლებ, განა! ჩემთვის არაა სამწუხარო, უკეთესიცაა, არ მოგწერ, თუ შემომავალი ხმა არ გესმის, თვითონ დამირეკავ, მაგას რა ჯობია. ოღონდ გვიან. ჩაიწერე ჩემი ნომერი, განა!

დღემ უგემურად ჩაიარა. საღამომდე ვერ მოვისვენე.

– გამარჯობა, განა.

– ჰო, გურამ, აბა, რას მეტყვი? აღმოაჩინე?

– სამწუხარო ამბავია. ძალიან გეწყინება.

– რა მოხდა?

– ეგ ბავშვი სავარაუდოდ დაღუპულია, განა. 24 ოქტომბერს, შაბათს სახლში არ მისულა, დედამისმა განაცხადა პოლიციაში; მის შემდეგ ეძებდნენ. სვანეთში, მესტიასთან ახლოს, გავიდნენ კვალზე. მდინარესთან დაუნახავთ ორშაბათს, ნაპირს მიუყვებოდაო. მის შემდეგ მისი მნახველი არავინაა. გამოძიება მიმდინარეობს.

– რას ამბობ, გურამ!

– მაშინვე შეგატყობინებ, თუ ინფორმაციას მოვიპოვებ. შენი ვინ არის?

– ყოფილი მოსწავლეა. გმადლობ. მაპატიე, უნდა გავთიშო!

რეტი დამესხა. მეც ხომ ვარ დამნაშავე-მეთქი, ვიმეორებდი ჩუმად, დედას რომ არ გაეგონა. მაინც... მაინც ვერ ამოვიდგი ენა, მაინც ვერ ავხმაურდი, მაინც ვერ შევვარდი სადმე, კაბინეტებში, და პასუხი არ მოვითხოვე. მე თვითონაც ხომ შემეძლო სოციალური სამსახურის გააქტიურება?! ხომ შემეძლო მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგის ჩართვა?! რაღაც კიდევ ხომ შემეძლო, თუნდაც დედამისთან გასაუბრება?! რაღაც ხომ შემეძლო... – თავიდან შეგრცხვება, მერე მიეჩვევითო. რას მივეჩვიე, რას?! გულგრილობას?! აღარ მინდა მასწავლებლობა, თუ ბავშვების დაცვა არ შემიძლია. აღარ მინდა...

ᲓᲘᲝᲜᲘᲡᲐ

დილით მოსმენილმა ინფორმაციამ, ვირუსით დაინფიცირებისა და სიკვდილიანობის სტატისტიკური მაჩვენებლების შესახებ, ისე შემაშინა, ტაქსი გამოვიძახე. ამასთან, საკუთარი ემოციური გამძლეობის იმედიც აღარ მქონდა. მოსალოდნელი ლოქდაუნიც კი იმდენად რეალური ჩანდა, რომ მყისიერად გადავწყვიტე, მობილურის შეძენა-განვადებით გამოვიტანე, გავმართე და ახალი ეკრანიც განათდა.

სკოლის დერეფანი ლასლასით გავიარე. იმასაც ვდარდობდი, რომ მალე დადუმდებოდა აქაურობა დისტანციური სწავლის გამო. – დირექტორმა გიკითხა. – შემომაგება ქალბატონმა ვარდისამ. დანარჩენები დუმდნენ.

– გამარჯობა! შეიძლება?

– დიახ, მობრძანდით, ქალბატონო განა! გაიცანით, ვაკის უბნის გამომძიებელი.

– სასია... ხო მშვიდობაა?

– ვიტია ლუხუმიას ვეძებთ. მოვიპოვეთ დამაიმედებელი ინფორმაცია, რადგან ხელთ გვაქვს ამონაწერი მისი მობილურიდან განხორციელებული ზარების შესახებ. აღმოჩნდა, რომ თქვენს ნომერზე აქვს დანარეკი ოთხჯერ. მიმდინარე კვირის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს და გუშინაც კი, ხუთშაბათს. თვითონ ნახეთ.

– რას ბრძანებთ?!

– ქალბატონო განა! არ გეკადრებათ საიდუმლო საუბრები იმ მოსწავლესთან, რომელიც ეჭვმიტანილია განზრახ თანატოლის დაზარალებაში. მეც და მთელი კოლექტივი თქვენ გენდობით.

– რა ბრძანეთ?! არავითარი საუბარი არ ყოფილა. ორშაბათს მობილური გამიტყდა და...

– კარგით რაა...

– ეჭვმიტანილი? ვიტიამ ისეთი რა დააშავა, ბატონო გამომძიებელო, რაც სხვამ არა?

– ჯერ არ ვიცით, ვინაა დამნაშავე. ვითარება ასეთია: ვაკელი ბიჭისთვის ფეხი ისე ძლიერად ჩაურტყამს ერთ-ერთს, რომ სათესლე ჯირკვალი გაგლეჯია და სისხლისგან დაიცლებოდა, მეგობრებს რომ ტაქსით არ მიეყვანათ შინ. საბედნიეროდ, დედა ექიმი ჰყოლია. სიკვდილს კი გადაურჩა, მაგრამ მშობლები კონკრეტული, ერთი, დამნაშავის დასჯას ითხოვენ. შემთხვევის ადგილზე მეორე დილასვე ნაპოვნი იქნა იმ წითელი ბოტასის მარცხენა ერთეული, რომლის კვალის არსებობაც შარვლის უბეზე სახელმწიფო ექსპერტიზამაც დაადასტურა. ცნობილი არაა, ჩხუბის დროს რომელ მათგანს ეცვა აღნიშნული სპორტული ფეხსაცმელი, რადგან მეორე ცალი ჯერჯერობით დაკარგულად ითვლება.

– ვიტიამ იცის ამის შესახებ?

– დიახ! ცხელ კვალზე გამოძიების მიზნით, შაბათსვე პირადად შევატყობინე ყველა ბავშვის ოჯახს. ვ.ლ.-ს დედა თანამშრომლობას დაგვპირდა; გაფრთხილების მიუხედავად, მაშინვე უთქვამს შვილისთვის. შედეგად, ახალი კითხვები გაჩნდა და საქმის გამოძიების მასშტაბიც გაიზარდა; რადგან ვ.ლ. იმავე საღამოს გავიდა სახლიდან და უკან აღარ დაბრუნებულა. გვითხრით, რა იცით?

– იგივე, რაც თქვენ – ვიტიას ეძებენ! ესე იგი, ის ახლა საფრთხეშია, თუ უკვე არ... სამწუხაროდ, ვერაფრით დაგეხმარებით! რამდენიმე ადამიანი დაადასტურებს, რომ ჩემს გაფუჭებულ ტელეფონში შემომავალი ხმა ნამდვილად არ ისმოდა, მხოლოდ – ზარი.

ᲙᲠᲝᲜᲝᲡᲘᲡᲐ

– ალო, დიახ, გისმენთ!.. ვიტია?.. ვიტია ხარ?.. სად ხარ?.. რა თქვი?.. ვიცი, ეგ სოფელი. ნამყოფიც ვარ. მიტოვებული სახლი? ვისი? მამაშენის ბაბუის? ჰო, გავიგე. ვიცი, რომ დამნაშავე არ ხარ... ვიცი, რომ შემთხვევით მოხდა... გენდობი. ვიმეორებ?.. შენს სიტყვებს ვიმეორებ? ჩემო ბიჭო, როგორ გამახარე! მთის წვერზე რატომ ახვედი?.. იჭერს? მობილური მანდ იჭერს? გიპოვი. ხვალვე მოგაკითხავ. არსად წახვიდე! მარტო ვიქნები... დროებით.

ᲛᲖᲘᲡᲐ

კომპიუტერიდან მობილურ ტელეფონში სვანეთში მოგზაურობისას ჩემივე გადაღებული ფოტოები გადმოვწერე. სოფლის მიგნებაში დამეხმარება-მეთქი. ჯიპი ვიქირავე, მძღოლის გარეშე. პირობას ვერ დავარღვევდი, არავინ უნდა მხლებოდა. თავიდან დაძაბული ვატარებდი, დაბალი სიჩქარით. თანდათან სილაღეც მომემატა და გამბედაობაც. მანქანის მართვის წესებიც ზედმიწევნით გამახსენდა და სრულიად დავივიწყე, რომ ბოლო ექვსი წლის განმავლობაში საჭესთან არ ვმჯდარვარ...

– აქ პოლიციამ ვერ მომაგნო, მას!

– შენ უკვე დიდი ხარ, ვიტია! განა, განა დამიძახე. მიყვარს, როცა სახელით მომმართავენ.

– ...ჩემი გჯერა, განა?

– მჯერა, გენდობი. ჩემო ბიჭო... – ახლა რა ვქნათ? რა გადაწყვიტე?

– ჯერ ერთად ვიმღეროთ. თქვენ აირჩიეთ!

– „სულ, ზევით, ზევით...“ ჩარკვიანი. იცი?

– „რა ახლოსა ხააართ, ხეეებო მზესთააან...

ცოტნე ავსაჯანიშვილი

BAD TEACHER

ყველა სკოლაშია ეგ რაღაცნაირი სუნი. ვერ გაიგებ, მე ხან მასტიკის სუნი მგონია, ხან სტამბიდან გუშინწინ გამოტანილი დედაენის, ხან კიდე ბუფეტის ქიშმიშიანი ბულკების. ჯერ ცხელი როა, მაგრამ მშობლები მაინც ძველს რომ ეძახიან. არ ვამბობ, რომ არ მევასება ეგ სუნი. ძაანაც მევასება და სულ მეტირება ხოლმე, როცა მეტაკება და ვსუნავ. არადა არაფერი არ არი მანდ საწრუწუნო, სუნია და მორჩა. სუნმა როგორ უნდა გატიროს თუ ფარჩაკი არ ხარ? თითქოს ყველგან არი ეგეთი სუნები, მარა მე მეშინია და მაგიტომ მეტირება. მაგრად მეშინია სკოლის საყვარელი სუნის. მაგ სუნში ყოფნისას მგონია, რომ წარსულში დამაბრუნეს და წარსული კიდე ძალიან მაგარიც რომ იყოს, რო დაფიქრდები, არ გინდა მანდ დაბრუნება. გული გიწუხდება, რა გაივლის ამხელა პადიომს თავიდანო. ამდენ ტიპებს ხელახლა გაცნობა არ უნდა?! ძალიან საშიშია დიდი გზების თავიდან გავლის პერსპექტივა. არა, არც ის ტიპები იტყუებიან ხოლმე, რომ იძახიან, ნეტა ისევ ის დრო იყოსო. ხანდახან მეც ვიძახი ხოლმე, მაგრამ მერე, როცა მგონია, რომ მართლა მაბრუნებენ, გული მისკდება. თან ეგ ტიპები, ვინც მაგას იძახის სამოცს და სამოცდაათს ურტყამენ და მესმის მაგათი. სარკეში რო აღარ ჩაგეხედება, უნდა გაიქცე სადმე.

არადა, ქართლში მინდოდა დახვევა. ზამთარში ცოტა ხნით თუ არ მოვტყდი, მეკეტება. თან მაგ ამბებიდან სამი დღით ადრე, კინსკიმ საბოლოოდ დამსვა კანეცზე და მაგრად მეზარებოდა ცხოვრების გაგრძელება, უახლოესი ნახევარი წელი მაინც. თან ხო გითხარით, ზამთარი იყო. თბილისში ყოფნა ისედაც არ მიყვარს და ზამთარში საერთოდ. არ შემიძლია ნაცრისფერში სიარული და არც ჯდომა შემიძლია. თან კორპუსში. მოკლედ გავრბოდი. დღე-დღეზე უნდა გამესწრო და ბრახ... იმ საფეხბურთო გუნდივით ვიყავი, ბოლო წუთებზე ანგარიშის შენარჩუნებას რომ ჩალიჩობს და მაინც გაუყრიან. აი, ეგრე. მეთქი ვსო, გადავრჩი, ახლა მოვტყდები და ამ დროს დედაჩემმა მოტყდები არა ჩემი ფეხებიო და მდურთა სკოლაში. მაშინ გადავწყვიტე, რომ მსახიობი უნდა გავმხდარიყავი და ჩემს საქმეებში აღარავინ ჩამერია. მაგრამ ეგეც დებილობა იყო. თეატრებიც თბილისშია და იმიტო. მომენტში მაგდენს ვერ ვტვინავდი და საბჭოთა კინოების ტრეკებს ვუსმენდი გამწარებული. მეთქი, მაგრად ვგავარ ზურა ყიფშიძეს. ნაშებს მაინც დავევასები.

ასეთი დაბნეული და იმედგაცრუებული ვიდექი კერძო სკოლა „ჩირაღდანის“ მწვანე ჭიშკართან. მეცვა ძერსკი ტყავის კურტკა და მეკეთა შავი ხელთათმანები. უკან იდგა დედაჩემი და მთელი რაციონალური სამყარო. წინ იდგა სკოლა. წინ გადადგმული ერთი ნაბიჯი და ეგრევე დაიშხუილებდა რაციონალური სამყაროს ტაშები, რაც იმის ნიშანი იქნებოდა, რომ ბეჭედი დამარტყეს. სასტავში მიმიღეს. ბიჭი მოესწროთ... მაგრამ ჩემდათავად რაციონალურების მაგრად მეშინია. ისე მეშინია, რომ მეჯავრებიან კიდეც და მაგათი ტაში იმას თუ ნიშნავს, რომ რამე უხარიათ, მე მაგრად არ მინდა, რომ ჩემს ხარჯზე რამე გაუხარდეთ.

არადა, ბევრი არაფერი უნდა სკოლაში შესვლას. უნდა მიაჭრა და დაცვა გკითხავს, ვინა ხარო. მერე გაუიასნებ, ვინცა ხარ და ვსო.

და აი, სუნიანი კალიდორის ყველაზე მწვანე კარი, წარწერით „მეთერთმეტე ა“. აქ თუ დიდი ხანი შემოვრჩი, ბენდი უნდა შევკრა და დავარქვა „ლუკა და თერთმეტი ა“.

საკლასო ოთახის კარი ერთადერთი კარია მსოფლიოში, რომლისთვისაც არასდროს ენანებათ საღებავი. ზოგჯერ ორჯერაც კი უსვამენ ხოლმე, უფრო მაგრად რომ იპრიალოს.

„ზარქუა, ტელეფონი მათხოვე რა.“ – ქერა გოგოს ეტაკა კენგოლიანი ბიჭი.

„დაახვიე.“ – გააგდო ზარქუამ.

„აუ, აღარ მოდიიის?!“ – წამოიყვირა სათვალიანმა გოგომ.

„ნეტა, ვაბშე არ მოვიდეს, ხო არ ღადაობ.“ – უკნიდან დაუძახა ბარსას ქუდიანმა ბიჭმა.

„მე შენნაირი დებილი არ ვარ.“ – შეუღრინა სათვალიანმა.

„ამან იცის გაკვეთილი და არ კიდია?!“ – გაიცინა მსუქანმა ბიჭმა.

„აუ, შენ ახალი ხარ, ხოო?“ – მე მომადგა ლამაზი გოგო.

„ხო.“

„რა გქვია?“

„ლუკა ლიქოკელი.“

„ეგ რანაირი გვარია?“

„იტალიური.“

„აუფ.“

„მაშო ვინაა ეგ?“ – გამოსძახა კენგოლიანმა. აშკარად მაგრად უტყდებოდა, ეს მაშო რო სხვა ტიპს ელაპარაკებოდა.

„ახალია. ლუკა ჰქვია.“

„ზდაროვა, ბრატ.“ – ახლა კენგოლიანი მომადგა.

„გაუმარჯოს.“

„მე ნიკო ვარ.“

„მე ლუკა.“

„ვიცი. პროსტო ვზროსლს გავხარ ცოტა. რამდენის ხარ?“

„ცხრამეტის.“

„მერე მეთერთმეტეში რატო ხარ?“

„ჩავრჩი რა.“

„დაიკიდე მეც ოროსანი ვარ.“

„ჯიგარი ხარ.“

„დასხედით ბავშვებო.“ – მასწავლებელი შემოვიდა.

„გამარჯობა, მაასს.“ – წამოიყვირა მსუქანამ.

„ახალი გვყავს, ლია მას. ლუკა ჰქვია. ლია მასწავლებელს წიგნი აქ დაწერილი იცი?“ – მაშომ ჯერ ლიას უთხრა, მერე მე.

„მეც მაქ.“ – ვეუბნები.

„რა გაქ შენც?“

„არაფერი დაიკიდე.“

„ბავშვებო დღეს გაკვეთილი არ გვექნება.“ – გაიღიმა ლიამ.

„აუ, რატოოო?!“ – ეწყინა სათვალიან გოგონას.

„აეეეეეეეე“ – იყვირა დანარჩენმა კლასმა.

„დამშვიდდით. დროებით მივდივარ, ბავშვებო და დღეს უნდა დაგემშვიდობოთ.“

„ხო მშვიდობაა, მაასს?“ – შეიცხადა მაშომ.

„კიი. უბრალოდ პირადულია და ვერ მოგიყვებით. ხვალიდან ახალი მასწავლებელი გეყოლებათ.“

„დაახვიოს რა. თქვენ ჯიგარი ხართ, მას.“ – გაბრაზდა კენგოლიანი.

„არ გააგიჟოთ ახლა ის ადამიანი. მის გამო კი არ მივდივარ. ის მოდის ჩემ გამო.“ – იცინოდა მასწავლებელი.

„არ დავუჯერებთ. გავაგდებთ.“ – ყაყანებდა მაშოც.

„ხოდა, სხვას მოიყვანენ. დამშვიდდით და დამელოდეთ ცოტახანი.“ – ამშვიდებდა ბავშვებს ლია მასწავლებელი.

„ლია მაგარი ჯიგარი ქალია. უეჭველი გააგდეს და ვერ გვეუბნება.“ – მეჩურჩულება კენგოლიანი ნიკო.

„ხო. არ გავახაროთ ახალი ვინც მოვა.“ – აჰყვა მაშოც.

„ახვარი, ტო.“ – ისევ ჩურჩულებდა ნიკო.

„ვაბშე არაფერი დავუჯეროთ.“ – ახმაურდა ზარქუაც.

„შენ ლია კარგად ვერ გაიცანი, მარა მაგარი ქალია და შენც აგვყევი, რო იმ ახალს სახე ავახიოთ.“ – ისევ მე მეუბნება კენგოლიანი ნიკო.

„ბაზარი არაა.“ – გავუსწორე.

„ფსაიქო ქილეეეერ, ქესქესეეე!!!“ – მაგრა ვიყვირე და შეხტა ტალპა.

„რა გაყვირებს, ტო?“ – დაიბნა კენგოლიანი.

მე კი ვფიქრობდი, რომ ახლა ამათ თუ ავყვებოდი, ჩემი უფარჩაკესობის და ჩემს თვალში სამყაროს უაზრობის უმთავრეს მიზეზს, ულამაზეს კინსკისაც დავივიწყებდი, რომელსაც რატომღაც ყველა სულიერი უყვარდა ჩემ გარდა. ადამიანები კი არა, ზაზუნებიც და კიდევ ათასი მოფუთფუთე ჯანდაბა, რომლებიც უცნაურ ხმებს გამოსცემდნენ და სულაც არ იყვნენ ჩემზე საყვარლები იმდენად, რამდენადაც თუნდაც ბრიტანული კატები. ამ ლაწირაკებს სათავეში თუ ჩავუდგებოდი, თავი ისევ მაგარი ტიპი მეგონებოდა და ამ სკოლასაც ვუზამდი მოშნად და მერე გავიქცეოდი ამერიკაში, სადაც ირაციონალური გზებით იმდენ მაყუთს ვიშოვიდი, რამდენი გოგოც ჯონი ქეშს იუ არ მაი სანშაინით ჰყავდა დაკერილი.

მერხზე ავხტი. მარჯვენა ხელი ავწიე და მაგრა დავაბრახუნე ნეხვიანი კედებით.

„მე გუშინ მოთხრობა დავწერე, სადაც თქვენნაირი უტვინო, მაგრამ საინტერესო ბავშვები ბოროტ ბებრებს სჯიან, მათი განვლილი ქაქიანი ცხოვრების გამო!“ – დავიწყე ხმამაღალი სფიჩი.

„მოთხრობებს წერ, ტო?“ – გაუკვირდა კენგოლიანს.

„რატო დაწერე ეგეთი მოთხრობა?“ – მკითხა მაშომ.

„კინსკიმ გამაბრაზა და იმიტო.“ – გამიტყდა, სფიჩი რო გამაწყვეტინეს.

„კინსკი ვინაა?“ – არ მეშვებოდა მაშო.

„გოგოა. ანასტასია ჰქვია, მარა მე კინსკის ვეძახი.“

„ლამაზიაა? გიყვაარს?“ – ხმამაღლა წააყარა მაშომ.

„ოოოო... კაი, მაცადე ახლა, რაღაც უნდა გითხრათ რა.“ – აღარ ვაცადე გატრაკება.

„აცადე რა, გოგო!“ – ჩაერია ზარქუა.

„მოკლედ იმ მოთხრობაში ჩვენნაირები არიან. უპატრონოები, უტვინოები და გულნატკენები. დიდები რომ არაფერს ეკითხებიან და ყოველ წუთში აბანძებენ. მაგრამ მართლები არიან! ჩვენ ყველაზე დაუცველი მასა ვართ და დროა დავგეგმოთ შურისძიება მმართველი ასაკის წინააღმდეგ! ჩვენ არც პატარები ვართ და არც დიდები, მაგრამ მაინც არაფერს გვეკითხებიან. როცა რამეს ვითხოვთ, პატარები ვართ. როცა რამეს ვუსწორებთ, პატარები ვართ… დროა, რომ რევოლუცია დაიწყოს. აი, ამ კლასიდან. ანარქისტი ახალგაზრდების დიდი რევოლუცია, საყოველთაო ამჩემფეხებათა მმართველობის დასამყარებლად.“

„რა, ბრაატ??“ – მეკითხება კენგოლიანი.

„კარორჩე, იმ მასწავლებელს რამე უნდა გავუჩალიჩოთ და დავცინოთ. პროსტა არ მოვკლათ რა. ტეხავს.“

„ა, ბაზარი არაა, კაცო.“ – გაიგო კენგოლიანმა.

„იდეები ჩამოყარეთ აბა.“ – დაფასთან დავდექი, რომ იდეები დამეწერა.

„კარონჩე, პირველ რიგში, დაფაზე დავწეროთ – ნახუი.“ – თქვა მსუქანამ.

„ნახუი გოიმობაა. რამე უფრო იდეინი გვინდა. მაგალითად – Game Over.“ – შევუსწორე.

„ა, ხო. ტეკენში როა.“ – ეწყინასავით მსუქანას.

„კარის თავზე რო დიდი ფქვილიანი პარკი დავდოთ და რო შემოვა და ბრაახ თავში?“ – ჩაერთო კენგოლიანი.

„ეგრე შეიძლება ეტკინოს რამე.“ – გამოვურიცხე ეგრევე.

„ეტკინოს რა.“

„გაგსროკავენ.“ – თვალი ჩავუკარი.

„უი, ხო...“ – ისე შეიცხადა კენგოლიანმა, თითქოს მანამდე არ იცოდა.

„კუჭი ავუშალოთ!“ – წამოიყვირა ზარქუამ.

„როგორ?“ – მიუტრიალდა მაშო.

„როგორ და ფანტა დავახვედროთ. ვითომ პატივს ვცემთ და შიგ კუჭის ამშლელი ეყაროს.“ – ბოლომდე გაგვიშალა გეგმა ზარქუამ.

„საკაიფოა, ე. დავაიი.“ – დავწერე დაფაზე ზარქუას იდეა.

„აუ, კიდევ გვინდა რამე.“ – არ კმაყოფილდებოდა მაშო.

„ჟურნალში რამე რო ჩავუსვათ?“ – ისევ გამოენთო კენგოლიანი.

„აუ, რომელი საუკუნეა ბიჭო?“ – დასცინა მსუქანა ბიჭმა.

„ხო, ნიტო პონტია. ლაპარაკს რო დაიწყებს მუსიკა ჩავრთოთ რამე ხმამაღლა. რამე ისეთი, იდეის მატარებელი. ვიქტორ ცოი, ან სექს პისტოლს.“ – ისევ გამოვურიცხე კენგოლიანს.

„აუ, შენ რანაირი რაღაცები იცი.“ – ჩაიცინა ზარქუამ.

„რავი, ვიცი რა. კარონჩე ეგენი უნდა ჩავრთოთ ხმამაღლა. ანარქი, ინ ზი იუ ქეია�ა.“ – დავიწყე სიმღერა.

„ეგ რას ნიშნავს?“ – პირი დააღო მაშომ.

„ანარქია ბრიტანეთშიო რა. წარმოიდგინე ტუალეტში რო გარბის და თან ეგ ისმის. ჰეჰეჰეჰე...“ – მაგრად მიხაროდა ესეთ ამბავში ჩართულობა.

„ოღონდ უეჭველი გაგვრიცხავენ ყველას.“ – ცოტა შეშინებულმა თქვა ზარქუამ.

„ეგ დაიკიდეთ. მე დავიბრალებ.“ – მაინც არ ვაპირებდი არც ამ და არც სხვა სკოლაში გაჩერებას.

„ვერაფერსაც ვერ დაიბრალებ. ხვალ ყველაფერს ვიტყვი თქვე დამპლებო!“ – ძლივს ხმა ამოიღო სათვალიანმა გოგომ.

„აეეეეეეეეეეე!!!!“ – დაადუმა მთელმა კლასმა.

„ლუკაა, შენ სად ცხოვრობ?“ – მკითხა მაშომ.

„სანზონაში.“

„ადრე იქ დადიოდი სკოლაში?“

„ხო.“

„რატო გადმოხვედი აქ?“

„რავი, იქ რაღაც ნედარაზუმენია მომივიდა და...“

„რაა?“

„არაფერი, დაიკიდე.“

„აუ, ამათ ყურადღება არ მიაქციო რა. იმენა ყანაა.“

„ვის ამათ?“

„კლასელებს.“

„კაი ბავშვები არიან.“

„აუ, კი. რაღაც პონტში არიან, მარა ხომ ხვდები, აი, ცოტა გოიმებიც არიან და თან რაღაც, ანუ, შენ ჯერ ახალი ხარ და არ განახებენ სახეს რა.“

„კაი. დავაკვირდები მერე.“

„აუ, ძაან გული გატკინა ხო იმ გოგომ?“

„ისეთ პონტში.“

„აუ, მიატოვე რა. პროსტა შენნაირი ბიჭი ვიღაცას თავს არ უნდა უხრიდეს.“

„ჰეჰე. დახრა რა შუაშია?“

„ანუ, ის უნდა მეთქვა, ანუ, აი, არ უნდა უყადრებდეს, კი არადა, აი, კაი ტიპი ხარ და აქეთ უნდა შეგეხვეწოს რა.“

„ააა. ბაზარი არაა. ყველა შენნაირი გემოვნებიანი ვერაა, მაშო.“

„ხოდა მიატოვე.“

„ვნახოთ.“

„ლუკაააა, საით მიდიხარ ბრატ? წამო, გამოიტასავე.“ – დამიძახა კენგოლიანმა.

„აუ, ვსაუბრობთ რაააა...“ – გაუტყდა მაშოს.

„კაი ელთი. მოდიხარ ლუკა?“ – კენგოლიანი ისე თავისას აწვებოდა.

„კი წამოვალ. კარგად მაშო.“

„კარგად...“ – ძალიან ჩუმად თქვა მაშომ.

მე და კენგოლიანი გაჩერებისკენ დავაწექით.

„ბიჭო, რაო, რა უბნელი ვაროო?“ – მეკითხება.

„სანზონელი.“

„იცნობ ვინმეს?“

„შენხელებს არა.“

„აუ, შენ ხო ვზროსლი ხარ. დამავიწყდა. ბიჭო, მაგარი კაი როჟა ხარ. ვიძმაკაცოთ, ხო?“

„დავაი.“

„პროსტა, მაშო მე მევასება რა.“

„ასწორებს.“

„ანუ შენ პრეტენზია არ გაქ, ხო?“

„არა, რა პრეტენზია. არ მევასება ხუთი წლით პატარა გოგოები.“

„რამდენიი?“

„რამდენიცაა რავი.“

„ისე წეღან მაგარი გამისწორდა, რო თქვი ვიღაც გოგო მყავსო. მანამდე ვეჭვიანობდი.“

და აი, კვლავ ვნახე სამყარო დილის ცხრის ნახევარზე. ასეთი რამ ბოლო ორ დღეში მეორედ ხდება. პრინციპში ბოლო ორ წელშიც. ისე, განვლილი არც თუ ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ბევრჯერ მაქვს ნანახი და არასდროს მომწონებია, რადგან არაფერია ლამაზი და მოსაწონი, როცა გეძინება, გემთქნარება, გაკანკალებს და იგინები. ისე არ ვარ უზრდელი. მარა დილით ფუუუუუ. თან ცხრის ნახევარზე მზეც უკვე ამოსულია და მზის ამოსვლასაც ვერ

უყურებ. თან მაგრად ცივა.

მოკლედ, არაფერია კარგი, დილის ცხრის ნახევარში. ცივია, ბოროტია და ყველაზე შრომისმოყვარეა, რადგან დილის ცხრის ნახევარი აიძულებს ყველა მშრომელს, რომ ჩქარა გაიქცნენ სამსახურებში, ცხრაზე იქ რომ დაერჭონ. ჭამა მაინც შემეძლოს დილით, რამე მუღამს მივცემდი ამ საშინელებას. მაგრამ ეგეც არ შემიძლია. პირი მომძვრალი მაქ და რამე რო ჩავუშვა, მუცელში ჭიანჭველები დაიწყებენ სირბილს. რა უბედურებაა?! არაფერი აღარ შემიძლია. თითქმის სრულად დავკარგე თვითგადარჩენის უნარები.

მხარზე მკიდია ქამრიანი ჩანთა და მაგრად ვგავარ ფრანგ ფინანსისტს. ნუ, შეიძლება არც არი ფინანსისტი და პროსტა ფრანგია. რაღაცა კინოში მყავს ნანახი. ადრე ეგეთ ტიპებს დავცინოდი. მაგარი სასაცილოა ეს ქამრიანი ჩანთა. განსაკუთრებით მაშინ, თუ დიაგონალურად გაქ გადაკრული და სუნთქვას გიკრავს. კურტკაზე არ უნდა გადაიჭირო ეგ ჩანთა, თორე მოკვდები. ამ ზამთარში კიდე ყველას კურტკა აცვია. არ გადაიჭირო კაია.

ესეც რაგბის სტადიონი. აქ ადრე მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდა ახალგაზრდებს შორის. ბილეთიც მქონდა. ზოგი თამაშს უყურებდა, მე კიდე მაგრად გავერთე კანადელ და ირლანდიელ ბალეშიკ ნაშებზე. სათადარიგო სკამზე ისხდნენ დრედებიანი სამოელებიც. ყველაზე მაგრად ეგ სამოელები დამამახსოვრდა. ლტოლვილი ბავშვები უწვალებდნენ დრედებს და იმიტო. ერთმა ათი ლარიც სთხოვათ, კი არ მაჩუქო, მასესხეო, მარა ჩემ ფეხებს გაიგებდა ის სამოელი ან ქართულს, და ან მეგრულს.

ისე რაგბი არ მაინტერესებს. საერთოდ არ მაინტერესებს ის ხალხი, ვისაც დიდი კუნთები აქვს. სად შემიძლია მაგათი მოსმენა და ყურება. მე ის დრო უფრო მიყვარს, უფრო ადრინდელი, მაგ სტადიონზე ფეხბურთები რომ იყო. საქართველოს რომელიღაც ობერლიგაში თამაშობდნენ დინამოს დუბლები, ზესტაფონის დუბლებთან. ერთხელ, ერთი ნორჩი დინამოელი შესვენებაზე წყალს სვამდა. მივადექი და ვუყურებ. რა გინდაო, მეკითხება. მე ისევ ვუყურებ. ფეხბურთელი ღმერთი მგონია და პასუხის გაცემის მრცხვენია. ხო ჩვენკენ ხარო, ისევ მკითხა. პროსტა თავი დავუქნიე. გაუხარდა, თავზე ხელი გადამისვა და იასნა, აბა ზესტაფონის სოფლელი დედაც სტყნაჩოო, მითხრა. მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და ყველას ეგონა, რომ ვინმე გამოვიდოდი. რვა, ცხრა თუ ათი წლისა.

ამ სტადიონზე ადრე ძალიან ბევრი, ძალიან მაღალი და ძალიან მწვანე ალვის თუ ნაძვის ხეები იყო. ახლა აღარ არის. ალბათ რაგბისტებმა დაგლიჯეს და ფეჩში შეუკეთეს.

ისევ მივდივარ სკოლაში. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი აზრით, სკოლა დღეს არც ისეთი საშინელია, როგორიც გუშინ იყო.

ეს ჩემი ძველი კლასელია. ვასო ჰქვია, მაგრამ კლუჩიტელს ეძახიან. კლუჩით გრუჩიტელის მოხსნა შეუძლია და იმიტომ. კლუჩიტელი პროფილაქტიკაში მუშაობს. ჰყავს ცოლი და ორი შვილი. ეხლა მოვა და გადამეხვევა. კიდე კაი, შავი ზმანით ვმოძრაობ, თორე მაზუთისფრად მიხმარდა შობელძაღლი.

„რავა ხარ, ლუკინო?“ – მეკითხება.

„კაკ სამალიოტ ნა ბერეგა.“

„ჰა?“

„კაროჩე, დაიკიდე.“

„სად მიდიხარ?“

„სკოლაში.“

„ჰეჰეჰეჰე... მართლა, სად მიდიხარ?“

„სკოლაში მეთქი.“

„რა სკოლაში ტო? მეღადავები?“

„ეხ, კლუჩიტელ, ნეტა შენ რამე გესმოდეს.“

„არ გამდის მეთქი ბიჭო კლუჩიტელი, რამდენჯერ უნდა გითხრა?“

„ბიჭო, ორი ბავშვი გყავს გაკეთებული და რაღაცებზე კიდე არ გამდისო, იძახი და ჩემი სკოლაში წასვლა რა პონტში გიკვირს?“

კერძო სკოლა „ლამპარის“ დირექტორს ნინელი ჰქვია. თვალებზე ეტყობა, რომ საკმაოდ შეძლებული ადამიანია. საერთოდ, კერძო სკოლის დირექტორები ხშირად კერძო სკოლის მფლობელებიც არიან და ჩვეულებრივი სკოლის დირექტორებზე ბევრად მეტი ფულიც აქვთ. ქალბატონ ნინელის ყველაფერი შავი აცვია. ამიტომ მგონია, რომ ქმარი უნდა ჰყავდეს გარდაცვლილი. საერთოდაც, სკოლის დირექტორი ნინელი იმ ასაკშია, ქმრები რომ ჰყავთ გარდაცვლილი.

მე წინა დღეს ნინელი არ მინახავს. არც იცის, მანდ რომ ვიყავი. გადამეხვია. მაკოცა. მითხრა, შენი პუბლიკაციები მინახავსო. მაგრა ამაყობს ჩემით. მე აზრზე არ ვარ პუბლიკაციები რა არი, მაგრამ მიხარია, რომ უხარია. ეს ქალი, დედაჩემს იცნობს... ამიტომაც ვარ აქ და არა ქართლში.

კლასისკენ წამიყვანა. თან მაფრთხილებს, ცოტა უცნაური ბავშვები არიან, არ შეგეშინდეს, ნელ-ნელა შეეჩვევიო. მე კიდე ვფიქრობ, მაშო რამ გააუცნაურა მეთქი. ოპაა, მიარტყა ხელი კარს და ჯონი როტენი ხავის - გად სეივ ზი ქვიიიიინნნნ!!!!!

უპოვიათ ვეშები ბავშვებს. მუსიკალური ცენტრი საიდან მოათრიეს არ ვიცი. დაფაზე მაინც „ნახუი“ წერია. ეტყობა "Game over" დაავიწყდათ. მე კიდე შევედი და ეს დირექტორიც შემოვიდა და რაღაცა ნიტო სიფათები იყო შეკერილი. დაიბნა რევოლუცია. საოცარი ღალატის სუნი ეცა რევოლუციას. ოღონდ ჯერ არ იციან, რა სუნია. ვერც ბრაზობენ. პირები აქვთ ღია.

როტენმა დაამთავრა. ბავშვები ვერ ინძრევიან. დირექტორს თვალები შეეცვალა. ისეთი გაუხდა, ფულის შოვნამდე რომ ჰქონდა და იბღვირებოდა.

„დაამთავრეთ?“ – იკითხა გამწარებულმა.

„თუ სიმღერა დასრულდაა, გულში ცეცხლი რად არიიის...“ – ჩუმად წავიღიღინე, მაგრამ არავინ გაიცინა.

„დიდი მადლობა, ასე რომ დახვდით ახალ მასწავლებელს. ეს თქვენი ახალი მასწავლებელია! ლუკა, გვარად ლიქოკელი. ახალგაზრდა და წარმატებული. მიდით, კიდევ გააოცეთ თქვენი უტაქტობით. საერთოდ თუ მოვა კიდევ, რა თქმა უნდა...“ – ცინიზმი დაღვარა დირექტორმა ნინელიმ.

„ლუკაა...“ – თითქოს მომმართა და თან არც მომმართა მაშომ. თან ტირილს აპირებდა.

მე ფანტა მოვიყუდე. მუცელი ამტკივდა და ეგრევე მოვხიე კლასიდან.

„ახლა დაგვიფრენენ ყველას, ხო?“ – კითხულობს ზარქუა.

„რატო გაგვიჩალიჩე, ე?“ – მეკითხება კენგოლიანი.

„არაფერი არ მოხდება. ვუთხარი, რომ წინა დღეს გაგიცანით და მე გთხოვეთ მუსიკით დახვედრა.“ – დავაწყნარე ბავშვები.

„რამდენი წლის ხააარ?“ – სლუკუნით მკითხა მაშომ.

„ოცდაერთის.“

„აუ, მაინც პაწუკა ხარ. როგორ გახდი მასწავლებელი?“ – გაიცინა.

„რა იყო, არ გინახავს ახალგაზრდა მასწავლებელი? თან არ გავხდი. უნდოდათ, რო გავმხდარიყავი.“

„ისე, იცი ისტორია?“ – მცდიდა მაშიკო.

„თქვენს ლია მასწავლებელზე მაგრად.“

„არ მჯერა.“

„თუ არც გჯერა.“

„მაინც დაგვიფრენენ. ფანტით კუჭი რო აგიშალეთ, ეგ ხო იავ-ნია.“ – ისევ მომაწვა კენგოლიანი.

„არ არი იავნი. მოვატყუე, ბრმა ნაწლავმა დამცხო მეთქი.“

„და ვაბშე რატო დალიე, ხო იცოდი, რო დაგერხეოდა?“

„ახლა ბრმა ნაწლავის თემაში ვიტყვი, რო რეაბილიტაცია მინდა და აღარ ვიმუშავებ აქ რა...“

„რატო არ გინდა აქ მუშაობა? გაწყენინეთ რამე?“ – ისევ ასლუ-კუნდა მაშო.

„თქვენ რა შუაში ხართ. თქვენ დაუე მევასებით. პროსტა აქ რო შემოვედი, ისევ მოსწავლე გავხდი და ეგრე ვერ გავძლებ. თქვენთან ერთად რაღაცების დაშავება უფრო მომწონს, ვიდრე თქვენი ავტო-რიტეტობა. თან სოფელში მინდა წასვლა. არ შემიძლია ზამთარში აქ.“

„ეს რაღაცები მაგიტო იჩალიჩე, რო დაშავება გევასება, ბრატ?“ – მეკითხება კენგოლიანი.

„ეეეე, დაშავება მევასება კი არა, თქვენთან ერთად... კაროჩე, დაიკიდე.“

„მოვწვი. შენი გაისწორე. ახალგაზრდობა გაიხსენე და რამე. აზრზე ვარ. კაი.“ – კენგოლიანი ვერ იყო ხასიათზე.

„ეხ, კენგოლ, ნეტა შენ რამე გესმოდეს. წავედი მე. არაფერი არ გაგიტყდეთ, ბავშვებო რა. ხო ვიკაიფეთ ზატო.“ – თვალი ჩავუკარი ტალპას, ჩანთა გადმოვიჭირე და წამოვედი.

„აუ, აზრზე ხართ? კინაღამ მასწავლებელი შემიყვარდა.“ – უკნი-დან მომესმა მაშოს ხმა.

„რააა, გოგოოო?!“ – გაჭედა კენგოლიანმა.

ნათია გოგიჩაიშვილი

„მეორე“ მხარე

– კარგი, ბავშვებო, დავწყნარდეთ, თორემ ვერ მოვასწრებთ გემრიელად მსჯელობას, ხომ იცით, ძალიან საინტერესო თემა გვაქვს განსახილველი, ჩვენი გაკვეთილები კი ასეთ ფორმატში უფრო მოკლეა. დღეისთვის უნდა დავფიქრებულიყავით, როგორ მოახერხა სეთურმა ხალხის არა მარტო დამორჩილება, არამედ საკუთარ სიმართლეში დაჯერებაც. როგორ მოხდა, რომ ეს გასაცოდავებული ხალხი არა მარტო ემორჩილებოდა მის ყველა ბრძანებას, არამედ იჯერებდა მის აბსურდულ ნათქვამს და იმასაც, რომ ყველაფერი სწორედ ისე იყო, როგორც უნდა ყოფილიყო. როგორ მოხდა, რომ ერთადერთ კაცს, რომელმაც მათთვის სიმართლის თქმა გადაწყვიტა, თავს დაესხნენ და სასიკვდილოდ გაიმეტეს. ამ ყველაფერზე უნდა გეფიქრათ და მოკლე პუნქტებად დაგეწერათ დასკვნები. მოდი, ვიმსჯელოთ. ვინ დაიწყებს?

– მას, მე!

– თემო, როგორც გთხოვეთ, დააჭირეთ ხელის აწევის ღილაკს, არ გვინდა წამოძახება, ხომ? ახლა გისმენ.

– დიახ, მას. სეთურზე იმის თქმა მინდოდა, რომ ისევე მოახერხა ხალხის დამორჩილება, როგორც მოუყვა კიდეც დათას. რომ ვკითხულობდი, ცოტა უცნაური იყო, რადგან თითქოს დაუჯერებელია, რომ ვიღაც გჩაგრავს, გატყუებს, სისულელეებს გელაპარაკება, გართმევს რაღაცებს და თან ლოცვებს გაკითხებს და აქებ. რანაირად უნდა იყოს ადამიანი ასეთი შტერი, რომ ასე მოიქცეს?

– ისიც გთხოვეთ, რომ სალანძღავი სიტყვების გარეშე მოვახერხოთ აზრის გადმოცემა.

– დიახ, მას, ბოდიში. ჰოდა, რანაირად უნდა იყოს ადამიანი ასეთი... მიუხვედრელი? ან როგორ ვერ უნდა იაზრებდეს, მის თავს რა ხდება? მაგრამ მერე დავფიქრდი, რომ დღესაც ხდება ასეთი რაღაცები. თან სულ ყველგან. გარშემო რომ მიმოვიხედე, აღმოვაჩინე, რომ ძალიან ბევრი ადამიანია ასეთ მონობაში და ვერც ხვდებიან, რომ სეთურს უჯერებენ და ადიდებენ, არც იაზრებენ, ისე იზეპირებენ და იმეორებენ მის ნათქვამს და თუ შეეწინააღმდეგები, ისევე გაცოფდებიან... ანუ განრისხდებიან, როგორც ის ხალხი გადაირია დათას სიტყვებზე. აი, რომ იტყვი, რომ ასე დაუფიქრებლად ნუ იმეორებთ, რასაც აცრებზე გეუბნებიან, ცოტა ტვინი გაანძრიეთ და დაინახეთ, რომ აზრი არ აქვს ამ აცრას და...

– მოიცა, რაო? აცრას აზრი არ აქვსო? მეგონა, პირიქით ამბობდა ანტივაქსერებზე და სეთურზე და ამან აცრას აზრი არ აქვსო, სასწაული...

– თაკო, აცადე. დაასრულოს და მერე გამოთქვი აზრი. და ჩხუბის გარეშე, თუ შეიძლება.

– დიახ, მას. ოღონდ დროზე მორჩეს.

– შენი გადასაწყვეტი არაა, როდის მოვრჩები. ვლაპარაკობ და დაიცადე. დიახაც, იმ ხალხივითაა ყველა, ვინც თუთიყუშივით იმეორებს, რასაც სეთური ეუბნება და არც უფიქრდებიან, მართალია თუ არა. და წესიერად ლაპარაკიც არ შეუძლიათ, ეგრევე ჩხუბს იწყებენ და ლანძღვას და წივილ-კივილს...

– წივილ-კივილს და ლანძღვას ვინც იწყებს, ვიცი!

– თაკო, ერთმანეთს ვაცადოთ და, თემო, არ გვინდა ასეთი გამონათქვამები, მშვიდად ვისაუბროთ.

– სიმართლეს ვამბობ, მას, ერთია, რომ სჯერათ, რასაც ამბობენ და მეორე, რომ სხვებს გვახვევენ თავზე და აგრესიულდებიან, როცა არ ეთანხმები!

– რა გაკვეთილი გაქვთ? ვაქცინები რა შუაშია?

– მოიცა, მა...

– ბავშვებო, მიკროფონები გამოვრთოთ, როცა არ ვსაუბრობთ.

– ქალბატონო თეა, უკაცრავად, რომ გერთვებით, ძალიან კარგია, ამ თემაზე რომ წამოგიწყიათ საუბარი, აუცილებელია, სკოლებში განიხილონ აქტუალური თემები, რომ ბავშვებმა ისწავლონ კარგისა და ცუდის გარჩევა.

– მამა, გაკვეთილია...

– არა, ბავშვებმა წამოწიეს თემა...

– ძალიან კარგი, მნიშვნელოვანია აქტუალურ საკითხებზე ბავშვებსაც ჰქონდეთ თავიანთი შეხედულება.

– მგონი, ჯობია, გაკვეთილის თემაზე იყოს საუბარი, არა? გამარჯობა, ზაზა, გამარჯობათ, ქალბატონო თეა, ბოდიში, რომ შემოგეჭერით, მაგრამ მგონი, ჯობია, ისევ გაკვეთილზე ილაპარაკონ, არა? ისედაც ისეა ხალხი გააგრესიულებული, ხან რას გვაძალებენ და ხან რას, რას აღარ იგონებენ, რომ გვაკონტროლონ, ბავშვებს მაინც ჰქონდეთ ბავშვობა! მართალია, ამჯერად ჩემმა შვილიშვილმა წამოიწყო ეს თემა, მაგრამ ამის გაგრძელებას მე მხარს არ ვუჭერ!

– გამარჯობა, ქალბატონო თამარ, განსახილველ ნაწარმოებს მოაქვს მსჯელობა ზოგად საკითხებზე. თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში მეც გეთანხმებით, რომ აღარ გვინდა ამ თემაზე გაგრძელება...

– მე კი მგონია, რომ უნდა იმსჯელოთ ხოლმე, პერსონაჟების სახელების დამახსოვრება არაა განათლება. ბავშვმა უნდა ისწავლოს ფიქრი, ანალიზი და საკუთარი აზრის ჩამოყალიბება.

– მამა!

– რა თქმა უნდა, ბატონო ზაზა, მართალია და ჩვენც ნაწარმოებებს ყოველთვის ასე და ამ მიზნით განვიხილავთ, მაგრამ ეს კონკრეტული ისეთი თემაა, რომ, ალბათ, აჯობებს, თუ ისევ დათას მივუბრუნდებით. გავაგრძელოთ, ბავშვებო, თორემ ბევრი ვერ მოასწრებს აზრის გამოთქმას. თემო, დაასრულე?

– მალე დავასრულებ, მას. იმას ვამბობდი, რომ სულაც არაა მოგონილი, რაც სეთურთან ხდება, ანუ მოგონილი კია იმ კუთხით, რომ შეიძლება დათა და არქიფო არ იყვნენ, მაგრამ სიტუაცია ზუსტად ეგეთია ბევრგან, მაგალითად, ჩვენთან აცრებზე...

– თემო, იქნებ შევეშვათ აცრებს...

– რატომ, ქალბატონო თეა, თუ აზრი არ გამოვთქვით და არ ვიმსჯელეთ, ისე გაყოფილები ვართ ადამიანები ვაქცინის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად და ერთმანეთს ვლანძღავთ. კარგი იქნება, რომ ბავშვებმა აზრი გამოთქვან და მერე მივიდეთ რაღაც დასკვნამდე... რომ სულაც არაა ეს ჩვენს გასაჟლეტად მოგონილი საწამლავი თუ ჩიპი და ცოტა მეტად რომ ვიმსჯელოთ და განვანათლოთ ხალხი, იქნებ უფრო უკეთეს საზოგადოებაში აღმოვჩნდეთ.

– ანუ რა გინდათ თქვათ, ზაზა, რომ ვისაც აცრა არ გვინდა, გაუნათლებლები ვართ?

– არა, ქალბატონო თამარ, რა თქმა უნდა, ეს არ უგულისხმია. სამწუხაროდ, ეს არაა ასე მარტივად გადასაჭრელი თემა და ძალიან შორს წაგვიყვანს. შეიძლება კლასგარეშე დისკუსიის მოწყობა, თუ სურვილი იქნება, ოღონდ ახლა ამას ვერ მოვახერხებთ. თუ შეიძლება, იქნებ არ ჩავერთოთ ბავშვების მსჯელობაში, ძალიან მოკლე გაკვეთილები გვაქვს და ისედაც ჭირს ყველასთვის სასაუბრო დროის მიცემა. თემო, აცრებს შევეშვათ და ისე განაგრძე მსჯელობა საკითხზე.

– მას, უკვე ხომ ილაპარაკა თემომ და მეც მინდა აზრის გამოთქმა!

– როდის ვილაპარაკე? ვინ მაცდის?

– შენ აცრებზე გინდა ლაპარაკი და არა გაკვეთილზე!

– გაკვეთილზე ვლაპარაკობ, სხვათა შორის და არც მიკვირს, რომ ვერ გაიგე, ვერც აცრებზე გაგიგია...

– თემო, საკმარისია!

– ასე ხდება, როდესაც ბავშვებს არ ვაცდით აქტუალურ საკითხებზე მსჯელობას...

– მამა, გვაცადე!

– სულ არ მიკვირს, ასეა ყველა აცრილი, გეგონება, მხოლოდ მათ იციან, რა არის სწორი და მართალი, ისე იქცევიან...

– ამას ჩემზე ამბობთ, ქალბატონო თამარ?

– ძალიან გთხოვთ, ბატონო ზაზა, ქალბატონო თამარ...

– გამარჯობა! ახლა მეც გეჭრებით, მაგრამ იქნებ ვაცადოთ ბავშვებს! სხვების მშობლებიც სახლიდან ვმუშაობთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გაკვეთილებზე ჩავერთოთ.

– რაღაცაზე გვაქვს აზრის გამოთქმის უფლება, არა, ნინო? თქვენც ხომ იცით, რა მავნებლობაა ერის წინაშე, როდესაც ასეთ ჭორებს ავრცელებენ სამედიცინო სფეროზე და ეს ისე უნდა გავრცელდეს ბავშვებში, რომ საწინააღმდეგო აზრი ვერ მოისმინონ?

– გასაგებია, ზაზა, მაგრამ ხომ არ აჯობებს, ბავშვებს ვაცადოთ ამ თუ სხვა საკითხებზე მსჯელობა, თუ გვინდა, დამოუკიდებელი აზრი ჰქონდეთ, ჩვენგან ისედაც საკმარისზე ხშირად ესმით მოსაზრებები ყველა თემაზე.

– მადლობა, ნინო, თორემ ამ აცრილების აზრით, ყველაფერში მართლები არიან და სულ თვითონ უნდა ილაპარაკონ!

– მეც აცრილი ვარ, ქალბატონო თამარ, რა შუაშია ეგ ამბავი ამასთან?

– როგორ, ნინო, თქვენ ჭკვიანი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებთ, თქვენც ნებით გახდით ამ ექსპერიმენტის მონაწილე? ამ საშინელი ჩანაფიქრის...

– ძალიან გთხოვთ, ქალბატონო თამარ! ასე არ გამოვა, უკაცრავად, მაგრამ ყველა მიკროფონი გამოვრთე! ზრდასრულები ვართ, ხომ უნდა გვესმოდეს, რომ არასწორია ეს ყველაფერი! არა, ქალბატონო თამარ, არ ისმის თქვენი ხმა, გამორთულია მიკროფონები. უკაცრავად, მაგრამ ვერ ჩავრთავ! გთხოვეთ, სხვა დრო შეგვერჩია ამ თემაზე სასაუბროდ. სამი წუთი დარჩა გაკვეთილის დასრულებამდე. ბავშვებთან ვიცი ხოლმე, რა ვთქვა, ამ შემთხვევაში არ ვიცი. დაგიკავშირდებით დღის განმავლობაში ყველას. ახლა დაგემშვიდობებით.

„მოგესალმებით კიდევ ერთხელ. დღევანდელი გაკვეთილი ვერ წარიმართა ისე, როგორც ვისურვებდი. მესმის, ყველასთვის მძიმეა ის, რაც ხდება – დიდებისთვისაც, პატარებისთვისაც. ეს ფორმატიც ყველას გვაბნევს და გვაგდებს ჩვეული რიტმიდან. დღევანდელი მდგომარეობა ერთგვარად ჩვენი სიმტკიცის გამოცდაა. რთულია, მაგრამ კარგი იქნება, ისე გავიაროთ ეს ბილიკი, უკან მობრუნებისას არ ვიუხერხულოთ. პირადად მე მეუხერხულება დღევანდლისა, ვისურვებდი, უკეთ მესმოდეს ყველასი.

ხვალინდელი დავალება პროგრამიდან არ გექნებათ. ამჯერად

ასე უნდა მოვიქცეთ: ჯერ გავერკვეთ, რომელ მოსაზრებას ვუჭერთ მხარს დღევანდელი დისკუსიის თემიდან (თუ უკვე არ გაქვთ გარკვეული). შემდეგ წარმოვიდგინოთ, რომ „მეორე“ მხარეს ვართ (ბრჭყალებში ვწერ „მეორეს“, რადგან მჯერა, რომ ყველანი ერთ მხარეს – სიცოცხლისკენ – ვართ). მერე კი მოიფიქრეთ, რატომ შეიძლება იყოთ ამ აზრზე, მოიძიეთ არგუმენტები თქვენივე ნამდვილი აზრის საწინააღმდეგოდ. რატომ შეიძლება მას ეთანხმებოდეთ? რა საბუთები შეიძლება არსებობდეს აცრის წინააღმდეგ/მხარდასაჭერად? გთხოვთ, დავალებას მოეკიდეთ გულისყურით. ბოლომდე ეცადეთ, გაისიგრძეგანოთ „მეორე“ მხარის მოსაზრება, ყველა დეტალი, საბუთი და დაწეროთ მასზე ისე, თითქოს სწორედ ესაა თქვენი პოზიცია.

ყველას გნიშნავთ აქვე, რომ ვინმეს არ გამორჩეს დავალება. გთხოვთ, შეასრულოთ მაქსიმალური მონდომებით. სურვილის შემთხვევაში, მას წაიკითხავთ ხმამაღლა, ან გამომიგზავნით პირადად.

ასევე, გთხოვთ, ვიყოთ მაქსიმალურად თავშეკავებულები, კეთილგანწყობილები, ვაცადოთ ერთმანეთს საუბარი და ვეცადოთ, გავუგოთ ერთმანეთს.“

– დილა მშვიდობის! დღეს მნიშვნელოვანი დღე გვაქვს და იმედია, კარგად გავართმევთ თავს. რადგან ამ საკითხზე მსჯელობა მაინც დაიწყო და ასე უსიამოვნოდ გაწყდა, მინდა, მოვახერხოთ და ეს შეწყვეტილი დიალოგი აღვადგინოთ და დღეს უკეთესად დავასრულოთ. დავუთმოთ დღევანდელი გაკვეთილი დიალოგს. ბევრი გვექნება სასაუბრო და განსახილველი. ვეცადოთ, დრო მაქსიმალურად გამოვიყენოთ. დასაწერი გქონდათ, ასე ვთქვათ, მოწინააღმდეგე მხარის პოზიციაზე. მინდა, ერთი-ორი მაინც წავიკითხოთ ხმამაღლა. ვისაც ამის სურვილი არ აქვს, პირადად გამომიგზავნეთ, როგორც გუშინ დავწერე. ვის უნდა ახლა წაკითხვა? თემოს. კიდევ? თაკოსაც. მშვენიერი, მინიმუმ, ორს წავიკითხავთ. სხვები? მოდი, კიდევ იფიქრეთ, სანამ ამ ორს მოვუსმენთ. რომელი დაიწყებთ?

– სულერთია, მას, თუ გინდათ, დაიწყოს თემომ.

– კარგი, დაიწყოს თემომ. და ყველას გთხოვთ, მოვისმინოთ ყურადღებით. თუ რაიმეს თქმა მოგვინდება, მოვიცადოთ ბოლომდე. მესმის, რომ ეს მტკივნეული თემაა და ახლოს მიგვაქვს გულთან, მაგრამ მაქსიმალურად კორექტულები და თავშეკავებულები უნდა ვიყოთ. კარგი, თემო, გისმენთ.

– დავიწყო, მას? დიახ. ესე იგი – „მე რომ აცრის მომხრე ვიყო. მე ვაქსერი ვარ“...

– მოიცა, თემო, უნდა გაგაწყვეტინო, ასეთი მანერულობა არ გვინდა, გარკვევით არ ისმის სიტყვები. ჩვეულებრივი ხმით წაიკითხე.

– მას, წაიკითხოს ასეთი ხმით, მის დაწერილს მოუხდება!

– არ არის საჭირო, ნუნუკა. მისი პოზიცია და ნაფიქრი სიტყვებშიც გამოჩნდება. შევწყვიტოთ სიცილი და მოვუსმინოთ. გააგრძელე, თემო. ჩვეულებრივად.

– დიახ, მას. „მე ვაქსერი ვარ. ეს სიტყვა მაგრად ჟღერს და იმიტომ ვისწავლე. ამას რომ ვამბობ, მაგარი ჭკვიანი ვჩანვარ. საერთოდ, თუ სულელი ხარ და გინდა, ჭკვიანი გამოჩნდე, ასეთი სიტყვები უნდა ისწავლო და იძახო ხოლმე: ვაქსერი, ანტივაქსერი, სტატისტიკა... ჰოდა, მეც ასე ვშვრები. რასაც მეუბნებიან, იმას ვიმეორებ, ვითომ ჩემი აზრია. თუ ვინმე არ მეთანხმება, იმათ ვეჩხუბები. აბა, რა ვქნა, იმდენი ტვინი არ მყოფნის, რომ გავიგო, რას მეუბნებიან და პასუხი რომ არ მაქვს, ვჩხუბობ, ვილანძღები და სხვას რომ ვერაფერს ვუხერხებ მოწინააღმდეგეს, ვბლოკავ“...

– თემო, ეს ის არაა, რაც მე გთხოვეთ. დაცინვა და სალანძღავი სიტყვები კი არა, მათი პოზიცია უნდა გაგეაზრებინათ და მათს არგუმენტებზე გესაუბრათ.

– ზუსტად მაგას ვაკეთებ, მას. მაგათი არგუმენტები ასეთია და სხვანაირად როგორ დამეწერა?

– თემო, ძალიან კარგად გესმის, რაზეც გელაპარაკები და არაფერია აქ სასაცილო, ნუნუკა! მეორე მხარის პოზიცია უნდა გაგეაზრებინათ, კი არ უნდა დაგეცინათ. დაცინვაში საკმარისზე მეტი დრო გავატარეთ უკვე ადამიანებმა.

– და რა უნდა გამეაზრებინა, მას? რანაირად უნდა გავიაზრო პოზიცია, რომელსაც ლანძღვით იცავენ? თვითონ იაზრებენ რამეს?

– რა თქმა უნდა, არა! მოგესალმებით, ქალბატონო თეა! ისევ ვერთვები, რადგან სხვა გზა არაა! მე ხომ გუშინ გითხარით ჩემი პოზიცია გაკვეთილებზე არასაგაკვეთილო თემების განხილვის შესახებ? ნუთუ ინტერნეტი და გარემო არ ჰყოფნით ბავშვებს, რომ გაკვეთილზეც ვაქცინაციაზე არ ისაუბრონ? მე არც ამ დავალების დაწერას ვემხრობოდი, მაგრამ ძალიან მოინდომა ბავშვმა, რომ დაეწერა. მე არ მესმის, რა მიზანი აქვს ამ განხილვას, რომ ისევ ამ საეჭვო ექსპერიმენტის პროპაგანდა მოხდეს?

– ქალბატონო თამარ...

– საეჭვო ექსპერიმენტი კი არა, მსოფლიოს წამყვანი მეცნიერების თავგადაკლული შრომის ნაყოფია! ასეთ რაღაცას როგორ ამბობთ საერთოდ? და, დიახ, ძალიან სწორია, რომ ამ თემაზე დისკუსიაა კლასში! იქნებ თქვენმა შვილიშვილმა სხვა აზრიც მოისმინოს და არა ეს შეთქმულების თეორიები! ნუ მაჩერებთ, ქალბატონო თეა, თუ შეიძლება! სათქმელი უნდა ითქვას! და პრეტენზია აქვს თან იმასთან, რომ თურმე ეს თემა არ უნდა განიხილოთ. რატომ, ჯანსაღი აზრი რომ არ გაიგონოს ბავშვმა შემთხვევით?

– ძალიან გთხოვთ, ბატონო ზაზა, ქალბატონო თამარ, უმორჩილესი თხოვნა მაქვს, ისევ ნუ ჩავერევით ბავშვების მსჯელობაში. ქალბატონო თამარ, ჩემი პოზიცია იცით და გუშინდელს მერე ისიც უნდა გესმოდეთ, რატომ გავხდი იძულებული, ეს თემა განგვეხილა. ამჯერად თუ შეიძლება, ნუ ჩავერევით ბავშვების მსჯელობაში...

– რომელ მსჯელობაში, რომ ბრაზობენ და დასცინიან ერთმანეთს? ეს რა პედაგოგიური მეთოდია?!

– იმიტომ ხომ არ დასცინიან, რომ ზუსტად ეს ესმით ოჯახში?

– რაო? რას გულისხმობთ, ზაზა?

– არა, ასე არაფერი გამოვა! იძულებული ვარ, ისევ გავთიშო მიკროფონები. ბატონო ზაზა, არ ისმის თქვენი ხმა, არც თქვენი, ქალბატონო თამარ. ვერ გავაგრძელებთ ასე, უნდა ვაცადოთ ბავშვებს მსჯელობა. აქამდეც გვისაუბრია, ისიც კი არაა სასურველი, რომ მშობელი იმ ოთახში იყოს, სადაც ბავშვს გაკვეთილი უტარდება, არათუ ასეთი ჩარევა საგაკვეთილო პროცესში! არა, ქალბატონო თამარ, ვერ ჩავრთავ მიკროფონს, უნდა მომისმინოთ, მე მიმყავს ეს გაკვეთილი! თუ რამე კონკრეტული პრეტენზია გაქვთ, მიმართეთ

დირექციას, გაკვეთილის ასე ჩაშლა დაუშვებელია. უკვე მეორედ ხდება ასეთი რამ. გასაგებია, რომ გული შეგტკივათ შვილიშვილზე. ყველას შესტკივა გული თავისი ოჯახის წევრებზე, მაგრამ ასე ვერ გაგრძელდება. თემო მარტო უნდა დაესწროს გაკვეთილებს. საკმარისი უნარი აქვს საკუთარი აზრის გადმოცემისა, არ საჭიროებს დაცვას და მის მაგივრად ლაპარაკს. მას ვთხოვ, დაფიქრდეს გაკვეთილის მერე და იქნებ დავალება თავიდან დაწეროს და ისე გამომიგზავნოს. მე არ ვიცი, ასეთ ფონზე როგორ უნდა გავაგრძელოთ გაკვეთილი ჩვეულ რეჟიმში. კიდევ ერთხელ ვიმეორებ – გთხოვთ, თუ რამე არ მოგწონთ, ცალკე, გაკვეთილის მერე ვისაუბროთ, ან მიმართეთ დირექციას. რომელიც გირჩევნიათ. მანამდე გაკვეთილი უნდა განვაგრძოთ აუცილებლად. თაკო, შენც გინდოდა წაკითხვა, როგორც მახსოვს. ისევ გაქვს სურვილი? შეგიძლია, ისე გამომიგზავნო, თუ აზრი შეიცვალე.

– არა, მას, წავიკითხავ.

– დარწმუნებული ხარ? თითქოს ყოყმანობ.

– არა, მას, მინდა. წავიკითხავ.

– კარგი. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მიკროფონები გამორთულია, გამოხმაურებას ვერ გავიგებთ, მხოლოდ თაკოსთანაა ჩართული. ყველას ვთხოვ, მოვუსმინოთ და პატივი ვცეთ ერთმანეთს. თაკო, გისმენთ.

– „მე ანტივაქსერი ვარ. არა, სინამდვილეში სულაც არ ვარ ანტივაქსერი, უბრალოდ, ასე სხვები მეძახიან და მეც იმიტომ გავიმეორე, თორემ არაფრის „ანტი“ არ ვარ. მე, უბრალოდ, მშვიდად ყოფნა მინდა. არავის ვებრძვი. სიახლეები ზოგჯერ კარგია, მაგრამ ზოგჯერ ასე არაა. ამ ამბავზე ბევრ ერთმანეთის საწინააღმდეგო რამეს ვიგებ. აღარ ვიცი, რომელს დავუჯერო. ჩემთვის სანდო და საყვარელი ადამიანებიდან ბევრი ამბობს, რომ არ აიცრებიან, რადგან ეს ვაქცინები გამოუცდელია, ან იმას ამბობენ, რომ სინამდვილეში სულ სხვა რამეა და გვატყუებენ. მე არ ვიცი ბიოლოგია და მიკრობიოლოგია და ვერ ვერკვევი იმაში, როგორ შეიქმნა ეს ვაქცინები და როგორ მოქმედებს. და მეშინია იმის, რაც არ ვიცი. მინდა, გავიგო, მაგრამ სტატიები ზედმეტად მეცნიერული ენითაა დაწერილი, ადამიანების მოსმენისას კი მხოლოდ ბრაზს ვხედავ და ჩხუბი მესმის. მერე მეც ვბრაზდები და ვჩხუბობ. მერე ისინი უფრო მეტად მეჩხუბებიან და მეუბნებიან, რომ თუ არ ავიცრები, ბნელი ვიქნები. თქვენთვის რომ ასე ეთქვათ, აიცრებოდით, თუ უფრო გაბრაზდებოდით? მე უფრო ვბრაზდები და უკვე აღარც მინდება მათთან საუბარი. მე მხოლოდ ის მინდა, იმიტომ კი არ მომისმინონ, რომ პასუხი გამცენ, არამედ იმიტომ, რომ მართლა გამიგონ. ამას კი ვერსად ვხედავ, ამიტომ ვრჩები ჩემს აზრზე და არ ვაპირებ აცრას“.

–კარგი, თაკო. მართლა დაფიქრებულხარ და გულმოდგინედ გიცდია მეორე მხარის პოზიციის გააზრება და მადლობა ამისთვის. სამწუხაროდ, ორი წუთიც აღარაა დარჩენილი გაკვეთილის დასრულებამდე. სხვა მსურველი თუ არის, ვეღარ მოვასწრებთ წაკითხვას. ყველას დავალებას ველი პირადში. ხვალ გაკვეთილზე ისევ ვიმსჯელებთ „მოსე ზამთარაძის ნაამბობის“ შესახებ. მანამდე ყველას გთხოვთ, იფიქროთ იმაზე, რაზეც ვისაუბრეთ, იფიქრეთ იმაზე, რა დავალებაც გქონდათ დღეისთვის და რატომ? თუკი ვინმეს რამე კითხვა აქვს, იცით, სადაც დამიკავშირდეთ. ხვალამდე დაგემშვიდობებით. დროებით.

„მას, ბოდიში. არ უნდა დამეწერა ისე. ძაან გაბრაზებული ვიყავი. მას, შეგიძლიათ, თაკოს სთხოვოთ, ბლოკი ამხსნას? მინდა, დაველაპარაკო. მადლობა და ბოდიში კიდევ ერთხელ“.

თორნიკე სიბაშვილი

ევა

კატა დავკარგეთ. დაკარგვაში იმას ვგულისხმობ, რომ ბევრი მცდელობის მიუხედავად ვერსად ვიპოვეთ. ჩემი ცოლი, ქრისტინე, განუწყვეტლივ ტიროდა. ცოტა-ცოტას მეც მეტირებოდა, ძნელია კატის გაზრდა და მერე დაკარგვა. არადა, ისე გვიყვარდა, ცივ ნიავს არ ვაკარებდით. ვაჭმევდით, ვვარცხნიდით, სასეირნოდ გაგვყავდა, მოკლედ, ყველაფერი.

ვუჰანიდან ვირუსი დანარჩენ მსოფლიოში რომ გავრცელდა და პანდემია გამოცხადდა, სწორედ იმ დღეებში ნახა ქრისტინემ განცხადება:

„ჩუქდება კნუტი მზრუნველ პატრონზე. არის ლამაზი, ტანადი, არ უყვარს ბევრი ლაპარაკი. ბლა, ბლა, ბლა...“

მას შემდეგ უცნაურად იქცეოდა ჩემი ცოლი: აივნის გამჭვირვალე კართან იდგა საათობით, სიცარიელეში იყურებოდა და ზოგჯერ ხმადაბლა, ძალიან ხმადაბლა კნაოდა. უკვე მეშინოდა, ასეთ უხერხულ სიტუაციაში არასდროს მოვხვედრილვარ. მიაუ, მეტყოდა ქრისტინე, მიაუ, მივუგებდი მეც, თან ცხელ-ცხელი წვნიანით სავსე ქვაბს მექანიკურად ვურევდი. ერთ საღამოსაც, როცა ქრისტინე კარადის ძირას იატაკზე გაწვა და დაიძინა, მივხვდი, რომ მაგრად მოვიწყინეთ და გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, კნუტი სახლში წამომეყვანა.

ქალაქში ყველაფერი ჩაკეტილი იყო. ის კი არა, თვითონ ქალაქიც ჩაკეტილი იყო. ქარის მოტანილი ხმები ისმოდა ზოგჯერ. დაცარიელებულ ქუჩებში პოლიეთილენის პარკები დაფრინავდნენ და ღამ-ღამობით, სასწრაფო დახმარების ავტომობილის ციმციმებს თუ მოვკრავდი თვალს, ისიც შორს, სხვა კვარტალში. საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ მუშაობდა. ერთხანს ვინანე კიდეც, საკუთარი ავტომობილი რატომ არ მყავდა, მაგრამ მერე გამახსენდა, რომ მის შესაძენად საკმარისი ფული არ მქონდა და დავიკიდე. საერთოდ, მარტივია რაღაცების დაკიდება. თუკი ვინმე ჩაცმულობის გამო დაგცინებს, დაიკიდებ, იმიტომ რომ ეს ნამდვილად სასაცილოა, რადგან ასე, მხოლოდ სულელები იქცევიან. თუ იმის გამო დაგცინებენ, რომ რაღაც არ იცი, ამის დაკიდებაც მარტივია, რადგან თუ ახლა რაღაც არ იცი, იმის გაგებისთვის წინ დიდი დრო გაქვს. საერთოდ, ბევრი რამ შეგიძლია მაგრად გეკიდოს, მაგრამ კატა თუ დაკარგე, დაგერხა!

მიაუ, ვუთხარი ქრისტინეს ერთ უგვან და ძუნძგლიან დილას, რაც იმას ნიშნავდა, რომ შეეძლო ოჯახის ბიუჯეტიდან აეღო ტაქსის ფული, რომლის მომსახურეობაც იმ ხანად 100 მილიონი ლარი ღირდა და წასულიყო კნუტის მოსაყვანად.

ისე უცებ გავარდა, თითქოს რაღაც ვაწყენინე. საწყენი კი არაფერი მითქვამს. მეგონა კატის ყოლაზე ოცნებობდა, რადგან ბოლო კვირას წვნიანს უკვე სვლეპით ვჭამდით და იატაკზე გვეძინა. ხანდახან, ღამით, ოთახში შემოსული ციმციმების შუქს დავდევდით კედლებზე, ვერთობოდით.

რამდენიმე საათი ვფიქრობდი იმაზე, თუ რა შეიძლებოდა სწყენოდა ქრისტინეს. მერე კიბეზე ფეხის ხმა გავიგონე. რკინის კარში გასაღების გადატრიალების ხმა და ქრისტინეს ბრჭყვიალა თვალებიც გამოჩნდა. ხელში კნუტი ეჭირა. მას კატამური დავარქვით. სახელზე ბევრი არ გვიფიქრია, კატამურის შთაბეჭდილებას ტოვებდა და ვეტერინარს პასპორტშიც ასე ჩავაწერინეთ:

„სახელი: კატამური
პირადი ნომერი – 007
აცრები – Yes

შმაცრები – Yes
ჭამის სიყვარული – High
სიზარმაცე – Low“

ვიღაცებს ჰგონიათ, რომ კატები ზარმაცები უნდა იყვნენ და უცნაური სახელები ჰქონდეთ, მაგრამ ცდებიან. კატამური ძალიან ცელქი კნუტი იყო და კლასგარეშე მასალასაც საოცრად სწრაფად ითვისებდა. ისწავლა კანფეტების ჭრაჭუნა ქაღალდებით ცხვირბურთის თამაში და გადაგდებული ნივთების უკან მოტანა, სამზარეულოსთან მოსრიალება, მაგიდასთან მჯდომარე პოზიციაში მარათონული ჭამა და ოთახში შემოფრენილ მწერებთან ურთიერთობა. ყველაფერი მარტივად აითვისა, მაგრამ ადამიანების ეშინოდა. რადგან საყოველთაო კარანტინში, სრულ სიჩუმეში გაიზარდა, მის შიშს დიდ ყურადღებას არ ვაქცევდით და როცა კარანტინს საბოლოოდ აღმოხდა სული, მხოლოდ მაშინღა მივხვდით, გონებრივი უნარებით დაჯილდოებული, მაგრამ მშიშარა კატა რომ შეგვრჩა ხელთ. ფეხთ თუ ხელთ, ეგ ზუსტად არ ვიცი, რადგან როცა ფეხზე გეჯდა, თვალს დაახამხამებდი და ცხვირზე გკბენდა, ან როცა ხელში გყავდა, თვალს დაახამხამებდი და მხარზე იყო წამოსკუპებული. მოკლედ, ხელთ თუ ფეხთ, ამაში დარწმუნებული არ ვარ. არც იმაში, რომ თვალის ხამხამი მისთვის დროის რაიმე სახით განმსაზღვრელი ყოფილიყო.

რა არ გავაკეთეთ მის საპოვნელად. ყველაფერი გავქექეთ, სახლის ყველა კუნჭული. მთელი უბანი გადავატრიალეთ, მაგრამ ისე იყო, თითქოს გაქრა, თითქოს თავის საყვარელი ლეპტოპის ჩანთაზე იწვა და აორთქლდა. ღამ-ღამობით სულაც არ გვძინებია, მაგრამ დასაძინებლად როცა ვწვებოდით, ყველა ფანჯარას ღიას ვტოვებდით, იმ იმედით, რომ რომელიმე ფანჯრიდან შემოხტებოდა და ძველებურად გაგორდებოდა იატაკზე. მაგრამ მხოლოდ ყრუ, აუტანელი სიჩუმე და სიბნელეში ჩუმად შემოსული ქრისტინეს მტკივნეული ქვითინი იყო. ძალიან ბევრს ვნერვიულობდი, თითქოს მომწონდა კიდეც. როცა ქრისტინე ტიროდა კიდევ უფრო მეტად მიყვარდებოდა და ვფიქრობდი, რა კარგია, რა კარგია, მაგრამ თავს არ ვუტყდებოდი. ეს ჩვენთვის კარგი სულაც არ იყო და არც კატამურის დააბრუნებდა, მაგრამ მიხაროდა გვერდით ასე კეთილი ადამიანი რომ მყავდა.

კატამურის დაკარგვიდან რამდენიმე დღის შემდეგ, გადავწყვიტეთ, პოლიციაში განგვეცხადებინა, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, დაკარგული კატების ძებნა მათ ფუნქცია-მოვალეობებს აღემატებოდა, ამიტომ მხოლოდ კატამურის ფოტოები დავბეჭდეთ ტექსტით:

„დაიკარგა ოჯახის კატა კატამური. მპოვნელი დასაჩუქრდება 350 ლარით.

დაგვირეკეთ, ტელ: 598 301 335

მოგვწერეთ, ტელ: 598 301 335“

ფურცლები უახლოესი უბნების ყველა მაღაზიაში დავარიგეთ, გავაკარით ელექტროგადამცემი ხაზების ანძებზე, კუნძებზე შემდგარ მონგრეულ ავტომობილებზე, ცარიელ კედლებზე. რომელიმე დეპუტატის საარჩევნო ბანერზე უფრო გულმოდგინედ ვაკრავდით, რადგან, მეორე დილით ისევ ახეული გვხვდებოდა და კატამურის სურათის ნაცვლად უცნობი კაცი გვიღიმოდა ხოლმე წარწერით: „ამირჩიეთ, დანარჩენი ჩემზე იყოს“.

ქრისტინას მასწავლებლობის 1 თვის ხელფასი 350 ლარი ცალკე გადავინახეთ. უფრო სწორად, მაცივრის თავზე, წაკითხული წიგნების ქვეშ დავდეთ. იმედი გვქონდა, რომ კატამურის სადმე ვიპოვიდით ან ვინმე მოგვაწვდიდა მასზე საჭირო ინფორმაციას. გადიოდა დღეები, მაგრამ კატას ვერ ვპოულობდით, არც არავის უნახავს, არც სადმე გამოჩენილა. კატამურის ფოტოები იმდენჯერ გადავამრავლეთ, რომ ტიპმა, რომელსაც უბანში პატარა ჯიხური ჰქონდა წარწერით Xerox, საბუთების ფული შეაგროვა და კანადაში წავიდა სამუშაოდ. ჩვენდა სასიკეთოდ ქსეროქსის აპარატი დაგვიტოვა და კატამურის მალე პოვნაც გვისურვა. ჩვენც თავაზიანი ღიმილით გავაცილეთ.

ძალიან არ გვინდოდა დანებება. მე კი ვგრძნობდი, რომ ცოტაც და შევეშვებოდი. კატაზე მეტად ქრისტინე მადარდებდა, რომელიც ყოველ საღამოს უბნის ბავშვებს კატამურის სურათებს აჩვენებდა და მათ მოძებნას სთხოვდა. უკლებლივ ყველა ბავშვმა იცოდა დაკარგული კატის ამბავი, ერთხანს ეძებეს კიდეც, მაგრამ მერე შეეშვნენ. როცა ქრისტინე მათთან მიდიოდა, უხერხულად იშმუშნებოდნენ და მხოლოდ თავს აქნევდნენ აქეთ-იქით.

– ბავშვებო, კატამური არსად გინახავთ? – ჰკითხავდა ქრისტინე.

ისინი უარის ნიშნად თავს გააქნევდნენ, ცოტა ხანს იცდიდნენ და მერე ისევ სათამაშოდ გარბოდნენ. თამაშიც კი გამოიგონეს, გამომძიებლობანა, მაგრამ ჩვენ ვერაფერში დაგვეხმარა. კატამურის დაკარგვის პირველ კვირაში თვითონ გვეკითხებოდნენ მასზე ამბებს, ახლა კი ყველას თავი მოვაბეზრეთ. კედლებზე გაკრულ განცხადებებსაც ყურადღებას არავინ აქცევდა. შეყვარებული წყვილი თუ გაჩერდებოდა ქუჩის კუთხეში და უხერხულობის გასაფანტად რამდენიმე სიტყვას ხმამაღლა ამოიკითხავდნენ.

– კატა დაკარგულა...

– აუ, ნეტავ იპოვონ.

– სადმე იქნება, გამოჩნდება!

ზოგიერთი უვარგისი მეზობელი ზურგს უკან გვაფურთხებდა კიდეც, ქუჩებში ჩვენს განცხადებებს კრეფდნენ და კართან გვიყრიდნენ. ეზოს დასუფთავებისას თინამ სხვათა შორის მითხრა, შვილები რომ გყავდეთ, კატაზე სულაც არ ინერვიულებდითო. საბედნიეროდ ეს ქრისტინეს არ გაუგონია. „მასწავლებელი ზოგჯერ უშვილო, მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი“ – გაღეჭილი ფრაზა მივუგდე თინა ცხვირისხვისსაქმეშიჩამყოფაძეს და მას შემდეგ გამარჯობასაც აღარ ვეუბნებოდი.

ერთ საღამოს, როცა თვითაღიარებულ მეთევზე ალექსანდრე სულამანიძეს მეძებარი ძაღლების შესახებ ვწერდი, რომლებიც კატების საპოვნელად არიან გაწვრთნილები და ალექსანდრე სულამანიძე იქიდან მპასუხობდა, არ ვიცი, მონადირე კი არა, მეთევზე ვარო, ტელეფონში შეტყობინება გაჩნდა. კი არ შემოვიდა, გაჩნდა. ეკრანი აციმციმდა და გამოჩნდა ტექსტი:

„თქვენი კატა მე მყავს. 8 წუთში მოდით ძველ „კამაზთან“. მოწმეები არ გვინდა!“

როგორც გამოჩნდა, ისევე გაქრა. რაღაც მომენტში ვიფიქრე, რომ მომეჩვენა, მაგრამ ცოტა ხანში ტელეფონი ისევ აციმციმდა

და ეკრანზე იგივე ტექსტი გამოჩნდა, ოღონდ 8 წუთის ნაცვლად 5 წუთი ეწერა. ქრისტინესთვის არაფერი მითქვამს, ისე წავედი. შეიძლებოდა ვინმე ბოროტად გაგვხუმრებოდა. ყოველთვის რეკავდნენ. ზოგიერთი გვეხუმრებოდა, ვიღაცები თავიანთი კატების ჩუქებას ცდილობდნენ. ბოლო დროს ქსეროქსის გამო გვწერდნენ ხშირად, ძირითადად სტუდენტები.

ძველ „კამაზს“ რომ მივუახლოვდი, უკვე ბნელდებოდა და არაფრის იმედი არ მქონდა. ვინმეს კატამური რომ ეპოვნა, ფულსაც მოგვთხოვდა, ან ეს „მოწმეები არ გვინდა“ რა საჭიროა, ფილმში ხომ არ ვარ. ისე კი, თითქოს მართლაც ფილმში ვიყავი. ბნელოდა, წვიმდა და არ ვიცი, რატომ ვკანკალებდი, ჩუსტებში წინდების გარეშე წაყოფილი სველი ფეხების გამო თუ, მეშინოდა. უცნაური ის იყო, რომ აქამდე არასდროს მიმიღია ასეთი წერილი. როგორც წესი, ყველა წერილი ტელეფონში რჩებოდა იქამდე, სანამ არ წავშლიდი, მაგრამ ეს ტექსტი რამდენიმე წამით დაიწერა და მერე გაქრა, კატამურივით. ერთი ფილმი მქონდა ნანახი, ბოროტი ტიპები ძაღლს გაიტაცებენ და პატრონს გამოსასყიდს სთხოვენ. ზუსტად ასე ამბობენ: „მოწმეები არ გვინდა!“ მაგრამ ჩემთვის არც ფულად ჯილდოზე, არც გამოსასყიდზე არაფერი მოუწერიათ. ფული მაინც წავიღე, 350 ლარი და ცომის საბრტყელებელი ჯოხი.

საღებავგაცლილ, უსაბურავო „კამაზთან“ არავინ იყო. უნდობლად ვიყურებოდი სიბნელეში და ვცდილობდი, რაიმე გამერჩია. ქუჩის ბოლოს მდგარი ლამპიონი მხოლოდ ავტომობილის ცხვირს ანათებდა. ქამრიდან ცომის საბრტყელებელი დავაძრე და წყვდიადში შევედი. უეცრად შიშველ ფეხზე შეხება ვიგრძენი და შევკრთი. ჯოხი მოვიმარჯვე და საბრძოლველად მოვემზადე, როცა ვიღაცამ ტელეფონი აანთო და კატამური დავინახე. საოცარი სიმსუბუქე და კატამურის ბეწვის სუნი ვიგრძენი. ხელში ავიყვანე და ცხვირზე იმდენს ვკოცნიდი, სანამ ტუჩებზე ტალახიანი თათი არ დამადო. იქვე უცნობი გოგონა იდგა და იღიმოდა. მე რაღაცებს ვიძახდი, კატამურის ვერბალურად ვეფერებოდი, როგორც შემეძლო.

– ჭკვიანი კატა გყავს, მაგრამ ცელქია. – მითხრა გოგონამ და ქუჩისკენ აიღო გეზი.

ჩვენი უბნელი გურამ დვალის ძმისშვილს ჰგავდა ერთი შეხედვით.

მოიცა, მოიცა – კატამური იღლიაში ამოვიჩარე და გავეკიდე, – მოიცა, მითხარი, სად იპოვე. ანდა, წამოდი ჩვენთან. ჩემ ცოლს ისე გაუხარდება, ძალიან ბევრ შოკოლადს გაჭმევს.

– შოკოლადი შენთვის შეინახე და კატას მოუარე!

– ეს ფული მაინც გამომართვი - შარვლის ჯიბეში ქაღალდებს დავუწყე ძებნა. გოგონა შეჩერდა. ლამპიონის ნათება მის სახეს მკრთალად ანათებდა.

– ევა? – ვთქვი და ფული გავუწოდე.

– კი, მე ვარ და ეგ ფულიც შენთვის შეინახე!

– მოიცა რა, თუ ბავშვი ხარ, მითხარი, საიდან მოიყვანე ჩვენი კატა, რახანია ვეძებთ.

– საიდან და გამომყვა. შენ თუ გინდა არ დაიჯერო, პანსიონში გამომყვა და მორჩა!

– დაგიჯერებ? რას ჰქვია, რომ არ დაგიჯერო! ჩემს ცოლს ხომ იცნობ? მგონი შენც გასწავლის რაღაცას, არა? წამოდი ჩვენთან, გავშრეთ და ჩაი დავლიოთ.

ეს რომ ვუთხარი, მაშინღა დავაკვირდი, რომ გოგონას თვალებზე ცრემლები მოსდგომოდა და ნაძალადევი ღიმილით ცდილობდა მათ შეკავებას.

კატამური საიმედოდ ამოვიჩარე იღლიაში, რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და ევას გავხედე. ვერ გადაეწყვიტა წამოსულიყო თუ არა, კატას უყურებდა. ისევ გადავდგი რამდენიმე ნაბიჯი, როცა ზურგსუკან მომესმა – კარგი!

უხმოდ გავიარეთ მთელი ქუჩა. წვიმა გადაღებას აპირებდა, მაგრამ გზებზე უკვე გაეჩინა ტალახიანი გუბეები.

ქრისტინეს ისე გაუხარდა კატამურის დანახვა, რომ თავიდან გოგონას ოთახში ყოფნა არც კი უგრძნია. ეფერებოდა, კოცნიდა, კატასთან ერთად ხტუნავდა და დარბოდა. კატამურიც ბედნიერი ჩანდა. რამდენიმე წამით შეყოვნდებოდა, ბეწვს აილოკავდა და ქრისტინესთან თამაშს აგრძელებდა. ევაც იქვე იდგა, ქსეროქსის აპარატთან და ხმამაღლა იცინოდა.

ცრემლი კატამურის შავთ-თეთრი ფოტოთი მოვიწმინდე და სამზარეულოში ჩაის მოსამზადებლად გავედი. როცა დავბრუნდი, ქრისტინეს კატამური ეჯდა კალთაში და ახლა ევას ეფერებოდა.

– ძალიან ვიდარდე პანსიონში რომ წაგიყვანეს, ევა. – უთხრა ქრისტინემ და ჩაით სავსე ფინჯანი მიაწოდა, – მაგრამ ხომ იცი, ინგლისურის მასწავლებელი ვარ. ვერაფერი გავაკეთე.

– არა უშავს, გოგონამ ჩაი მოხვრიპა და კატამურის თავზე მოეფერა, – გამიხარდა კიდეც, გურამს მაინც ვეღარ ვუძლებდი.

– არადა, ნორმალური კაცი ჩანდა გურამი – გაბრაზებულმა თქვა ქრისტინემ, – სამსახურში მიდი-მოდიოდა, შენც თითქოს კარგად გექცეოდა...

– მოგონილია! – მტკიცედ თქვა ევამ და თვალებში ბრჭყვიალები აუციმციმდა. – ტანსაცმელს მე ვრეცხავდი, სახლს ვასუფთავებდი, სადილს ვამზადებდი. ის კი სულ ყვიროდა, თავის იქსიგრეკებთან იჯდა და რაღაცებს ყვიროდა.

ქრისტინემ ევას ფინჯანი გამოართვა და მხარზე მიეფერა. მე გამოშტერებული ვიდექი და ვეღარ გამეგო ხელები ჯიბეებში ჩამეწყო თუ ზურგს უკან დამელაგებინა. ნიკაპს ვისრესდი.

– პანსიონში როგორ გექცეოდნენ? – ისევ ქრისტინემ დაარღვია ოთახში შეგუბებული სიჩუმე.

ევა აივნის კართან მივიდა. კატამური გულზე ჰყავდა მიხუტებული და თავზე ხელს უსვამდა.

– პანსიონში წასვლა მე მოვინდომე, წერილიც მე მივწერე მამაოს, გურამი აზრზეც არ იყო.

– აჰა, კარგად მოგიფიქრებია, მაგრამ იქნებ ჯერ ჩემთვის გეთქვა. – ძლივსგასაგონად ჩაილაპარაკა ქრისტინემ. მივედი და მხარზე ხელი ოდნავ მოვუჭირე. იმ წუთას ძალიან უსუსურად ვიგრძენი თავი და შემრცხვა.

– უნდა გენახათ, როგორ გაბრაზდა გურამი, როცა პანსიონიდან მოვიდნენ. ლოყები აუწითლდა და სახე დაეჭიმა. მაგას ეგონა, მუდამ მისი მოსამსახურე ვიქნებოდი. ჩემი მშობლების სიკვდილის

მერე სულ რაღაცების გაკეთებას მაიძულებდა. ევა, პერანგი გაა-უთოვე; ევა, დილით ნაგავი გაიტანე. მის კბილის ჯაგრისს უნიტაზში ვრეცხავდი ხოლმე, ის კიდევ ზუსტად 3 წუთი იხეხავდა კბილებს.

სამივეს სიცილი აგვიტყდა.

– პანსიონიდან რომ მოვიდნენ, თავიდან ისე მექცეოდა, თითქოს მაგის შვილი ვიყავი. მაგრამ ბარგი უკვე ჩალაგებული მქონდა და მოვხიე.

ქრისტინას გაეღიმა.

– ასე ლაპარაკი სად ისწავლე?

– პანსიონში! – მოკლედ მოუჭრა ევამ, ჩვენკენ შემობრუნდა და თქვა, - მაგ გურამის დედაც, არა?!

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

ქრისტინემ ჯამით კარტოფილი გამოიტანა და ვახშმის მომზადებას შეუდგა. ევაც გვერდით მიუჯდა, კარტოფილებს თითებით აცლიდა მიწას და ქრისტინეს აწვდიდა. კატამურის ვათვალიერებდი. კარგად იყო ჩასუქებული, მოზვერივით.

– აქ ისევ ისეა? – გამომხედა ევამ. მე მხრები ავიჩეჩე.

– გიჟობა! – თქვა და კარტოფილის გასუფთავება განაგრძო.

იმ ღამით დივანზე დავიძინე. უფრო სწორედ, გავათენე. გურამ დვალი მუდამ ჩვენი მეზობელი იყო. შეიძლება ითქვას, რომ დღენიადაგ. არასდროს არსად წასულა. ფიზიკოსი იყო და უნივერსიტეტში ასწავლიდა, ალბათ ფიზიკოსობას. ყოველ დილით ვხედავდი ავტობუსის გაჩერებასთან მდგარს. მუდმივად ერთნაირი ვარცხნილობა ჰქონდა. გრძელი, თხელი თმები, ბოლოში ოდნავ აპრეხილი. ვინ იფიქრებდა, რომ უდედმამოდ დარჩენილ ბავშვს ასე მოექცეოდა. რა ბანალური და სასტიკი ისტორიაა, ზღაპარიც ეგ არის! არადა, გვეგონა დაბერდა, ძმისშვილს ვეღარ უვლიდა და პანსიონში იმიტომაც გაგზავნა. კატამურიც ევას გაჰყოლია. შეიძლება წაიყვანა კიდეც.

დილით პანისონიდან მოვიდნენ. ღამით მე დავრეკე. როცა კარის გასაღებად წავედი, ზურგს უკან მზერა ვიგრძენი და მივიხედე. ქრისტინე ოთახის ზღურბლთან კედელს მიყრდნობოდა და მიყურებდა. კატამური ტუალეტში ქვიშას ქექავდა.

სახლიდან გასვლისას ევამ თითქოს გაიბრძოლა, მაგრამ მამა პეტრემ მაგრად მოჰკიდა მკლავზე ხელი და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. გმადლობ, ვნერვიულობდით, ვეძებდით – ასეთ სიტყვებს ისროდნენ უმისამართოდ მამა პეტრე და ის ორი ქალი, მას რომ მოჰყვა. ქრისტინე ოთახიდან არც გამოსულა, სამზარეულოს ნიჟარაში ჭიქებს დემონსტრაციულად არახუნებდა. მგონი თეფშიც გატეხა. 350 ლარი ამოვიღე ჯიბიდან და მღვდელს გავუწოდე. მანაც თავი დამიკრა და ხელის რამდენიმე მოძრაობით პირჯვარი გადამწერა თუ გარდამსახა, არ ვიცი.

კრემისფერ „ოპელში“ ჩავჯდომისას თვალცრემლიანმა ევამ შემომხედა, მკითხა:

– გგონია პანსიონში კარგია?!

ავტომობილმა დაიბრახუნა, მაყუჩიდან თეთრი კვამლი გამოუშვა და ფრუტუნით გაუყვა ნაწვიმარ ქუჩას.

ერთხანს ვიდექი კიბესთან, სიგარეტი რამდენიმეჯერ დავანაფაზე, მერე სახლში შევვარდი, საკიდზე დაკიდებულ ქურთუკებს შორის მოპედის გასაღები მოვძებნე და კარი გავიჯახუნე.

როცა მოპედს გამოცდილი ბაიკერივით მოვახტი და გასაღები გადავატრიალე, ჩვენ აივანზე ქრისტინეს მოვკარი თვალი. კატამური გულზე მიუხუტებინა და მიცინოდა.

ძველისძველი მოპედი ავახრიგინე და იმ მოსახვევისკენ წავედი, სადაც კრემისფერი „ოპელი“ გაუჩინარდა.

გურო დავითლიძე

არიკო

„მასწავლებელს, რომელმაც სასტიკ ცხოვრებას შემატოვა“

აჩიკო ერქვა მაგრამ არავინ ეძახდა აჩიკოს. საერთოდაც, ბევრმა არც კი იცოდა, აჩიკო რომ ერქვა. თავში რომ წამოარტყამდნენ და წიხლს მიაზელდნენ, ატირდებოდა ხოლმე და სკოლის ბუფეტის მხრიდან გარბოდა გარეთ სტადიონისკენ. ყოველთვის გახუნებული ჯეკ დენიელსის მაიკა ეცვა და დიდუბეში ნაყიდი „ოლსთარები“. სიმართლე რომ ვთქვათ, აჩიკო სხვანაირი ბავშვი იყო. მაგრამ ამაზე, თვითონ, წარმოდგენაც არ ჰქონდა. სულ თვალების ცეცებით დადიოდა აქეთ-იქით და ორივე ხელის თითებს ერთმანეთში ხლართავდა. სახლში მივიდოდა თუ არა, თავის ოთახში ფანჯრის რაფაზე აბობღებული ჯეირანების თამაშით ირთობდა თავს. ძლიერად დაახეთქებდა ხელის გულს ფანჯრის რაფაზე გაშლილ ჯეირანებს და ერთიანად ფრიალებდნენ ფეხბურთელების სახეები ჰაერში: კაფუ, რონალდინიო, რონალდო, კაკა...

აჩიკოს ჯეირანები ძალიან უყვარდა.

„აღარ შემიძლია, გესმის? აღარ შემიძლია! დავიღალე!“ – მაღალ ხმაზე აღრიალდა აჩიკოს დედა, ნაზი და ონკანი მოუშვა.

„და მე რა ვქნა? რა გინდა, რო გავაკეთო?“

„აღარ შემიძლია, აღარ! – დაუმარცვლა ნაზიმ თავის ქმარს და ჭურჭელი ნიჟარაში ჩაახეთქა.

აჩიკოს მამამ სიგარეტს გაუკიდა და ფანჯარასთან ჩამოდგა.

„ შენი ბრალია ყველაფერი! შენი ბრალია, შენი!“ – ატირდა ნაზი, მივარდა დათოს და ორივე ხელის ძლიერად რტყმა დაუწყო.

„ სულ გაგიჟდი? შეიშალე?“

ნაზი მაღალ ხმაზე ღრიალებდა და მთელი ძალით ურტყამდა ხელებს დათოს.

„რანაირი გაგიცანი და ვინ ხარ ახლა, ჰა? გეკითხები, ვინ ხარ-მეთქი? შეხედე შენს თავს, რას გავხარ, რას დაემგვანე.“ – ტიროდა ნაზი.

„ნაზი, გამაგებინე, რა გინდა? გინდა, წავიდე? წავალ. სულ წავალ და ჯანდაბაშიც წასულხარ“.

„ახლა წახვალ ხო? იცი, რა მითხრა დღეს ბავშვის მასწავლებელმა? გითხრა? გაინტერესებს? ტუალეტიდან გამოვარდნილა ჩახდილი და დერეფანში დარბოდაო. დერეფანში დარბოდაო, გესმის? ბავშვებით სავსე სკოლის დერეფანში.

„ჩახდილი?“ – შეიცხადა დათომ და სიგარეტი აკანკალებული ხელით ფანჯრიდან მოისროლა.

„ხო, ჩახდილი.“ – ამოიხვნეშა ნაზიმ, – „დავიღალე, ძალიან დავიღალე!“ – ამოილაპარაკა და გაუხეშებული თითებით ტუჩებზე შერჩენილი ცრემლი მოიწმინდა.

იმ დილას აჩიკომ სკოლის საპირფარეშოდან მერცხალი დაინახა, რომელიც ფანაჯარაზე მიბჯენილ თუთის ხის ტოტზე იჯდა. სიხარულისგან იყვირა და ფანჯარას ისე აეკრა, რომ შარვლის აწევა დაავიწყდა. შეშინებული მერცხალი ფანჯრისაგან მოშორებით, ქვედა ტოტზე გადაფრინდა. აჩიკო გახარებული გავარდა გარეთ მერცხლის ახლოდან სანახავად. მირბოდა გრძელ, მტვრიან დერეფანში შარვალჩახდილი და არ ესმოდა სკოლის ბავშვების ხმამაღალი სიცილი და შეძახილები.

„ბიჭო, გაიგე, გუშინ რა მოხდა?“ – ჰკითხა ფლეგმამ ვატოს და სკოლის ტუალეტში რადიატორთან ჩამოდგა.

„რა მოხდა?“

„ჩემს თავს გაფიცებ, მართლა არ იცი?“

„არა, შეჩემა, არ ვყოფილვარ გუშინ. მთელი ღამე თექვსმეტიანის თავზე ვსვამდით ბიჭები.“

„დებილა რო გვყავს, ხო იცი?

„დებილა?

„ჰო, რა, ცოტა რო ვერაა.“

„ სათვალეებიანი?

„ჰო.“

„ეგ ცოტა კი არა, მაგრად ვერაა, შეჩემა.“

„ მთელი დერეფნები შარვალჩახდილმა შემოირბინა, ბიჭო, შუა დასვენებაზე.

„კაიიი?“

„შენს თავს ვფიცავ. გამოვარდა ტუალეტიდან, იქნევს ამ ხელებს და დარბის. ძლივს გააჩერა ეთერამ.“

ვატოს სიცილი აუტყდა.

„ბიჭო, ბეჟანა მოდის, მალე.“ – შემოვარდა ტუალეტში ცოტნე.

„კაი, მერე ვიბაზროთ.“ – თქვა ვატომ და სიგარეტი სწრაფად მოისროლა ფანჯრიდან.

„ამ ქოლიინგ იუუ, ვიზ ოლ მაი გოლს მაი ვერი სუულ“ – მიდი, მიდი აუწიე, შეჩემა. – აყვირდა ვატო და ლუდის ბოთლი მოიყუდა.

„მაიცა, უფრო მაგარს ჩავრთავ. ერთი, ორი, სამი. წავიდااა...“

„ოპაااა... ჰეეი, რა მშვიდად მოცურდა ჩვენს ნაპირთან გემი.“ – აუ, ეს რა მაგრად ასწორებს, ბიჭოო! რო ვუსმენ, იმენა, მგონია, რო ბულვარში ვარ და მაგარ ნაშას ვუქიქინებ.“

„შენ ვინც მოგცეს, იმას...“

„ეე, ეე, წესიერად, მამაშენი არ მომაკითხინო.“

„კაი რა, რეებს უსმენთ, ბიჭო. ჩართე რა ემინემი.“

„ემი ვიინ?

„გაწიეთ ეს თორე დავბრიდავ ბოიშვილივიყო.“ – წამოხტა ტოტი და ლექსო მაგნიტაფონიდან გაწია.

„სად გაქვს ბიჭო ემინემი?“

„მანდ უნდა ეგდოს უჯრაში.“

„არაა, შეჩემა. თუფაქია მარტო.“

„გაუშვი მერე.“

„ეეეეე....“

„ბიჭო, ფლეგმა, მიდი რა, ის მოყევი, დილას რო ყვებოდი.“ - ვატომ ბოლომდე ჩაცალა ლუდის ბოთლი.

„დებილა?“

„ჰო, რაო, როგორ გარბოდაო?“ – გაეცინა ვატოს.

ფლეგმა წამოდგა, შარვალი ბოლომდე ჩაიხადა და ხელების ქნევით დაიწყო სირბილი დივანის გარშემო.

„სათვალეღა გაკლია და იმენა ეგა ხარ.“ – გაეცინა ტოტის. აყვნენ ბიჭებიც.

„ისე, რა ჭირს, ტო? რატოა ეგეთი?“ – იკითხა ფლეგმამ გაურკვეველი ცნობიმოსყვარეობით.

„ მე რავი. ეგეთი დაიბადა რა, დებილად.“

„რა ტეხავს, ტო. ერთხელ იბადები და ისიც დებილად.“ – გაეცინა ვატოს.

„აბაა... აი, ტოტის ეცოდინება, რა გრძნობაცაა. არა, ტოტი?“

„წადი შენი...“

„აღარ ვიცი, რა მოვუხერხო ამ აჩიკოს. რატო გვტანჯავენ, არ ვიცი.“

„ესმიით? თავიდან იშორებენ ეგენიც, თორე რა, გგონია, არ იციან, რო არაფრის მსწავლელი არაა?

„წუხელ სულ დორბლები გადმოსდიოდა პირიდან. გული კინაღამ ამერია. უნდა დაველაპარაკო ნოდარის.“

„ მეც ვაპირებდი, მარა გგონია, რამე შეიცვლება? იტყვის მაგისი უფლებაააო.“

„ და ჩვენი ნერვები ნერვები არაა? ამ ორ შვილს რა ვუყო, თორე ამათი ატანა აღარ მაქვს გეფიცები.“

„მეც ეგრე არ ვარ? გაღვიძება მეჯავრება, აქ მოსასვლელი რო ვარ. ერთი და იგივე, ერთი და იგივე, ყოველდღე. სწავლობდნენ მაინც რამეს.“

„მოუკვდა იმ დროს პატრონი, თორე აქ უნდა ვიყო ? მარა, რა მექნა? აქაც ძლივს შემოვძვერი, თორე გაგვიხმებოდა მე და ჩემს ქმარს კუჭი შიმშილით.

„ეეე, თამრიკო, იცი, როგორ მინდოდა, მთელი ცხოვრება, კაბინეტი მქონოდა? დიდი კაბინეტი და იქ ვმჯდარიყავი სულ. ახლა კიდე, ხო ხედავ, ამ სასიკვდილოებს ვუყურებ ყოველდღე.“

„ეგე, ნოდარი მოდის. მართლა აპირებ, რო უთხრა რამე?

„ ახლა არა. მერე ვეტყვი.ზარია სადაცაა. “

როცა აჩიკოს სკოლის საპირფარეშოში უფროსკლასელი ბიჭები შეათრევდნენ, ზედ აშარდავდნენ, აფურთხებდნენ, პანჩურებს ურტყამდნენ და დებილოს ეძახდნენ, ხშირად, ტირილის ნაცვლად, იცინოდა ხოლმე. შეიძლება ითქვას, ხმამაღლაც კი. ალბათ ეგონა, რომ ეთამაშებოდნენ და ის ყველაფერი, რაც მის თავს ხდებოდა, მხოლოდ გართობა იყო. აჩიკოს კიდე, არაფერი უყვარდა ისე, როგორც თამაში. ბოლოხანს, იშვიათად თუ ეთამაშებოდა ვინმე. ძირითადად მარტო უწევდა თავისი თავის გართობა ჯეირანებით, პოკემონებით, სხვადასხვა კუბიკებითა და დამტვრეული მანქანებით. სიმართლე კი ის იყო, რომ მთელ სკოლაში არავინ ჰყავდა აჩიკოს თავისი თავის

გარდა. მასწავლებლებიდან დაწყებული სკოლის ბავშვებით დამთავრებული, ყველას სძულდა ან ეზიზღებოდა. თუმცა, ამ ყველაფერს, რა თქმა უნდა, აჩიკო ვერ ხვდებოდა. ის ხო, სხვანაირი ბავშვი იყო. როცა გაკვეთილი დამთავრდებოდა და ყველა ბავშვი თავქუდმოგლეჯილი გარბოდა გარეთ, მასწავლებელთან მიირბენდა, თავს მხარზე დაადებდა და ორივე ხელს ძლიერად მოხვევდა ხოლმე.

აჩიკოს ყველა და ყველაფერი იმაზე მეტად უყვარდა, ვიდრე თვითონ იცოდა.

„ნადირაძე გაკვეთილი!“ – დაბალ ხმაზე ამოილაპარაკა ქართულის მასწავლებელმა. თან ჟურნალში რაღაცას ავსებდა.

„მეე, ნინო მასწ?“

„არის აქ ვინმე შენ გარდა ნადირაძე?“ – თვალები დაუბრიალა ნინო მასწმა ფლეგმას.

„გამოიღე!“ – შუა თითი აუქნია ტოტიმ ბოლო მერხიდან.

„ნინო მასწ, სხვათა შორის, დღეს ძალიან ლამაზად გამოიყურებით.“

„ნადირაძე, ახლა ან გაკვეთილს მოყვები და მაგ სულელურ ლაპარკს თავს დაანებებ, ან არადა მოგიწევს გარეთ ყურყუტი!“

„როგორც თქვენ ყურყუტებთ ხოლმე საღამოობით პადიეზდთან, ნინო მაასწ?“ – ჩაიცინა ფლეგმამ.

„რამდენს ბედავ, ნადირძე!“

„რა ვთქვი, ნინო მასწ, ასეთი?“

მთელმა კლასმა ერთიანად გადაიხარხარა.

„გაეთრიე გარეთ!“ – წამოდგა ქართულის მასწავლებელი ფეხზე.

„ისე, კაი ტიპია, ნინო მასწ, მაყუთა ჩანს.“ – გაეცინა ფლეგმას და საკლასო ოთახის კარი ძლიერად მოიჯახუნა.

„ჭიანჭველა დაეჯახა სპილოოს!“ – სიმღერ-სიმღერით შევიდა საპირფარეშოში სიგარეტის მოსაწევად, სადაც აჩიკო ფანჯარაზე იყო აკრული და ხის ტოტებს მიშტერებოდა.

„აუ, ახლა შარვალი არ ჩაიხადო, თორე თუ ბრუსლი არ ჩაგიტარო, ჩემი დედა ვატირე.“ – ეჭვის თვალით გახედა აჩიკოს და სიგარეტს გაუკიდა.

რამდენიმე წუთი თავისთვის იდგნენ ორივენი. აჩიკო ხის ტოტებს აკვირდებოდა, ფლეგმა – კვამლის სიამოვნებისგან თვალებს ბინდავდა.

„ისე, მაგარი სტრანი ტიპი კი ხარ, მარა თან მაგარი ბედნიერიც ხარ. რამდენი რამე გკიდია ქინძზე, შენ ხო არ იცი. დატასაობ შენთვის რა, იმასავით.“ – ამოილაპარაკა ფლეგმამ და აჩიკოს გახედა.

„მე მგონი შენ ვაფშე არც არაფერი გეზიზღება. ყველა გიყვარს და რამე. ანგელოზი ხარ რა, ოღონდ ცუდ ადგილას მოხვედრილი. ვაბშეტა, მე რო შენ ვიყო, ოღონდ ცოტა ხნით რა, მაგრად გამისწორდებოდა. რამდენ რამეს დავიკიდებდი აგერ, შენ ხო არ იცი.“

აჩიკო შიგადაშიგ წამოიყვირებდა და ხელს ჩამსხვრეული ფანჯრიდან გაყოფდა ხოლმე.

„ვა, რას უყურებ ასეთს ტო.“ – დაინტერესდა ფლეგმა. აჩიკოს გვერდით ჩამოდგა და მაღლა, ოდნავ გადაგრეხილ ხის ტოტზე მჯდარ ორ მერცხალს გაუსწორა თვალი.

„ვა, ჩიტები გევასება და რამე? ადრე მეც მყავდა ბაითზე თუთიყუში. პატარა ვიყავი რა, რვა წლის. მაგარი ლამაზი თუთიყუში იყო. სანამ მაგას მომიყვანდნენ, ბიძაჩემმა გროზნოდან ჩამომიტანა დიდი სათამაშო თუთიყუში. მეშვიდე სართულიდან გადამივარდა და ავტეხე ბღავილი და ტირილი. მთელი დღე არ გავჩერებულვარ და საღამოს არ მომიყვანეს ნაღდი? აუ, რა მიყვარდა, იცი? მარა ისიც დაიბრიდა მერე.“

აჩიკო ისევ ისე იყო მიშტერებული ფანჯარას. არც ფლეგმა აცილებდა თვალს მერცხლებს.

„მერცხლები მეც მაგრად მევასება. ჩვენი სოფლის სახლში სამერცხლულები იყო ხოლმე. მამაჩემმა ერთხელ კიბით ამიყვანა და ჩამახედა ბუდეში. შენ ალბათ პატარა მერცხლები ნანახი არ გეყოლება, არა?“ – გახედა ფლეგმამ აჩიკოს.

ამ დროს ზარი დაირეკა და ტოტი ბიჭებთან ერთად საპირფარეშოში შემოვიდა.

„ე, ესენი ნახე რა. ხელს ხო არ გიშლით, გვრიტებო?“ – ხელი კრა ფლეგმას ტოტიმ.

„იდი ნახუი, ბიჭო.“– დაუბრიალა თვალები ფლეგმამ.

„არა, ხელს თუ გიშლით, გავალთ. არა, ბრატცი?“– გახედა ტოტიმ ბიჭებს და ერთიანად გადაიხარხარა ყველამ.

„წადით, თქვენი.“ – მეორე ღერს გაუკიდა ფლეგმამ.

„აბა, ამ გამოსირებულთან რო დამდგარხარ, რა გეგონა? – გაეცინა ტოტის.

„დავაი, ნახუი აქედან.“ – თავში წამოარტყა უცბად ვატომ აჩიკოს. შიში წამიერად ჩაუდგა თვალებში და გაკვირვებულმა შეხედა ბიჭებს.

„ოეეე, დებიილ ! გადი აქედან, თორე მოგაცალეთ ეგ სახე.“

აჩიკო ერთიანად შეშინებული და გაკვირვებული მოსცილდა ფანჯარას. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა თუ არა, წიხლი მოაყოლა ვატომ და ინერციით კედელს მიანარცხა.

„ვაახ, როგორ გარბიან ხოლმე ეს ფეხები თავისით.“

„ფუ, რა ნაბიჭვარი ხარ.“ – ტოტიმაც გაუკიდა სიაგრეტს.

„ბიჭო, რამდენჯერ გითხარი ნაბიჭვარი არ გამდის-მეთქი?“

„ კაი ხო, რა იყო შეჩემა, წამომცდა. იზვინი. ნადირ, მომიკიდე რა.“ – მიუტრიალდა ფლეგმას და ნაფაზი მთელი ძალით დაარტყა.

„ისე, მაგარი ცოდო კია.“ – ამოილაპარაკა ვასომ, აჩიკო გარეთ გაატარა და საპირფარეშოს კარს ზურგით მიაწვა.

„ბატონო ნოდარ, დიდ ბოდიშს კი გიხდით მაგრამ, აჩიკოზე მინდა დაგელაპარაკოთ.“

„გისმენ, თამრიკო.“

„ხო იცით, როგორ მიყვარს ბავშვები. ამდენი წელია მასწავლებელი ვარ. რთული ბავშვების მეტი რა გამივლია, მაგრამ, აჩიკოსთან ერთად, თითქმის შეუძლებელია უკვე გაკვეთილის ჩატარება.“

„კიდე რამე დააშავა?“

„დღეს მაგალითად ფანჯარაზე აცოცებას ცდილობდა. ძლივს ჩამოვიყვანე.“

„ფანჯარაზე?“

„დიახ, ბატონო ნოდარ. გულიკოსთანაც იგივე ხდება. შუა გაკვეთილზე არ ვიცი, რა მოუვლის ხოლმე და ხან წამოხტება და დარბის, ხან სკამზე ადის, ხან მერხზე და ასე. მერე ეს ბავშვები იწყებენ სიცილს, ცალკე ამათი დაწყნარება და გადის მთელი გაკვეთილი.

„მდაა...“

„იცით რა, ბატონო ნოდარ, მემგონი მისთვისაც უკეთესია, სახლში იყოს დროებით. იქ იმეცადინოს. თუ, რა თქმა უნდა, მეცადინეობა ჰქვია იმას, რასაც აკეთებს.“

„არ ვიცი, მშობლებს უნდა დაველაპარაკო.“

„ უზრდელობაში არ ჩამომართვათ, ბატონო ნოდარ, მაგრამ მგონია, რომ ისინი თავიანთი შვილისგან ისვენებენ, როცა აქ უშვებენ.“

„კარგი ახლა, თამრიკო!“

„როგორ შეიძლება სკოლაში გამოუშვა შვილი, რომელიც საღ გონებაზე ვერ არის?!“

„ სკოლაში სიარული ყველას უფლებაა. თუმცა, რაღაც მხრივ გეთანხმები. ალბათ სჯობს, დროებით სახლში დარჩეს. ყოველ შემთხვევაში, იქამდე, სანამ დაწყნარდება.“

„მადლობა, რომ გესმით ჩემი. ისედაც რა დროა, ხო ხედავთ. ბავშვებმა ცოტა განათლება მაინც თუ არ მიიღეს, წასულია ამათი საქმე.“

„აუცილებლად დაველაპარაკები მშობლებს.“

„დიდი მადლობა, ბატონო ნოდარ! და კიდევ ერთხელ ბოდიშს გიხდით.“

„დილას დირექტორმა დამირეკა.“

„რა უნდოდა?“

„თქვენი შვილის ქცევები აღარ შეესაბამება სასწავლო გარემოს და ეგებ დროებით სახლში ამეცადინოთ ხოლმეო.“

„სახლშიო?“

„ხო.“ – ცრემლი ახრჩობდა ნაზის.

„სუ გაგიჟდნენ ეგენი?“

„თურმე შუა გაკვეთილის დროს ხან მერხებზე დარბის, ხან სკამებზე, ხან ფანჯარაზე ძვრება. მასწავლებლები ვეღარ ატარებენ გაკვეთილებსო.“

„მაგათი დედა...“ – გადაიფურთხა გარეთ დათომ.

„აღარავის სჭირდება ჩემი შვილი. არავის, დათო. საერთოდ არავის.“

„კაი, ახლა. ხო იცი, პერიოდები აქ. თან გაზაფხულია. დაწყნარდება მალე.“

„ლაპარაკი მაინც შეეძლოს. სულ ორი სიტყვის თქმა, სოლ ორი კინკილა სიტყვის თქმა.“

დათომ ძლიერად ამოისუნთა და „ტაბურეტკაზე“ ჩამოჯდა.

„წუხელის ეკამ დამირეკა, – ცხვირი მოიხოცა ნაზიმ, – ჩემმა ბიძაშვილმა. პატარა ნამცხვრების მაღაზია გავხსენი და მოხმარება მინდაო. ორშაბათს უნდა მივსულიყავი. ათ ლარს მოგცემო დღეში. დილას მივიდოდი საღამოს წამოვიდოდი. ახლა სადღა მივალ. ეს ლომბარდის ფულიც როდემდე გვეყოფა არ ვიცი. იყიდე შენ „სიტყვა და საქმე“?“

„ვიყიდე, მარა არაფერია. დიღომში უნდოდათ სტაიანკაზე დარჯი. მივედი და ორმოც წლამდე გვინდაო. მეთქი ორმოცდაორი წლის ვარ და არაო. ორმოციო მაქსიმუმო.“

„ნაბიჭვრები. ვაიმე, ღმერთო, როგორ დავიღალე, ღმერთო, როგორ.“ – ატირდა ისევ ნაზი.

„დამშვიდდი.“ – წამოდგა დათო მთელი ძალით ჩაიკრა ნაზი გულში.

„იცი, რა მგონია? - ამოილაპარაკა ნაზმიმ – სულ ცოტა ფული რომ გვქონდეს, ვუშველიდით აჩიკოს. გზა როგორ არ იქნება. მივიყვანდით ექიმთან და რაღაცას როგორ ვერ გაუკეთებდა. ერთ ორ სიტყვას მაინც როგორ ვერ იტყოდა, ჰა? დედას მაინც როგორ ვერ იტყოდა.“

„დამშვიდდი რა, გთხოვ.“

„არ დაგავიწყდეთ, ბავშვებო, რომ ვაჟა იყო უდიდესი ჰუმანისტი. ჩვენი ცხოვრება ისე უნდა წარვმართოთ, რომ გვიყვარდეს ყველა და ყველაფერი. ვაჟას ერთი უბრალო ფოთოლიც კი იმაზე მეტად უყვარდა, ვიდრე თქვენ წარმოგიდგენიათ. ხომ გახსოვთ, სიკვდილის წინ ფოთლები რომ მოითხოვა და გულში ჩაიკრა. ამ ჟესტით მან გამოხატა თავისი დამოკიდებულება სამყაროსადმი და სწორედ ეს არის ადამიანის ცხოვრების არსი, – დაუცლელი სიყვარული. ჩვენ, ადამიანებს, ერთმანეთი უნდა გვიყვარდეს და ვაფასებდეთ.“

„ნინო მას, საჭირო ოთახში შეიძლება?“

„შენ როგორ არაფერი გაინტერესებს. გადი.“

„მადლობა, მას!“

„ხვალისთვის დავალება ყველასთვის გასაგებია?“

„ზარია, მაას!“

ბავშვები ერთიანად გამოცვივდნენ საკლასო ოთახიდან.

„ნინო, გცალია?“ – შემოყო თავი ოდნავ შემოღებულ კარში თამრიკომ.

„ჰო, რა ხდება?“

„გუშინ ნოდარის ველაპარაკე.“

„მერეე?

„დაველაპარაკები მშობლებსო. იყო დღეს აჩიკო?“

„არა, არ ყოფილა, მადლობა ღმერთს.“

„მემგონი გვეშველა.“ – თვალი ჩაუკრა თამრიკომ ნინოს.

„რა უთხარი?“

„რაც არი ის. მეთქი გაკვეთილებს ვეღარ ვატარებთ მაგის ხელში.“

„ ძალიან კარგი. თამრიკო, ოც ლარს ვერ მათხოვებ ორშაბათამდე?

„სამასწავლებლოში მაქვს ჩანთა. ახლავე გინდა?“

„არა, მერე იყოს. ახლა მეც გაკვეთილი მაქვს.“

„კარგი, წასვლამდე შემომიარე. დღეს შვიდი მაქვს.“

ერთ თვეზე მეტი გაატარა აჩიკომ სახლში. ძირითადად, დათოსთან ერთად უწევდა ყოფნა. მთელი ამ დროის განმავლობაში, თავისი ოთახიდან ფეხი არ მოუცვლია. იჯდა ფანჯარასთან და ეზოში იყურებოდა. ნაზი მუშაობდა. დილიდიდან თავისი ბიძაშვილის მაღაზიაში იყო და საღამოხანს ბრუნდებოდა ხოლმე სახლში დაღლილი და დაქანცული. აჩიკოს ამ დროს უკვე ეძინა. მთელი კვირა ისე გავიდოდა, მხოლოდ მძინარა აჩიკოს ნახვას ახერხებდა და ისიც ცოტა ხნით. შეიპარებოდა ოთახში, დახედავდა, შუბლზე აკოცებდა და ფრთხილად მოსცილდებოდა ხოლმე იქაურობას.

„როგორ იყო დღეს?“– ჰკითხა ერთ საღამოს ნაზიმ დათოს. – ყიყლიყოს ხო შეჭამ? – დააყოლა თან.

„კარგად, ნაზი. და შენთვის კარგი ამბავი მაქვს.“

„რა ამბავი?“ – თვალები აუციმციმდა ნაზის.

„დღეს სკოლაში ვიყავი დირექტორთან. “

„მერეე? მერე რაოო?“ – ვერ ითმენდა ნაზი.

„რაო და, ხვალიდან სკოლაში წავა აჩიკო!“

„მართლაა?“

„დიახ. ვუთხარი, რომ დამშვიდდა, აღარ ფორიაქობს და შეძლებს მშვიდად ყოფნას.“

„ვაიმე, რა კარგია!“ – გახარებული ჩაეხუტა ნაზი დათოს.

„რაო, ყიყლიყოო?“ – გაუღიმა დათომ ნაზის და ლოყაზე აკოცა.

„მიდი, მიდი, აალოკინე. აალოკინე ამ ნაბოზარს.“ – ყვიროდა ტოტი. აჩიკო საპირფარეშოს იატაკზე დაბლა ეგდო. ვასო პირს აღებინებდა და ცდილობდა იატაკი აელოკინებინა.

„მიდი, შეჩემა, მიდი.“ – იცინოდა ცოტნე.

„ შემომიშვი.“ – იყვირა ფლეგმამ გარედან და თან კარს აწვებოდა.

„სახლში არა ვაართ!“

„ბიჭო, გააღე თორე ფანჯრიდან გადაგაგდებ!“ – მოარტყა მთელი ძალით წიხლი კარს ფლეგმამ და შიგნით შემოვიდა.

„რა ხდება? მთელ დერეფანში ისმის თქვენი ხმა.“

„რა იყო, პირველად ესმით თუ?“ – გადაიხარხარეს ბიჭებმა. აჩიკო დაბლა იწვა და კანკალებდა.

„გაუშვით ამას.“ – ამოილაპარაკა.

„რაო?“

„გაუშვით ამას მეთქი. ცოდოა.“

„ეს ნახეთ, რა! ოე, ფლეგმაააა! გამომივიდა სტივენ სიგალი. ნახუი, ვერთობით.“

„ტოტი, გაუშვით-მეთქი. არ მინდა გაწყენინო.“

„კაი, რა გჭირთ, ტო.“ – შუაში ჩადგა ცოტნე.

„შენ ვის უნდა აწყენინო, ბიჭო?!“

„ტოტი, გაუშვით, ცოდოა. ვერ ხედავ? კანკალებს, ბიჭო!“

„იკანკალოს მერე ამის დედასაც არ შევეცი? როდის აქეთია გადარდებს, ჰა? თუ მიეცი და გვიმალავ? რა გჭირს შენ, სუ გამოსირდი?“

„ტოტი, გთხოვ, არ გინდა. გაუშვით ეს და მერე ვიბაზროთ. ცოდოა, ბიჭო. ცუდადაა.“ – ხელი გაიშვირა აჩიკოსკენ ფლეგმამ, რომელიც იქვე, კედელს იყო მიხუტებული და თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე.

„ახლა რო მივიდე და სახეში წიხლი ჩავარტყა, რა, ხელს გაიქნევ, ბიჭო?“

„კაი, კაი, კანეც. ვის გამო იძაბებით, ბიჭო, ამის გამო? დაიკიდეთ რა. კაი, ტოტი, შეჩემა, შენ რაღა გჭირს.“ – ბიჭების დაწყნარებას ცდილობდა ვასო.

ტოტიმ სიგარეტს გაუკიდა და ჩაიცუცქა.

„ბიჭო, ვასო, მალე გააჯმეინე ამას თორე მართლა ჩავზილავ. გააჯმევინე მეთქი!“ – იღრიალა ტოტიმ და აჩიკო სწრაფად გაიყვანეს საპირფარეშოდან.

იმხანად, ისეთ ბავშვებს, როგორიც აჩიკო იყო, ყველა მართლაც სხვანაირს ეძახდა. ზოგს ეშინოდა, ზოგი თავს არიდებდა, ზოგი დასცინოდა, ზოგი ჩაგრავდა და ასე, მუდმივი ჯაჭვი იქმნებოდა იმ ადამიანებისა, რომლებიც სხვანაირი ბავშვების გარშემო შემოიკრიბებოდნენ ხოლმე. ამ ყველაფერს კი, უფრო მეტად დრამატულს ის ხდიდა, რომ მშობლები თავიანთ შვილებს მათთან მიკარებასაც კი უკრძალავდნენ. ამას სხვანაირი ბავშვების მშობლები ხედავდნენ და სახლებში გამოკეტავდნენ ხოლმე თავიანთ შვილებს. არ უნდოდათ, რომ მათ ეს ყველაფერი ენახათ და ეგრძნოთ. თუმცა, გამონაკლისებიც იყვნენ და ეს გამონაკლისი იყო აჩიკოც, რომელიც, ერთი შეხედვით, ისეთივე იყო, როგორიც სხვები; ისევე გამოიყურებოდა, როგორც მისი ტოლი ბავშვები და ისე იცინოდა, როგორც თანატოლები. იშვიათად, რომ ნაზის და დათოს გაეგოთ ის ამბები, რაც მის თავს ტრიალებდა ყოველდღიურად. არც ის იცოდნენ, რომ მათ შვილს, რომელსაც დათოს მამის, აჩიკოს სახელი ერქვა, დებილას ეძახდნენ და ბავშვების უმრავლესობამ, არც კი იცოდა მისი ნამდვილი სახელი. რომ გაეგოთ, ალბათ ისინიც გამოკეტავდნენ აჩიკოს სახლში და ვეღარასდროს შეძლებდა მერცხლებზე დაკვირვებას სკოლის საპირფარეშოდან. აჩიკოს პატარა რაღაცები აბედნიერებდა. მას უხაროდა ის, რაც სხვას არ გაუხარდებოდა. რასაც სხვა არც კი შეხედავდა.

„კარგი ახლა, ნინო! ვეღარ შევალ. რა ვუთხრა?“

„მე რა ვიცი. მოატყუე რამე.“

„რა მოვატყუო?“

„ვითომ ფანქარი ჩაგარტყა ისევ ხელში, ან მერხებს აყირავებს, ან რამე...“

„არ გამოვა.“

„კაი რა. გული მერევა რომ ვუყურებ გეფიცები. სულ დადორბლილი დადის. ჯღვლინტები მთელ სახეზე აქვს შემხმარი.“

„ვიცი, ხო, რას მიხსნი. წავედი, წავედი, გაკვეთილი მაქვს.“

„რას აკეთებ, აჩიკო?!“ – იყვირა ქართულის მასწავლებელმა. აჩიკო ფანჯარასთან იჯდა და ხელებით ჩიტის იმიტაციას ახდენდა.

„მე შენ მოგივლი!“– ჩაილაპარაკა და აჩიკოს წამოადგა თავზე.

„ადექი!“

აჩიკო არ უსმენდა. ორივე ხელს ჰაერში აფრიალებდა.

„გაეთრიე რა, გადი გარეთ!“ - მოჰკიდა ხელი და სწრაფად წამოაყენა ფეხზე.

„გადი!“ – ხელით ანიშნა კარისკენ. აჩიკო ერთიანად გაკვირვებული და მოწყენილი გავიდა გარეთ.

„ვაჟა გენიოსი იყო ! გენიოსი, რომელიც სათანადოდ უნდა დავაფასოთ!“ – ბუნდოვნად ისმოდა საკლასო ოთახიდან ნინო მასწავლებლის ხმა.

როცა აჩიკო საპირფარეშოში შევიდა, სიცარიელე დახვდა. მყრალ სუნსა და სიბინძურეს, ჩატეხილი ფანჯარა აძლევდა შვებას. იქვე ჩამოდგა და თუთის ხეს ისე მიაშტერდა, როგორც ყოველთვის. მერცხლები არ ჩანდნენ. რამდენიმე წუთი მაინც იდგა გაუნძრევლად იქამდე, სანამ საპირფარეშოს კარი არ გაიღო და ტოტის ცივსისხლიანი მზერა არ დალანდა. შეეშინდა. იმის მიუხედავად, რომ აჩიკოს ყველაფრის დავიწყება შეეძლო და თითქმის არაფერი ახსოვდა მეორე დღეს, ტოტი გაიხსენა, ინსტინქტურად უკან დაიხია და კედელს მიეკრა. ტოტის თვალებში სისხლი ჰქონდა ჩაქცეული და საშინელ სიძულვილს აფრქვევდა. აჩიკოს მთელი სხეული აუცახცახდა.

„რაო, დებილ, შეგეშინდა, არა?!“ – ცინიკურად ჰკითხა ტოტიმ აჩიკოს და კარი ძლიერად მიხურა. გარეთ ვასო იდგა და არავის უშვებდა შიგნით.

ტოტიმ ჯიბიდან მერხის ნაწილისაგან გაკეთებული კასტეტი ამოაძვრინა და ხელზე ჩამოიცვა. აჩიკო უფრო მეტად დაიძაბა. თითქოს გონება გაუნათდა. თითქოს სხვანაირი ბავშვი აღარ იყო და ყველაფერს ხვდებოდა. თუმცა ეშინოდა. ამ სამყაროში კი, არაფერია იმაზე ძნელად მოსაშორებელი, როგორც შიში. ტოტის მზერა უფრო და უფრო მეტ სიძულვილს გამოხატავდა. აჩიკომ კი ამას ვერ გაუძლო.

როცა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ტოტიმ აჩიკოსკენ, შეშინებული ფანჯარაზე აძვრა. ფეხები და ხელები ერთიანად უკანკალებდა.

„რა იყო, ფრენას ხო არ აპირებ?“ – გაეცინა ტოტის.

აჩიკო არ იცინოდა. იმასაც ხვდებოდა, რომ ეს ყველაფერი თამაში არ იყო.

„ლამაზი დედიკო გყავს, დებილ?“ – ნელა, ბოროტული ღიმილით მიდიოდა აჩიკოსკენ ტოტი. და როცა მიუახლოვდა, როცა მისი თვალები აჩიკოს თვალებს გაუსწორდა, აჩიკომ გარეთ გადაიხედა, ხელები ისე აათამაშა, როგორც საკლასო ოთახში და მეხუთე სართულის ფანჯრიდან გადახტა.

როცა ჰაერში იყო, წამითაც არ უგრძნია შიში. პირიქით, თითქოს ამ ყველაფრისთვის დიდი ხნის მომზადებული იყო. თითქოს იცოდა, რომ ეს უნდა გაეკეთებინა. მიწას მძიმედ დაენარცხა და ერთიანად ჩამოფერთხილი თეთრი თუთა წამიერად წითელმა ფერმა შეღება. აჩიკო უსულოდ იწვა და ღიად დარჩენილი თვალები, ცისთვის მიეხჯინა. ხის გარშემო კი, გაუჩერებლად დაფრინავდა ორი მერცხალი.

ანა წულაია

ორშაბათი

19.04.2021; ᲓᲘᲚᲐ.

მაღვიძარა – 06:30,

დუმილი...

მაღვიძარა – 06:45,

შფოთვა...

მაღვიძარა – 06:50

წუხილი...

სიფხიზლისა და ძილის გარდამავლობაში მყოფმა ანუმ სხეულში იგრძნო, რომ მეტ დროს ვეღარ მოიპარავს, სიზმრებიდან უნდა გამოძვრეს და ახალი დღე ძველებურად განაგრძოს.

სამოსი, სააბაზანო, საუზმე,

ტრანსპორტი N1, ტრანსპორტი N2, ტრანსპორტი N3.

მგზავრობის ხანგრძლივობა მის სულს საკმაოდ თრგუნავდა, ამიტომ, ხშირად საკუთარი თავის გართობის მიზნით, მეტროს სადგურების გავლისას უცნობებს აკვირდებოდა და ვარაუდობდა, თუ სად ჩავიდოდნენ.

ამ მოღვაწეობის პროცესში აღმოაჩინა, რომ ადამიანთა ფეხსაცმელები ჰგავს მეპატრონეთა სახესა და გამომეტყველებას, უბრალოდ, მთავარია, ჯერ ფეხსაცმელს დააკვირდე და შემდეგ ინდივიდს.

აი, ახლაც, შავი, წაწვეტებულცხვირპირიანი და შემაღლებულქუსლიანი ფეხსაცმელები მას დაჟინებით აცქერდებოდნენ. ანუმ ინდივიდის სხეულს თვალი მშვიდად ააყოლა და მისი მზერის წინაშე გამხდარი, ყვრიმალებჩაცვენილი, შავგვრემანი ქალბატონი აღმოჩნდა, მკვეთრად გამოკვეთილი ცხვირითა და მოჭიმული ტუჩებით ფეხსაცმლის ვიზუალს სრულად ერწყმოდა. სახე და ტერფები ერთად აგზავნიდნენ სიგნალს „თავიდან მომწყდით“.

– ააჰ, მომწონხართ, – გაიფიქრა ანუმ.

ადამიანთა შერჩევა და მათგან პერსონაჟების შექმნაც სახალისოდ ეჩვენებოდა. მის მიდამოებში მჯდომთაგან აარჩევდა ერთ-ერთ მათგანს და იწყებდა:

– შენ, ბენიტოს დაგარქმევ... არა გოჩას... ან შალვას. შალვა ყოველ დილით ადრე იღვიძებს სამსახურში წასასვლელად. რადგან დაოჯახებულია და შუახნის, ესე იგი, მის კვებაზე, ჩაცმასა და სისუფთავეზე მეუღლე ზრუნავს, რაც ჩვენში „მოსული პონტია“ და არც შალვა ჩანს გამონაკლისი. სახლიდან გამოსვლის წინ დიდი მოწიწებითა და სიყვარულით მეუღლეს წაუღრენს, ღიპს მოეალერსება და ... აჰ, ბატონო შალვა, უკვე მომბეზრდით, თქვენის ნებართვით დაგტოვებთ...

ანუ მეტროს მატარებლიდან ჩვეულებრივ ავტობუსში გადაინაცვლებდა, სადაც თვალსაჩინოდ მუშაობდა პრინციპი „ადამიანი ადამიანისთვის მგელია“, თუმცა სანამ დაკბენდნენ, ასწრებდა ხოლმე ტრანსპორტიდან საკუთარი თავის გადმოღებას.

ოჰ, რაც შეეხება თავად ანუს, მისი ფიზიოლოგიისა და ანატომიის აღწერას ნაკლებ დროს დავუთმობ. ჩვეულებრივ, ოთხი კიდური გააჩნდა. ასევე კისერზე შემდგარი თავი, წყვილი თვალ-ყურითა და სხვა საჭირო ორგანოებით.

დანარჩენს თქვენს წარმოსახვას მივანდობ...

ანუ ერთ-ერთ სკოლაში ასწავლიდა, ყოველ შემთხვევაში, ცდილობდა ესწავლებინა და რომ ჰკითხავდით:

– მასწავლებელი ხარ? რას ასწავლი?

თავად ხშირად გაიფიქრებდა – ეგ ვერც მე გამიგია, ალბათ, ვერაფერს. თუმცა სტანდარტულად პასუხობდა:

– ისტორიას და კლასის ხელმძღვანელი ვარ.

– აა, დამრიგებელი?

– დიახ!

– მერამდენე კლასი?

– მეექვსე

– ისტორიის მასწავლებელი?

– დიახ!

– აბა, როდის მოხდა დიდგორის ბრძოლა?

ამ გამომცდელ შეკითხვაზე ზრდილობიანად გაიღიმებდა. დავითზე ბრაზობდა კიდეც, რადგან მსგავსი დიალოგები, მუდმივად დიდგორის ველამდე მიიყვანდნენ. ვერც ხვდებოდა შეკითხვის მიზანს, ნუთუ, ამით მის ცოდნას ამოწმებდნენ ან თავისას აფრქვევდნენ, ან იქნებ, იუმორის ერთგვარი გამოვლინება იყო, რომელიც მოსაუბრეებს აახლოებდა...ან...ან..

ზოგადად, ანუსგან ვერ გაიგებდით და ვერც თვითონ გაერკვია, მოსწონდა თუ არა საკუთარი ცხოვრება, იყო თუ არა იმ სივრცეში, სადაც უნდა ყოფილიყო ან საერთოდ, სად უნდა ყოფილიყო? თან იყო და არა იყო?

იყო და არა იყო რა, ქაოსისა და კოსმოსის ჭიდილში, ახალი სამყაროს შექმნასა და ცხოვრების ახალ ციკლში.

დამიწებულად რომ გადმოვცეთ, ყოველ დილით სკოლის სივრცეში შეაბიჯებდა, აუყვებოდა საფეხურებს, რომელსაც ხანდახან ითვლიდა, მაგრამ მათი რაოდენობა არასდროს ახსოვდა და სიცარიელით სავსე საკლასო ოთახში შეანათებდა. ფანჯრებს გამოაღებდა, დაფას გაწმენდდა, ყვავილს წყალს დაუსხამდა, თაროებზე რამდენიმე ნივთს შეასწორებდა.

მაგიდასთან იჯდა, მშვიდად ელოდა მოსწავლეთა შემოდინებას, ღრმად ისუნთქავდა გახუნებული კედლების ჰაერს და სასიამოვნოდ დაჰყურებდა ოთახის ზღურბლს. ყურები დერეფნის თითოეულ ბგერაზე დამშეული მტაცებელივით უმახვილდებოდა და ჩასაფრებული ელოდა სულიერის გადმობიჯებას.

დღეს დილით მოლოდინისგან დაღლილი ფიქრების მდინარებამ წაიღო. კისერსა და მხრებზე მოტივტივე აზრები აწვებოდნენ, სუნთქვას თანდათან უმძიმებდნენ. ბრაზი, შფოთვა, უკმაყოფილება, ბნელი ფსკერისკენ ექაჩებოდნენ და გაღწევის შესაძლებლობას არ აძლევდნენ:

– აქ რატომ ხარ, რას ეძებ ან რას ელი? არავის ადარდებ, მოსწავლეებისთვის, ალბათ, მოსაბეზრებელი დავალება ხარ, თანამშრომლებისთვის მომუშავე მექანიზმი. ყოფნა – არ ყოფნა, საკითხავიც კი არ არის, რადგან ამით ვერაფერს ცვლი, ცხოვრება სუნთქვას შენით და უშენოდ.

– შეწყვიტე თვითგვემა.

– მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ არავინ იმჩნევს შენს შრომას, თუ რამდენ დროსა და ენერგიას უზიარებ ამ პატარა ადამიანებს. გარშემო მუდმივად მეტს მოითხოვენ. კარგი ხარ? მაშ, იშრომე მეტი, აკეთე მეტი. ან იქნებ ვერაფერსაც ვერ ასწავლი? თუმცა ვერც იმას გაიგებ, რომ ყველაფერს შესანიშნავად ხელმძღვანელობ, რადგან ასე ხომ შეიძლება, თავადაც მეტი მოითხოვო, იქნებ აღიარება მოგინდეს ან მეტი ანაზღაურება, არა, ასეთ შეცდომას ვერ დაუშვებენ. ამიტომ მუდმივად უკმაყოფილების წრეში ტრიალებ. რეალურად რას აკეთებ, ვერც ვერავინ ხედავს, მაგრამ ეს არ აკავებთ გარშემომყოფებს იმისგან, რომ შენზე ისაუბრონ, აგწონონ, გაგზომონ, გადაგაფასონ. დავიღალე ამ ცარიელი სახეების ყურებით. აქ რატომ ხარ? ამიხსენი, შემახსენე...

– გამარჯობა მას.

ანუს ფიქრის ტალღა დაეშვა. სიხარულგარეული სიმშვიდით მიესალმა ოთახში შემოსულს:

– დილა მშვიდობის, ლილე. როგორ ხარ?

– მასწ, კარგად, თქვენ?

– ჯერ-ჯერობით, მეც.

– შაბათ-კვირას გემრიელად დაისვენე?

– აუუ, მასწ, კიი. მას, ფეხბურთის თამაშის დროს სამი გოლი გავიტანე მარტო მე. მას, ჩემი ძმა უნდა გენახათ, სულ თავში მესროდა ბურთს, ტვინი ლამის სტადიონზე დამატოვებინა. მას, რას წერთ?

– საიდუმლოა.

– მასწ, მითხარით და ორი ადამიანის საიდუმლო იქნება.

ანუს ჩაეღიმა და განაგრძო:

– დღიურს ვწერ ჩემ შესახებ, მაგრამ ისე თითქოს მოთხრობის პერსონაჟი ვიყო.

– მასწ, რატომ?

– ზუსტად არც მე ვიცი, მაგრამ მომწონს ასე, საკუთარ თავს ვაკვირდები, რას ვფიქრობ, ვგრძნობ და ვამბობ. განვლილ დღეებსაც უკეთ ვხედავ და იმასაც, თუ რამდენად შევიცვალე.

– მასწ, მომწონს, მეც მომინდა, მაგრამ წერა მეზარება, ამიტომ ბევრს ვლაპარაკობ. მასწ, ახლა ჩემზე დაწერთ?

– ჩვენი საუბრის შესახებ ვწერ, გინდა რაიმე დავამატო?

– მმმ, ერთი წამით...

– ერთი. დრო ამოიწურა

– მას, მოიცადეთ... მოვიფიქრე, ახლოს მოდით, არავინ გაიგოს.

მიუხედავად იმისა, რომ ოთახში არავინ იყო, ანუ მთელი სერიოზულობით ლილესკენ დაიხარა და მის ყურებთან გაიჩურჩულა სიტყვებმა:

– მასწ, მიყვარხართ.

ანუს სხეულში თბილმა გრძნობამ დაუარა, უსიტყვოდ ჩაწერა ლილეს ნათქვამი.

– მას, გამარჯობა, სალამი ლილე.

– გამარჯობა, მათე, მიხარია შენი დანახვა. ოო, გიორგი და იოანეც შემოგვიერთდნენ.

– მას, დილა მშვიდობის!

კლასი თანდათან აივსო ბავშვური ბგერებითა და ფერადი ემოციებით.

ოთახი ეპიდემიური სიტუაციიდან გამომდინარე მერხზე მიმაგრებული ბარიერებით იყო გამიჯნული, რაც სივრცეს საკმაოდ აპატარავებდა, მოძრაობას ართულებდა, ხედვის არეალს ავიწროებდა, საერთო ჯამში, არასწორად დაგეგმილ ლაბირინთს მოგაგონებდათ. ყველანი წუხდნენ და იბუგებოდნენ მოცემული სიტუაციით. უკანა ადგილებზე მსხდომნი დაფისა და მასწავლებლის დასანახად იწელებოდნენ, დგებოდნენ, ხტებოდნენ, განსაცდელს მდუმარედ იტანდნენ, მაგრამ შეწუხებული სულის კვნესაც აღმოხდებოდათ. ახლაც ერთ-ერთი მათგანი ფანჯარასთან მდგომ მოსაუბრეებთან მიიჭრა და:

– აქეთ ფიცარი, იქით ფიცარი, როგორ მიყვარხარ ვეღარ გითხარი!

როდესაც მგოსანმა შეატყო, რომ რითმამ გარშემომყოფებისა და მათ შორის მასწავლებლის ყურადღება მიიპყრო, განაგრძო შეთხზული ფრაზის წამღერება:

– აქეთ ფიცარი, იქით ფიცარი, როგორ მიყვარხარ ვეღარ გითხარიიიი!

აუდიტორიის ღიმილმა პოეტური შთაგონებისკენ გზა გაუხსნა და ოთახში გაისმა:

– აქეთ ფიცარი, იქით ფიცარი, ისე დაგარტყი ვეღარ გიცანიიიიი!

რამდენიმე წამით ოთახი სიცილის ცრემლებმა გადაფარეს, ანუც ამ სიხარულის ნაწილი იყო, თვითონაც ლაღად, ბავშვურად და გულწრფელად იცინოდა...

19.04.2021 გაკვეთილი I

ანუმ მერვეკლასელებთან პირველი გაკვეთილი დაახლოებით ათი წუთის წინ დაასრულა, ახლა „ფანჯრის“ დროს განმარტოებით იჯდა მწვანე ეზოში, ქაღალდის პარკში შენახულ მოუხალავ ნუშს აკნატუნებდა და განვლილი გაკვეთილის კადრებს გონებაში ატრიალებდა – გადაახვია, დააპაუზა, ჩართო, დააპაუზა, ისევ გადაახვია... რაღაც არ ასვენებდა, რაღაც არ მოსწონდა და ცდილობდა, გარკვეულიყო ამ გრძნობაში.

– ალექს, შეგიძლია დავალება წაგვიკითხო?

– არ მაქვს.

– ალექს, იქნებ წაკითხული ტექსტიდან ან კლასში მოსმენილიდან გამომდინარე გვესაუბრო დღევანდელ თემაზე – რომის რესპუბლიკის შესახებ ვმსჯელობთ.

– არ ვიცი.

– დამატებით რაიმეს თქმა ხომ არ გინდა? იქნებ შეკითხვა გაქვს?

– არაფერი.

– გასაგებია, მაშინ, მოდით ნინოს მოვუსმინოთ.

ანუს არ მოეწონა ალექსის მსგავსი დამოკიდებულება, ბრაზი თანდათან უძვრებოდა გონებაში, მაგრამ შეეცადა გარეგნულად არაფერი აღბეჭდოდა. გაკვეთილის შემდგომ გაიხმო ალექსი, შეეცადა გულახდილად და მშვიდად ესაუბრა:

– ალექს, როგორ მოვიქცეთ? ვცდილობ, დაგაინტერესო, ყველაფერი გასაგებად ავხსნა და თან გაერთო, მაგრამ ამ ყველაფერს ვერ ვახერხებ, იქნებ დამეხმარო და მითხრა, როგორ მოვიქცე? რას მირჩევ, რა შევცვალო?

– არა, მასწ. არაფერი.

– თუ რაიმეს გაგება გიჭირს, შემიძლია დაგეხმარო. იცი, მე დედას მივწერე, რომ მეტი დრო უნდა დაუთმო მეცადინეობას და თუ დახმარება დაგჭირდება, შეგიძლია დამიკავშირდე.

– ვიცი მას, მე წავიკითხე ეგ წერილები და წავშალე.

– რატომ, ალექს?

– არა, მასწ, მე უბრალოდ...

– უბრალოდ?

– არა, მასწ, მე ისა.. უბრალოდ.. რაღაც, არ ვიცი, როგორ ვთქვა..

– რაიმე გაწუხებს, ალექს?

– ჰო, არაა, მას...

– ალექს, არ ვიცი და ვერც მოგთხოვ, რომ გავიგო შენ გარშემო რა ხდება, მაგრამ გთხოვ, საკუთარ თავს მიეცი შესაძლებლობა, რომ მეტი რამ აკეთო და ისწავლო, თუ ისურვებ, დამელაპარაკე, შესაძლოა, ვერაფერი შევცვალო შენს სიტუაციაში, მაგრამ ჩემი სახით მსმენელი და მხარდამჭერი გყავს.

– კარგი, მასწ.

ანუ იხსენებდა წინა კვირის შეხვედრებს. ალექსი ამ ხნის განმავლობაში თანდათან „გაიცრიცა“, თავჩაქინდრული, მოხრილი, პირბადითა და ქუდით დაფარული სახით ზანტად დადიოდა დერეფნებში, კლასელებთან საუბარს თავს არიდებდა.

ანუ აუცილებლად უნდა გაერკვეს, რა ხდება ალექსის სამყაროში, მას უნდა დაეხმაროს, მის სივრცეში შეაღწიოს, ასე ვერ დატოვებს, აწუხებს, თავადაც სტკივა...

ზარია, დროებით.

19.04.2021 შუადღე

– ბავშვებო, ხშირად ისმის ტელევიზიაში და ალბათ, უფროსებისგანაც მოგისმენიათ ტერმინი სოფლის მეურნეობა, რა იცით ამ სიტყვის შესახებ, რას შეიძლება დავუკავშიროთ?

– მასწ, აი, ქათმები და ცხოველები რომ ჰყავთ სოფლებში და უვლიან.

– დიდი მადლობა, ნიკა.

– მასწ, ხეები და ბაღები რომ აქვთ და ხილი მოჰყავთ.

– ძალიან კარგია, მადლობა ელე.

– მასწ, აი, რომ მოჰყავთ სიმინდი, ხორბალი, ლობიო, მცენარეები, რასაც ჩვენ ვჭამთ.

– შესანიშნავია, თორნიკე. ყველამ ძალიან კარგად გადმოეცით თქვენი ცოდნა. კიდევ ვინმეს ხომ არ სურს განმარტოს , რა შეიძლება იყოს სოფლის მეურნეობა?

– მას, სოფლის ურნები...

ანუ მსგავს საინტერესო ფრაზებს გაკვეთილებზე ხშირად ისმენდა:

– აფხაზეთში მოსახლეობა იშენებდა სახლებს, რომლებსაც აფცხა ერქვა. აფცხა ხისგან იყო დაწნული და გადახურული თივით ან ისლით.

– რა აფცხა , ბიჭო? ფაცხა

– აფცხ...(დაცემინების იმიტაცია)

– აფცხ...

რა თქმა უნდა, ღიმილმა თითოეული მოსწავლის სახეზე გადაირბინა, ეცინებოდა მთქმელსაც და მსმენელსაც. ანუს თავადაც ახსოვს, როგორ გაეღიმა, მაგრამ ეგრევე შეეცადა ემოციის დაჭერას, რადგან არ უნდოდა მოსწავლეს უხერხულობა ეგრძნო, ამიტომ საგაკვეთილო პროცესი ჩვეულებრივ განაგრძო. მსგავს უმოწყალო განსაცდელში ჩააგდო დღეს ერთ-ერთმა ტანჯულმა სულმა:

– ადრე, თბილისში გადაადგილებისთვის იყენებდნენ ურემს, ფაეტონს, აქლემებს, ცხენებს და ასევე, ეს ყველაფერი გამოიყენებოდა იმისთვის... რა ჰქვია.. ტრა..ტრა..დედა, რა ჰქვია იმას, ტრა..

– თორნიკე, შეგიძლია სინონიმი მითხრა? რას გულისხმობ?

– მას, აი, ის ტრა..ტრაა..

– რა ტრა ბიჭო? რა ტრა? რას ამბობ? სიცილგარეული ბრაზით დაჰყვირა გვერდით მჯდომმა.

– ვაიმე აი, ის, ტრაააა...

– ტრანსპორტი?

– არა, ტრა�ა..

– ტრაქტორი?

– არა, რა ტრაქტორი, ტრა.. ტრა..

ანუ უკვე ლოცულობდა, რომ ამ დაუსრულებელი ტრაგედიიდან გამოსულიყო, კლასი აშრიალდა.

– მას, აი, ცხოველებს კიდევ რისთვის იყენებენ?

– რაიმეს გადასატანად.

– ტრა�ა.. ტრაააა.. ტვირთი, დიახ მას, ტვირთის გადასატანად.

– აუუუუ, ამდენი ხანი ამას ამბობდი? არ ასვენებდა მეზობელი.

თორნიკეს სიცილისგან ლოყები ეკეცებოდა, დანარჩენები შეკავებული ემოციისგან წითლდებოდნენ და მოხდა ის, რაც გარდაუვალი იყო – მხიარულების ლავა გადმოიფრქვა. ანუ შეუდრეკლად ინარჩუნებდა სიმშვიდეს, მაგრამ საბოლოოდ ისიც გატეხეს:

– გთხოვთ, ნუ იცინით, მეც მეცინება...

ანუს მსგავსი სიტუაციები და სიტყვები მათი დაბადების წამიდანვე უყვარდებოდა. ეს ფრაზები თითქოს აზროვნებას ამოუბრუნებდნენ, სამყაროს შეუნჯღრევდნენ და ხელახლა დააფიქრებდნენ. ახსოვს, შარშან, 29 ნოემბერს როგორ სთხოვა ბავშვებს რვეულებში დღის თარიღი ჩაეწერათ და ერთ-ერთმა მათგანმა სიხარულისგან შესძახა:

– რა მაგარია, მასწ, ზეგ ზამთარია, ზამთარიი...

საოცარია, ნუთუ ყველაფერი ასე მარტივია...

19.04.2021 ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐ

– რა გავაკეთე, მრცხვენია, შევცდი, რა საზიზღრობა ვიყავი, ცოფიანი ურჩხული, ცერბერი, ქოფაკი.

– გეთანხმები, აუტანელი იყო, მაგრამ ალბათ ზოგჯერ ესეც საჭიროა.

– არა, არ მოგცემ იმის საშუალებას, რომ ეს ბუნებრივად მიიღო.

– ასე არ უნდა მოვქცეულიყავი, საკუთარი კანის შემოხევა მინდა.

– მაგით ვერაფერს შეცვლი.

– როდესაც აკეთებდი, მაშინაც იცოდი, რომ ასე არ უნდა მოქცეულიყავი და მაინც გააკეთე, რატომ?

– ვერ მოვითმინე, ვერ ავიტანე ამ ლაწირაკების უაზრო ყივილი და უქნარობა, ვდგავარ ვესაუბრები და ისინი ცალკე თავისთვის ყიჟინებენ და ნაგვის გროვას ზედ უვლიან, ერთმანეთში თამაშობენ და ვერც კი მხედავენ, თვალები აქვთ, მაგრამ ვერ ხედავენ, ყურები აქვთ, მაგრამ არ ესმით.

– ნაბიჭვრები, ის მიიღეს რაც ეკუთვნოდათ, ძალიან თავაზიანად და ტკბილად ექცევი და ამიტომ მოხდა ყველაფერი, მათთვის უმნიშვნელო ხარ, ბუზის ბზუილი მეტ ემოციას იწვევს.

– ჩუმად, ჩუმად, მშვიდად, თავადაც იცი, რომ სისულელეს ამბობ, მე უნდა ვასწავლო, მე უნდა დავეხმარო, ზრდასრული ვარ, ისინი ამ გზას ახლა გადიან.

– ვასწავლო? და რამდენჯერ? როგორ? ვერაფერს ვცვლი, არავინ მეხმარება.

– მაშინ წადი, შეეშვი...

ეს პოლილოგი ანუს საკუთარ თავთან ბრძოლას გამოხატავდა. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მეხუთე გაკვეთილის დასრულების შემდეგ, დიდ დასვენებაზე ანუ ჩვეულებრივ, კლასში ადიოდა. დერეფანში უცხო ენის მასწავლებელი შემოხვდა გამომცხვარი მონოლოგით:

– ანუ, არ ვიცი, ამათ რა სჭირთ, რა დაემართათ, გაკვეთილზე სულ საუბრობენ, ვერაფრით გავაჩერე, ეს ნათია კარგი გოგო მეგონა, მაგრამ რანაირად იქცევა, სულ იცინის და ერთობა. გაკვეთილზე წივის, კივის ან რა აწივლებს და აკივლებს? დადის კლასში, ხან ფანჯარას გადაეყუდება, ხან მერხზე გაწვება, რა არის, ეს რა საქციელია ან კლასი რას ჰგავს, შეხედე ნამდვილი სანაგვეა.

– გასაგებია ხათუნა, აუცილებლად დაველაპარაკები.

– არ ვიცი, რაიმე უნდა მოიფიქრო, ასე ვერ გაგრძელდება.

გალაწუნებულმა ანუმ კლასისკენ განაგრძო სვლა, გონებაში ატრიალებდა სიტყვებს „კარგი გოგო, კარგი გოგო“. რას ნიშნავს, იყო კარგი გოგო? გზად დერეფანში მოთამაშე ბავშვები შემორეკა.

– ბავშვებო, მოდით, რაღაც თემაზე მინდა ვისაუბროთ.

კლასში შემოსვლის მიუხედავად, ბავშვები თამაშს განაგრძობდნენ, ერთმანეთს დასდევდნენ, ნივთებს ართმევდნენ, იცინოდნენ, ყვიროდნენ. ანუ იდგა ოთახის შესასვლელში და აკვირდებოდა კლასში მიმობნეულ დაჭრილ ქაღალდებს, დაწებილ პლასტელინს, პირბადეს. სანაგვესთან და არა სანაგვეში დაყრილ ნივთებს, ქვევით

კედლის კუთხეში , ლაშას მიმწყვდეული ლანჩის ნარჩენებს და თანდათან ბრაზით ივსებოდა, მის ყურებში ძლიერდებოდა მოსწავლეთა ბგერები, თანდათან ხმაური იმატებდა და საფეთქლებზე აწვებოდა. კლასში მყოფთ მიმართა:

– ბავშვებო, დასხედით, მნიშვნელოვან საკითხზე უნდა ვისაუბროთ, გელოდებით, გთხოვთ, ცოტა სწრაფად.

მის სიტყვებზე რეაქცია არავის ჰქონია, პირიქით, ჟრიამულმა და გართობამ მოიმატა ან ყოველ შემთხვევაში, მას ასე ეგონა, რომ მოიმატა. რამდენიმე წამით კლასს მზერა მდუმარედ მოავლო, იდგა, ელოდა, არაფერი შეცვლილა. ბრაზი გადიდდა, გრძნობდა, როგორ დაიძრა მუცლის შიდა ნაწილიდან, ამოიარა გული, მხრები, კისერი და აჰა, თავშიც მძიმედ დაჰკრა.

– არ ქნა, არ გინდა, არა, მოიცადე.

უმეორებდა საკუთარ თავს, მაგრამ თავადაც იცოდა, რომ ეს გარდაუვალი იყო.

– ყველაანი თქვენს ადგილეებზეეე, ახლავეეე.

საშინლად ხრინწიანი, ღმუილში გარდამავალი ხმა აღმოხდა, კისერზე ვენები გამოეკვეთა, სახე წამოუწითლდა და უხეშად დაეგრიხა

– აქ ვდგავარ და გელოდებით რამდენი ხანია, გითხარით, რომ სასაუბრო გვაქვს და თქვენ არაფერს იმჩნევთ, სწრაფად თქვენს ადგილებზე და არავინ დავინახო წამომდგარი საკუთარი სკამიდან.

მასწავლებლის ყვირილსა თუ ხავილზე დამფრთხალნი ეგრევე თავიანთ მერხებთან შეძვრნენ. შეშინებული და დამფრთხალი თვალებით მას უყურებდნენ, ნეტავ რას გვიზამს, რა მოხდება.

– შეხედეთ, როგორ კლასში ვსხედვართ, სანაგვეში ცხოვრობთ, ვიღაცის დაგდებულ საჭმელს თელავთ, ნუთუ ამაზე შევთანხმდით? ეს არის ჩვენი სისუფთავე, რომელიც გვინდოდა კლასში გვქონოდა? დამლაგებლისგან ლანძღვა და შეურაცხყოფა უნდა მივიღო, მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ სიბინძურეში ყოფნა მოგწონთ. მარტო რომ იყოთ, ასე მოიქცევით? საკუთარ ოთახებში ყველაფერი ძირს გიყრიათ? ოდნავ მაინც დაფიქრდით და მიმოიხედეთ.

– მასწ, მე არ დამიყრია...

– არ მაინტერესებს, შენ, ისევე როგორც თითოეული ჩვენგანი, კლასის ნაწილი ხარ. ჩემი ნაგავი არ არის, მაგრამ ჩვენი ნაგავია, რადგან ერთ სივრცეში ვართ, სწორედ ამიტომ, მეც ვალაგებ თქვენს დაყრილ კალმებს, აყირავებულ სკამებს, განა ამას მხოლოდ მე უნდა ვაკეთებდე? არ მსურს თქვენთან საუბრის გაგრძელება. გავდივარ კლასიდან და ათი წუთის განმავლობაში ყველაფერი მოაწესრიგეთ, თითოეულმა თქვენგანმა დაალაგოს თავისი ნივთები, გაასწორეთ მერხები და ნაგავი როგორმე სანაგვეში მოათავსეთ და არა სანაგვესთან.

მრისხანების ზენიტში მყოფმა ანუმ კარი ძლიერად გამოანგრია და დერეფანში მკვეთრი ნაბიჯებით გაიჭრა, ფანჯარასთან მდგომი შორიდან ადევნებდა თვალყურს მიმდინარე სიტუაციას, ბავშვები აჩურჩულდნენ, უცებ დასაქმდნენ:

– პარკი მოიტანეთ, ეს ნაგავი დერეფნის სანაგვეში ჩავყაროთ.

– მერხებს მე გავასწორებ.

– სანდრო, შენი ნივთები დაალაგე!

– მასწავლებელს ჯერ არ დაუძახოთ, არ დაგვისრულებია!

სწორედ, ამ დროს დაიწყო მის გონებაში სასამართლო პროცესი, რომელშიც დაუნდობლად ამათრახებდა საკუთარ ქცევას. თავს ვერ პატიობდა ყვირილს, თან როგორი ხავსიანი და ობმოდებული ხმა ჰქონდა, მიუჩვეველი მჭექარებასა და გრგვინვას.

– უცნაურია, ზოგიერთს როგორ ბუნებრივად გამოსდის, კედლებიც კი ჟრიალებენ, ალბათ, ხანგრძლივი პრაქტიკაა საჭირო. არა, ეს ჩემი გზა არ არის, ამას ვერ ავიტან, მთელი სხეული მტკივა, კიდურები თითქოს მომერღვა.

– ისწავლი, შენც სწავლობ, უხეშად გამოგივიდა, ბევრი რამ არასწორად თქვი, შენი ემოციები ყველაზე ანთხიე, მაგრამ ეს შემთხვევა გამოიყენე, როგორც გამოცდილება და შეეცადე, რომ ასეთ მდგომარეობას არასდროს დაუბრუნდე. ასეთი არ მომწონხარ, არც ბავშვებს მოსწონხარ.

ანუმ თავი ოდნავ შეიფხიზლა, დამშვიდდა, გონება დაულაგდა

– მასწ, შემოდით.

შემოსძახეს დერეფნის ბოლოდან. ანუ დინჯი ნაბიჯებით ზღურბლს მიუახლოვდა, ბავშვები თავიანთ ადგილას ისხდნენ, ოთახში თითოეული ნივთი მოწესრიგებულად განელაგებინათ, დაფა გასუფთავებული, წიგნები მილაგებული, კალმები საკალმეში ჩალაგებული, გამქრალიყო ლაშას საჭმლის ნაკვალევიც. მოსწავლეები ანუს თვალებში უყურებდნენ, დაძაბულები ეკვროდნენ სკამებს. ანუმ დაბალ ტონზე წარმოთქვა:

– ბავშვებო, მოგეწონათ, როდესაც რამდენიმე წუთის წინ ვყვიროდი?

– არა, მასწ.

– არაააა...

– არც მე მომეწონა, მინდა, რომ ჩვენი ურთიერთობა ერთმანეთის გაგებას ეფუძნებოდეს, შეგვეძლოს ერთმანეთის მოსმენა, დახმარება, ერთად მუშაობა, მინდა, რომ ერთმანეთის აზრი გავითვალისწინოთ, ჩვენ ხომ თავად შევთანხმდით ასეთ ურთიერთობაზე, თავად გადავწყვიტეთ, რომ გვინდოდა მხიარულ, სუფთა, ლაღ გარემოში ყოფნა, რომლის შექმნაშიც მე დაგეხმარებოდით და ახლა საპირისპირო ხდება და მეც არასწორად ვიქცევი. ამიტომ გთხოვთ, გავიხსენოთ ჩვენი პრინციპი, როგორი საზოგადოების შექმნა გვინდა და კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ ჩვენს ქცევაზე.

– მასწ, ბოდიში, ცუდად გამოგვივიდა!

– მასწ, მართალია, საშინლად დაიყვირეთ, მაგრამ არც ჩვენ მოვიქეცით სწორად.

– გასაგებია, მესმის თქვენი, შევეცადოთ, რომ უფრო ყურადღებით და მოწესრიგებულად ვიყოთ.

– მასწ, კარგით!

– ბავშვებო, დერეფანში ხათუნა მასწავლებელი შემხვდა და მითხრა, რომ დღეს საკმაოდ რთული იყო გაკვეთილის ჩატარება,

რადგან თქვენ მის მიმართ ყურადღებას არ ავლენდით, შეგიძლიათ ამიხსნათ, რამ გამოიწვია ასეთ ქცევა?

– მასწ, შეიძლება ვილაპარაკო?

– გისმენ, ნათია!

– მასწ, დღეს მასწავლებელმა ტექსტის წაკითხვისას სიტყვა გამისწორა და მე ვუთხარი, რომ ჩემს წიგნში ასე ეწერა. თვითონ ირონიულად მიპასუხა, რომ ალბათ, მე ვერ ვარჩევ ასოებს. წიგნი, როდესაც ვაჩვენე, თავადაც ნახა, რომ შეცდომა იყო დაშვებული, მაგრამ ბოდიში არ მოუხდია იმის გამო, რომ ასე დამცინავად მესაუბრა, არც ის უთქვამს, რომ მართალი ვარ, მეწყინა და მერე მეც ვცდილობდი, რომ გამეღიზიანებინა, მეცინა და ბევრი მელაპარაკა.

რა უნდა ეთქვა ანუს – ქმედება იწვევს უკუქმედებას. თავადაც არ მოეწონა უცხო ენის მასწავლებლის ქცევა, მაგრამ ამას კლასის წინაშე ვერ გაამხელდა.

– გასაგებია, ნათია, ესე იგი, შენ ფიქრობ, რომ მასწავლებელი დამცინავი იყო?

– დიახ, მასწ, თუ გინდათ, სხვებსაც ჰკითხეთ.

– მართალია, მასწ, ხათუნა მასწს კარგად არ გამოუვიდა.

რა ექნა? რა ეთქვა?

– მესმის ნათია, დაველაპარაკები მასწავლებელს და ამ საკითხს გავარკვევ. მაგრამ მოგწონს, დღეს როგორც იქცეოდი?

– არა, მაგრამ იმსახურებდა!

– და ამით საკუთარ თავს დაეხმარე თუ პირიქით, შეაფერხე? როგორ ფიქრობ, ამით საკუთარ თავს რა ასწავლე? რამდენიმე წუთის წინ მე საშინლად გიყვიროდით, შემდეგ საკუთარ თავს დავაკვირდი და საშინლად არ მომეწონა, არ მინდოდა ვქცეულიყავი იმ ადამიანად, რომელიც მარტივად ბრაზდება, მუდმივად გულგასივებული და დაბოღმილი დადის სკოლაში და გარშემომყოფებზე ანთხევს უკმაყოფილებას. ამიტომ ვირჩევ, რომ ვიყო ადამიანი, ვინც თქვენთან იმეგობრებს და, შეცდომების მიუხედავად, შეძლებს დაგეხმაროთ, მიუხედავად წყენისა, შეძლებს მხარი დაგიჭიროთ, თავისი ქცევით ზრუნვა და სითბო დაგანახოთ. ეს მეც დამეხმარება, რომ მეტი ვისწავლო და თავი უკეთ ვიგრძნო. ახლა მაინტერესებს, შენ რა გირჩევნია, იყო ადამიანი, რომელიც გაბრაზებული საკუთარ თავს ვნებს, თუ იყო ადამიანი, რომელიც ამ სიტუაციიდან ისწავლის და შეძლებს თავისი ემოციის მართვას, აზრის გამოხატვას და გაკვეთილში მონაწილეობას?

– მასწ, მეორე მირჩევნია, მაგრამ ძალიან გაბრაზებული ვიყავი.

– მესმის, იცი, ასეთ დროს შეგიძლია მასწავლებელს უთხრა შენი გრძნობების შესახებ, ისევე როგორც მე გესაუბრებით, ეს ბუნებრივი პროცესია. შეგვიძლია ვთქვათ, რომ რაღაც გვეწყინა და არ გვსიამოვნებს. შესაძლოა ხათუნა მასწავლებელი არც ფიქრობდა ასე საუბარს, მაგრამ ისიც შენსავით უცებ გაბრაზდა და ორივე ერთნაირად მოიქეცით. შენ ბრაზობ მასზე, მაგრამ თავად იმავეს აკეთებ. მოდი, ერთად დავაკვირდეთ, რა იქნება შენთვის უკეთესი, დაფიქრდი, თუ როგორ შეიძლება სხვაგვარად მოიქცე და შემდეგ აზრები გამიზიარე, შევთანხმდით?

– შევთანხმდით...

19.04.2021 გაკვეთილების შემდგომ

თბილი მზის სხივების ქვეშ, სტადიონზე მოფენილი ბავშვები სხარტად მოძრაობდნენ, სახედამტვერილ ბურთს ერთმანეთს ფეხებს შორის უძვრენდნენ, იკლაკნებოდნენ, იჭიმებოდნენ.

ანუ იქვე სტადიონთან იჯდა და აკვირდებოდა მათი ემოციების ცვალებადობას, მოძრაობებს, სისწრაფეს.

– გოოოოლ, ოქრო ბიჭი ხარ, თომა, ოქროო. მას, ასე ეძახის ხოლმე თომას ფეხბურთზე მწვრთნელი, ჩემი ოქრო ბიჭიი, მიდი, ოქრო ბიჭიი. მასწ, არ გატყუებთ.

– რატომ გგონია, რომ მგონია, მატყუებ?

– მასწ, რა ვიცი. მასწ, წავედი ჩემი შესვლაა.

სირბილისგან სახეზე ცეცხლის ფერი ედოთ, სუნთქვა უმძიმდათ, მაგრამ მაინც არ ნებდებოდნენ. ფეხბურთი იყო კლასის თამაში, უფრო სწორად, კლასის რიტუალი. შეეძლოთ ეთამაშათ ორდროშობანა, დაჭერობანა, წრეში ბურთი, მაგრამ თუ ფეხბურთს არ ითამაშებდნენ, ის დღეც დაკარგულად ითვლებოდა. შესაბამისად, ამ რიტუალის აღსრულებისას მნიშვნელოვანი იყო, ყველას თავისი დანიშნულება ჰქონოდა და ამავდროულად, ყველას მაქსიმალურად წარმოეჩინა თავისი დიადი სწრაფვა უზენაესი აღიარებისა და თავდადებისკენ.

– ეეე, ეეე, ბიჭო, ჯარიმაააა!

– რა ჯარიმა, არც კი შეგხებიან.

– გეუბნები, ჯარიმაა და გაიგე, ბურთი ჩვენია!

– რეებს იგონებ, საერთოდ თამაშის წესები გესმის?

– მე არ მესმის თამაშის წესები? სულ რაღაც ახალ წესებს იგონებ, ფეხბურთს თამაშობ თუ კალათბურთს?

– ბიჭო, რატომ ყვირი, მე მიყვირი? მეზობლის ჭინჭყლო ბავშვო, გეყოფა, რაც გითმინე, თავი სულ შენ გგონია მართალი, ვითომ ყველაზე ძლიერი ხარ და ყველაზე კარგად თამაშობ? თავი ყველაზე მაგარი რომ გგონია და დამცინი. შე, მეზობლის ბავშვო. ამ სიტყვებზე თომამ დანიელს სახეზე შუა თითი ააფარა.

ანუ სკამიდან წამოიმართა, სტადიონისკენ სწრაფი ნაბიჯით დაიძრა. ხედავდა, რომ სიტუაცია წამებში შეიცვალა.

– შენი დედა ვატირე, თომა, ესეც შენ!

დანიელმა მოწინააღმდეგეს წიხლი ჰკრა და რამდენიმე ნაბიჯით უკან დახია. დამცირებისგან გამწარებული თომა მას თმებსა და მხრებში სწვდა, ცდილობდა, მტკივნეულად შეენჯღრია. ანუ სწორედ ამ დროს შეიჭრა მათ შორის, დანიელის თავი თომას კლანჭებისგან გაათავისუფლა, მოსწავლეებიც მიეშველნენ, ამ გაწელვა-გამოწელვაში თავადაც კარგად დააგემოვნა თომას მოქნეული წიხლი, რომელმაც მარჯვენა წვივში ყრუ ტკივილი წარმოქმნა, მაგრამ ახლა ეს უმნიშვნელო ფაქტი იყო.

ფეხბურთის თამაში შეწყდა, ბავშვები კლასში დაბრუნდნენ. ანუს სურდა ბიჭებთან ლაპარაკი, მაგრამ სწორი დროის შერჩევა იყო საჭირო, იცოდა, რომ მათ გაბრაზებულ გონებას ვერაფერს გააგებინებდა, ახლა მთავარი იყო, რომ ფიზიკურად ისევ არ შეხებოდნენ ერთმანეთს, ამიტომ ცდილობდა თავად, ვითომც ბუნებრივად, ისე ემოძრავა მათ შორის, რომ დისტანცია შეექმნა. თომამ საპირფარეშოს შეაფარა თავი, ცრემლებს იბანდა, დანიელი კი ოთახის ბოლოში, თავის კუთხეში განთავსდა. თომას კლასში შემოსვლისას ანუმ შეამჩნია, რომ ბრაზი შედარებით განელებოდათ და მომხდარის გამო, ერთ სივრცეში ყოფნა ეუხერხულებოდათ. თავად ვერ ბედავდნენ ერთმანეთთან გამოლაპარაკებას.

ანუმ გადაწყვიტა, რომ ცოტა ხანს მოეცადა, თუმცა თვითონ შინაგანად ღრღნიდა შექმნილი სიტუაცია. ბავშვებმა ჩვეულებრივ წიგნები ამოალაგეს და მეცადინეობა დაიწყეს, მსგავსად მოიქცნენ დანიელიც და თომაც, თუმცა გადაშლილ წიგნს უბრალოდ დასცქეროდნენ და სკამზე მოუსვენრად ირწეოდნენ. დაახლოებით ოცი წუთის შემდეგ დანიელმა მათემატიკის წერა დაასრულა და დერეფანში დასასვენებლად გავიდა. სწორედ ამ დროს მოიხელთა ის ანუმ:

– დანი, მინდა დღევანდელი ფეხბურთის შესახებ ვისაუბროთ, უბრალოდ, მშვიდად ამიხსენი, რა მოხდა.

– მასწ, ჯარიმა არ იყო და გინდა თუ არა ჯარიმაა, მერე შუა თითი მიჩვენა და მეზობლის ბავშვი ხარო, ამიტომ მეც ცუდი სიტყვები ვუთხარი.

– დანი, თომა ყვიროდა, რომ შენ მას დასცინი და არაფრად თვლი. როგორ გგონია, ასე რატომ ფიქრობს?

– არ ვიცი, მას, ის ჩემსავით კარგად თამაშობს, ძლიერი მოწინააღმდეგეა, მეორე კლასში ხომ საერთოდ ყველაზე მაგარი იყო.

– ანუ შენ თქვენს ძალებს თანაბრად თვლი?

– დიახ, მასწ, თომას უპირატესობა ის არის, რომ შედარებით გამხდარია და სწრაფად გაძვრება-გამოძვრება, მე თავდაცვაში ვარ ძლიერი.

– კიდევ რა მოგწონს თომას ხასიათში, რას აკეთებს ისეთს, რასაც გამოყოფდი?

– მასწ, ძალიან კარგად ხატავს, აი, ისე კი არ ხატავს და ვინჩივით ან პიკასოსავით გადატვირთულად, მარტივად ხატავს, მაგალითად, პატარა კაცუნებს, მაგრამ ყველაფერი ძალიან ლამაზი და გასაგებია.

– და მან იცის, რომ შენ მისი თამაში და ნახატები მოგწონს? მგონი, პირიქით ჰგონია.

– არ ვიცი, მას, მე მასზე ცუდი არასდროს მითქვამს და არ დამიცინია.

– დანი, თავად რას ფიქრობ შენს თავზე, შენ როგორი ხარ?

– მასწ, მე ხმაურიანი და ენერგიული ვარ, ერთ ადგილას ვერ ვისვენებ, თომა უფრო მშვიდია.

– იცი, დანი, შემიმჩნევია, რომ თამაშის დროს ბევრ რამეს თავად წყვეტ, არ ვიცი, რამდენად მართალი ვარ, მაგრამ ხშირად ვხედავ, შენ ანაწილებ გუნდებს, ვინ იქნება არჩევანი, ვინ იქნება მეკარე, მსაჯი, იქნებ ეს არ მოსწონთ სხვებს და თავადაც უნდათ, რომ გადაწყვეტილება მიიღონ. როგორ ფიქრობ, სწორად იქცევი?

– მასწ, ადრე თომა იყო პოპულარული კლასში, რადგან ფეხბურთს მაგრად თამაშობდა, მერე მეც დავიწყე სიარული და კლასში თანდათან გამოვჩნდი, მაგრამ ახლა ვხედავ, რომ პოპულარობა კი არა ღმერთობა მომინდა, ცოტა ზედმეტი მომივიდა.

– დანი, კარგი იქნება, თუ სხვებსაც მივცემთ აქტიურად მონაწილეობის საშუალებას, თუ თავად გადაწყვეტენ, ვინ სად ითამაშებს, მსგავს საქციელს თავადაც ხომ გააპროტესტებდი?

– დიახ, მასწ.

– შენ შენს მეგობარს და მის დედას შეურაცხყოფა მიაყენე, ამას ხვდები?

– დიახ, მასწ.

– მოდი, თომასაც გავესაუბრები და შემდეგ ერთმანეთს გავუზიაროთ აზრები, რას ვფიქრობთ საკუთარ თავსა და ერთმანეთზე, კარგი?

– რა ვიცი, მას, ჯერ არა.

– კარგი დანი, ცოტა ხანში შემო კლასში და მეცადინეობა განაგრძე.

რამდენიმე წუთში ანუ თომას წინაშე განმარტოებით იდგა და მისი მდგომარეობის გარკვევას ცდილობდა.

– თომა, შეგიძლია მითხრა ჯარიმის გამო აენთე, თუ კიდევ რამე სხვა მიზეზმა გაგაბრაზა?

თომას თვალები აუცრემლიანდა, საუბრის დაწყება უჭირდა.

– მასწ, სულ ასე იქცევა დანი, თავი ყოველთვის ძლიერი და მართალი გონია, ჩემზე უფრო დიდი რომ არის, ამიტომ ჩემზე უკეთესია?

– თომა, დანის შენთვის უთქვას, რომ შენზე უკეთესია ან რამეს შენზე უკეთ აკეთებს?

– არა, მასწ, მაგრამ ვიცი, ასე ფიქრობს.

– იცი, მე დანის ვესაუბრე და რასაც შენ ფიქრობ, იმისგან განსხვავებული რამ მოვისმინე

– რა, მასწ?

– მან მითხრა, რომ შენ ძალიან ძლიერი მოთამაშე ხარ, სერიოზული მოწინააღმდეგე გუნდის წევრი და ასევე ძალიან მოსწონს შენი შესრულებული ნახატები, იცი, ისინი მეც მომწონს, რამდენჯერმე გითხარი კიდეც, ძალიან ნატიფად ხატავ და შენი გადაღებული ანიმაციაც ხომ შესანიშნავი იყო.

თომას დანიელისგან ასეთი შეფასება გაუკვირდა, თუმცა ესიამოვნა.

– კარგით რა, მასწ, მე რას ვხატავ, ჩვეულებრივია...

– კარგი რა, თომა, იცი, რომ არაჩვეულებრივია...

– შენ თავად რას ფიქრობ დანიზე?

– ძლიერი და ენერგიულია მას, მეგობრულია, მხიარულია და ფიზიკურადაც ძლიერია, მე არ ვარ ეგეთი ძლიერი

– ასე რატომ ფიქრობ?

– მასწ, მე უფრო გამხდარი ვარ.

– თომა, მგონია, რომ ეს მხოლოდ შენი ფიქრებია, თავად არ ხარ კმაყოფილი საკუთარი თავით და შემდეგ ფიქრობ, რომ სხვა გამცირებს და დაგცინის, ხომ ხედავ, დანი სულ სხვანაირად აღგიქვამს. შენც ხედავ, რომ დანი აქტიურია, ინიციატივა უყვარს, ბევრ რამეს ხელმძღვანელობს, მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ არაფრად გთვლის და სუსტი ხარ?

– არა, მასწ.!

– დანიმ თანდათან უნდა დახვეწოს საკუთარი უნარები, მასაც ეშლება ბევრი რამ, მაგრამ აქ ხომ ყველანი ვსწავლობთ. საკუთარი შესაძლებლობების დაფასებაც უნდა ვისწავლოთ და არა უარყოფა. წამო, კლასში შევიდეთ და დანის ვესაუბროთ.

რამდენიმე წუთის შემდეგ კლასში ისხდნენ მხოლოდ სამნი: ანუ, დანი და თომა. მასწავლებლის თხოვნით ბავშვები დერეფანში ატარებდნენ თავისუფალ დროს, თუმცა სხვადასხვა მიზეზით შემოძვრებოდნენ კლასში, რაც, რა თქმა უნდა, ამ საიდუმლო შეხვედრის შინაარსის გაგებას ისახავდა მიზნად, საბოლოოდ, შეხვედრას კიდევ რამდენიმე ყური დაემატა.

თომა და დანი ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ, რიგ-რიგობით ახედავდნენ ერთურთს, რადგან თვალებში შეხედვა ემძიმებოდათ.

– მოდით, მე გეტყვით რამდენიმე ფრაზას ჩემ შესახებ, თუ როგორ აღვიქვამ საკუთარ თავს.

დაიწყო ანუმ.

– ვფიქრობ, ვარ გაწონასწორებული, მშვიდობისა და სიხარულის მომხრე ადამიანი, რომელსაც მოსწონს თქვენთან ურთიერთობა. თქვენში, ბატონო დანი, კი ვაფასებ იმ თბილ, მეგობრულ დამოკიდებულებასა და აქტიურობას, რასაც კლასის მიმართ ავლენთ. თქვენ, ბატონო თომა, ჩემთვის ხართ ძალიან შემოქმედებითი ახალგაზრდა, რომელიც ჩვენი ერთობის მნიშვნელოვანი ნაწილია. ვფიქრობ, კარგი იქნება, ისაუბროთ, როგორ აღიქვამთ თქვენს ქცევას და რა მოგწონთ ერთმანეთის უნარებში.

დანიმ და თომამ პირისპირ შეძლეს თავიანთი გრძნობების გადმოცემა, ისაუბრეს იმ მხარეებზეც, რაზეც უნდა ეფიქრათ და ემუშავათ, ერთმანეთთან მშვიდად საუბრის დროს შედარებით გალაღდნენ, ესიამოვნათ მათი ღირსებების დანახვა და აღიარება. ანუს მიზანიც ეს იყო, რომ მათ ერთმანეთში განსაკუთრებული აღმოეჩინათ, პიროვნება ამოეცნოთ. არ იცოდა, სწორად მოიქცა თუ არა, მაგრამ ის რომ ბავშვები მშვიდად ისხდნენ და თავიანთ გრძნობებზე საუბრობდნენ, რატომღაც მნიშვნელოვან ცვლილებად მიაჩნდა.

– თომა, ერთი ეს ამიხსენი, – იკითხა ანუმ, დანის რომ ეძახდი მეზობლის ჭინჭყლო ბავშვოო, ეგ რას ნიშნავს?

თომას ამ სიტყვებზე ჩაეღიმა

– მასწ, ერთი მეზობლის ბავშვი მყავს, სულ წუწუნებს და ჭინჭყლობს, ის ასე არაა, ეს ისე არაა და დანიც ეგრე იქცევა.

– ვინ, ბიჭო, მე ვარ ჭყინტი?

– რა ხარ, დანი?

– ჭყინტი კი არადა ჭინჭყლი, ეს რა ვთქვი, აუუ, მას, ჭყინტიი..

კლასი ისევ სიცილის ცრემლებმა გადაფარეს.

ანუ შესაძლოა, არ აღიარებდა, მაგრამ ხვდებოდა და იცოდა, თუ რატომ იყო იქ, სადაც იყო...

თუმცა სკოლიდან გამოსვლისას ფიქრობდა ნაღრძობ წვივსა და იმაზე, რომ დღეს მხოლოდ ორშაბათია.

ეზერ

მასწავლებლისთვის

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს:
„ვწერ მასწავლებლისთვის“



მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ერთიანი
ცენტრი

mastsavlebeli.ge

კონკურსის პარტნიორი

ღიპერითი

ლიტერატურული კონკურსის მხარდამჭერები

APC Georgia

www.chemistry.ge

გამომცემლობა
ინტელექტი

სულაკაურის
გამომცემლობა

WWW.TPDC.GE